ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: roland_jalagania@yahoo.com

№139 (198) 4-11 ოქტომბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

უგუნურების პირამიდები

მილიონობით სახელმწიფო სახსრები დაიხარჯა ანაკლიის საკურორტო ზონის მშენებლობაზე, მართლაც დამშვენდა და გალამაზდა ეს ისტორული კუთხე. გაგიხარიათ, მშენებლობასა და დამშვენებაში ცუდი არაფერი იყოს, მაგრამ, გააჩნია, – სად, როდის და რისთვის! ხოლო, როცა ამგვარ უაზრო მშენებლობებში, თითქოსდა კერძო ინვესტიციების სახით, გადასახადების გადამხდელთა ფული წყალშია გადაყრილი, ეს უკვე უყაირათობა კი არა, საკმაოდ მძიმე სახელმწიფო დანაშაულია!



თავიდანვე ნათელი გახლდათ, რომ ანაკლიის საკურორტო ზონის მშენებლობა პროპაგანდისტული ფანდი უფრო იყო, ვიდრე სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ოპტიმალურად გაანგარიშებული პროგრამის ნაწილი, რადგან იგი, პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ – **“ენგურს** (იგულისხმე – **საქართველოს საზღვრებს მიღმა – “ილორი”**) **გაღმა სიბნელეში მყოფი აფხაზებისა და მონღოლოიდი რუსების”** თვალების დასავსებად უფრო იყო გამიზნული.

ავტორიტეტული გეოლოგიური დასკვნებით დადგენილია, რომ ანაკლია ფხვიერ ნიადაგზე მდებარეობს და აქ აშენებული სასტუმროები უკვე ნელ-ნელა ჩადიან მიწაში. სარდაფები წყლით ივსება, სადაც კოღოები მრავლდებიან. საქმეს ვერც წყლის სისტემატურად ამოქაჩვა შველის, რადგან, ამ შემთხვევაში, ბუნება აშკარად ჯაბნის ადამიანებს. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ სასტუმრო კომპლექსების არარენტაბელურობის გამო თვეობით ვერ ხერხდება მომსახურე პერსონალისათვის ხელფასების გადახდა.

და, საერთოდ, ანაკლიამ მას შემდეგ დაჰკარგა დასასვენებელი ზოლის უნიკალურობა, რაც **“ენგურჰესი”** ამოქმედდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლულაჩაჟანგული თოფის გაწმენდა ტყვიის გასროლით იწყება, რათა ფინთიხმა ჟანგი გამოიტანოს. დაახლოებით ასეთ ეფექტით **„მუშაობდა“** მდინარე ენგური, რომელიც მართლაც გასროლილი ტყვიის ეფექტს ახდენდა და მძლავრი დინებით გამოჰქონდა ანაკლიის მიდამოებიდან ჭენჭყი და სინესტე, რამაც ამ რეგიონს შესაშური მიკროკლიმატი შეუქმნა. მას შემდეგ კი, რაც ენგურჰესის წყალსაცავი აშენდა და მთის ენერგიამოზღვავებული მდინარე ჩაიკეტა, იგი მდორე დინებად იქცა, რომელიც ძველებურად კეთილისმყოფელ გავლენას ვეღარ ახდენდა გარემოზე. თანდათან დაჭაობდა ანაკლიის მიდამოები და იგი არამც თუ დასვენებისათვის, არამედ, ლამის საცხოვრებლადაც კი გამოუსადეგარი გახდა. ამჟამად **“კასტრირებულ”** ენგურს შავ ზღვაში მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნაგავი და ფეკალური მასები შეაქვს, რომლის სურნელით უხვადაა გაჯერებული აქაური მიწაქ, წყალი და ჰაერი.

ეს, რაც შეეხება ბუნებას, და თუ ამას დავუმატებთ ხელისუფალთა გულგრილობასა და სხვა დანაშაულებრივ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ წიაღსვლებს, ანაკლია ჯოჯოხეთს უფრო წააგავს, ვიდრე ხელისუფალთა

მიერ შეპირებულ ნანინანატრ სამოთხეს.

საგანგებოდ ჩამოტანილი პალმის ხეები, რაზედაც დიდი თანხები დაიხარჯა, უკვე თანდათან ხმება, მართლია ისინი საგულდაგულოდ გაკორტნეს, მაგრამ აშკარაა, რომ ამ უნიკალური ნარგავების ხმობის პროცესის შეჩერება შეუძლებელია!

კილომეტრიანი **“მშვიდობის ხიდი”**, რომლის უნიკალურობაზე ყაყანით ლამის ყურთასმენა დაგვაკარგვინეს სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ, ჩაინგრა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მისი ექსპლოატაცია დაიწყებოდა!

როგორც უკვე მოგახსენეთ, შენობა-ნაგებობები თანდათან იძირებიან მიწაში!

ადგილობრივი მოსახლეობა ზღვის სანაპიროზე ძროხებს უშვებდნენ ხოლმე საბალახოდ. ახლა კი, მრავალი ანაკლიელი ამის საშუალებას მოკლებულია და საქონელი შიმშილით რომ არ დაწყვეტოდათ, ოჯახის ერთადერთ მარჩენალი ძროხები გაყიდეს, ამჟამად კი უსახსროდ და უსასოოდ არიან დარჩენილები!

ადგილობრივ მოსახლეობას სისტემატურად არ მიეწოდება ელექტროენერგია. შორიახლოს მდებარე მრავალწლიან ფარდალალა კოტეჯებში, მართლაც გაუსაძლის პირობებში, ცხოვრობენ დევნილები, რომლებსაც სახურავების არქონის გამო წვიმის წყალი უხვად დასდით თავზე. მაგრამ, სამაგიეროდ, სასმელი წყალი არ მიეწოდებათ და წყურვილის მოსაკლავად კილომეტრობით გზის გავლა უწევთ!

მთელი მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერები თავს იმტვრევენ იმის ამოხსნაზე, თუ სარკოფაგთა შესალაგებელი წმინდა ადგილის გარდა კიდევ რა დანიშნულება ჰქონდათ კოლოსალურ ეგვიპტურ პირამიდებს, მაგრამ, თავსატეხი დღემდე თავსატეხად რჩება. ვერ დავადგინეთ, ეს ნაგებობები მხოლოდ ფარაონთა ახირების ნაყოფი გახლავთ თუ მათ სხვა იდუმალი კოსმიური დანიშნულება გააჩნდათ. მაგრამ ანაკლიაში აგებულ გრანდიოზულ ნაგებობათა დანიშნულების ამოხსნაზე მომავალ თაობებს აშკარად არ მოუწევთ

დიდი მეცნიერული კვლევების ჩატარება. თავშივე ნათელია, რომ ანაკლიის მშენებლობის სტიმული გახლავთ საქართველოს **“ნაციონალ ხელისუფალთა”** უაზრო ამბიცია და უგუნური საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის გატარება, რომლის მძიმე შედეგებს მომავალში მოვიმკით!

ყოველივე აღნიშნულის გააზრების შემდეგ გონებაში უნებლიედ ამოტივტივდება ხოლმე შესანიშნავი ქართველი პოეტის არჩილ ფირცხალავას მიერ ანაკლიაზე შექმნილი ერთ-ერთი ლამაზი ლექსი:

“სი სო ულ, ბატა,– დედების მოთქმა
ზღვამ ჩაიტანა ტალღის დგაფუნით,
სი სო ულ, ბატა, ზღვა აბობოქრდა,
როგორც ჭაბუკი, გემზე დაბმული.
თათარია თუ მონღოლია,
მამულში სიავკაცედ ამოჭრილი,
დედას გიტირებდი ჯოღორია,
მკლავი რომ არ მქონდეს გაკოჭილი!”

ვაგლახ, რომ დღეს სრულიად საქართველოს მკლავი გაკოჭილი აქვს, ენა კი – ჩაგდებული!

გაზეთი “ილორი”

ეშმაკის ნაშიერნო

ვიცი, ქვეყნად ბოროტება
რომ საზრდოობს ეშმას ფესვით,
სწორედ მისი ნაყოფია
წელს მაისის ოცდაექვსი.
სადაც ხელი მიუწვდება,
ყველას ბოროტებით კვებავს,
მათი მუცლის ყროვანება
გააკვირვებს თვითონ ეშმაკს.
სისხლის წოვა, კაცთ წამება,
დაბადებით დაყოლილი,
ალაღებთ და ახალისებთ,
ძაღლ სულში აქვთ გაფონილი.
სიტყვით რასაც მოითქმიან –
თითქოს გულს ტკენთ ბედი ერის,
ბოლო ჟამის სიმღერა აქვთ
მომაკვდავი, სულთმბრძოლ გედის.
ზურგზე სკივრი შემოუდგამთ,
სულთმზარავი, სასუნთქ შმორის,
არ ადარდებთ ძალა სიტყვის,
არც მართლის და არცა ჭორის.
სიყვარული სიკეთეა,–
ერთგულების, გვერდით დგომის,
გზა რატომ აგირჩევიათ
სიძულვილის, ბოღმის ნთხევის?!
თქვენით ვჭვრეტ ნოდარ დუმბაძის,
თქმული სიტყვა რომ ვიწამო –
“შენ არ გეღირსოს სიკვდილი,
შენ არ მიგიღოს მიწამო!”
ვაი, თქვენს გამზრდელს, უბედურს,
ტანთ სიგრძე ნიშნავს აღზრდასა?!
აღზრდაა, ერთი მეორეს,
ოხერი ოხერს ბაძავსა?
ნეტა აკვანს ვინ გირწევდათ,
ვინ გიმღეროდათ ნანასა?
ისე, აღზრდილებს თუ გეტყვით,
ნუ დამიკარგავთ ამაგსა?!
ვინც დაგარიგათ, აგიხსნათ,
კაცზე დაგება მახისა,
ვინც მოყვარეზე გასწავლათ,
ზურგში ჩაცემა ხანჯლისა.
ადამის გაჩენის დღიდან,
ვინც ბოროტებას ბადებდა,
რატომ უდგებით საყრდენად,
თავს რატომ იხვევთ ბადესა?
ვინც რომ ამ ნოდის ქვეყნიდან
წვალებ-წამებით მიდისა,
არ ეშინია იმ ქვეყნად
საშინელ ბონდის ხიდისა.
შეიგნეთ, უბედურებო,
მონებო ეშმაკთ მოდგმისა,
თქვენი დრო უკვე მთავრდება
წმინდა გიორგი მოდისა!
ნეტა, რად ცდილობთ, ცოდვილობთ,
მოსპოთ ქვეყანა ღმერთისა?
ძალა შექმნის და დიდების
მხოლოდვე მისი – ერთისა!
ბოღმის მთხეველნო, მზაკვარნო,
დაუნდობელნო მარადის,
ნუთუ არ იცით, ვერ მოგვსპობთ,
ხმალი გვდარაჯობს ვახტანგის!
თავზე სინათლედ დაგვიდგამს
მზის დაბნელება მარადის,
მირიან მეფის ნათება
ნაღდ ქართველს თავზე გადასდის!
რა გინდათ, ბალღამს რად ანთხევთ
რამ დახრა თქვენი ბედია.
რად ცდილობთ რომ დააქციოთ
მცხეთა, გელათი, ბედია?
ვაი, თქვე უბედურებო,
კაკუნის გესმით კარისა?
თქვენ საქართველოს რას უზამთ,
წილია ღვთისმშობელისა!
მიქაელს შუბი უჭირავს,
გაბრიელს წიგნი საძმოსი,
დღე-დღეზე ველით დედა-შვილს,
აქა გვაქვს ტანისამოსი!

ჯემალ ჯიქია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).

დავით დადიანის მიერ ოდიშ-ლეჩხუმის რვა მაზრად დაყოფა. ამ მაზრების ხელისუფალნი

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო, მსაჯულთ-უხუცესი თავადი როსტომ ჩიქვანი.

ადმინისტრაციაზე ლაპარაკი არ იქნება სრული, თუ არ მოვიხსენიეთ რა გვარად სდევნიდა დავით დადიანი ქურდობას.

დავით დადიანის დროს სამეგრელოში ქურდებად ასახელებდნენ: ბანძაში ზურაბ ფაღავას, ონოდიაში რომელიღაც გაბუნიას, ნოჯიხევში უჩა ჯორჯიკიას, ცაიშში გიორგი ჟორდანიას. მოპარული ხარ-კამეჩი და ცხენი ამათ ეკითხებოდათ. მათი გზა იყო: ხონი, ბანძა, ნოჯიხევი, ცაიში და სამურზაყანო.

წერილობითი საბუთი არ ეთანხმება ამ ცნობას, თუმცა ეს ცნობა ეკუთვნის უზენაეს სასამართლოს წევრს თავად პეტრე დადიანს. ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში არის საქმე დაწყებული 1852 წელს №455 სამეგრელოს უზენაესი სასამართლოსი, რომლისაგან სჩანს, რომ იმ წელს მარტო ზუგდიდის მაზრიდამ დაუბარებიათ 104 კაცი და ამათ ფიც ქვეშ უჩვენებიათ მაზრაში 50 კაცი ქურდობით განთქმული, რომელთა სია ამ საქმეშია მოყვანილი.

თუმცა ლევან დადიანის დროიდამ სისხლის სამართალი, როგორც ეხლა, სამეგრელოს დამნაშავეთათვის სწარმოებდა ქუთაისის საოლქო სასამართლოში, **"В Кутаисском областном суде"** დავით დადიანმა ქურდობას ადმინისტრატიული სასჯელით დაუწყო დევნა.

კორცხელის მცხოვრებ მაკარაძეს დაუცხრომელის ქურდობისათვის მთავარმა, ვახტანგის კანონის ძალით, ხელი მოსჭრა.

სეხი თოფურია, ფაღავას გლეხი, გავარდნილი ქურდი, მთავარმა ჩამოახრჩო ხეზე ქვატახტს, ჭაქვინჯის საზოგადოებაში. რომ დასჯა სამაგალითო ყოფილიყო, მთავარმა თოფურიას ჩამოხრჩობაზე დიდძალი საზოგადოება შეკრიბა. თოფურიამ, რომ მოკიდეს იმას ხელი მაღლა ასაყვანად, დაიწყო მთავრის გინება და ამ გინებაში იმას სული ამოხდა.

რუსის მთავრობამ დავით დადიანს ამ სასჯელის გამო პასუხი მოსთხოვა. მთავარმა მოკლედ მოახსენა: ქურდი ხალხმა დასაჯაო.

ქურდობის ასალაგმავად დავით დადიანმა უბრძანა ზუგდიდის მაზრის მდივანბეგს კაცია ჩიჩუას, დაეწვა ოჯახები ქურდებისა: დავით სოლომონის ძე ჩიჩუასი, ბასა ლოლუასი და უტა ლოლუასი.

ქვალონელი დავით ჩიჩუა დასტუქსა მთავარმა: წუწკი ხარ, ქვეყანა შეაწუხეო და როცა ჩიჩუამ სიტყვა შეუბრუნა, ჯაჭვი შეაბა იმას და ციხეში გაგზავნა.

1842 წელს მსაჯულთ-უხუცესს თავად ნიკო დადიანს წარმოუდგენია მემკვიდრისათვის სოჭაში ჯარის ცხენის ქურდი უტა ლოლუა, მემკვიდრეს რეზოლუციად დაუდვია: **"ლენტეხს გაიგზავნოს და ეცნობის ნიკოს".**

სასამართლო. ძველი და ახალი კანონები. როსთო ქულა. რუსული კანონის შემოსვლა. პანკრატიევის რაპორტი

სამეგრელო რომ შეუერთდა რუსეთს, პირობა დაიდვა, სამთავროში იგივე სამართალი დარჩენილიყო, რა სამართალიც იყო ძალაში წარსულის საუკუნის დამდეგს. ცოტა შემდეგ, 1816 და 1825 წ. აღიძრა საკითხი: კაცის კვლა, ტყვეთა ყიდვა და ავაზაკობა გარჩეულიყო რუსის კანონის ძალით ქუთაისში, სამხედრო-სამსჯავრო კომისიაში და მთავარმა ლევან დადიანმა ამაზე თავისი თანხმობა განუცხადა რუსის მთავრობას.

სამოქალაქო საქმეების და წვრილმანი დანაშაულების საქმის გაჩენას ეწეოდა ოდიშ-ლეჩხუმში, ისე როგორც იმერეთში, მდივანი, ან რჩევა, რომელსაც დავით დადიანი უწოდებდა ჯერ **საგანზრახოს,** და ბოლოს უზენაეს სასამართლოს.

უზენაეს სასამართლოს იურისდიქცია წერილობით არ იყო დაწვრილებით დაკანონებული. სხვადასხვა საქმეებიდამ ჩანს რომ უზენაესი სასამართლო სამართლის გამჩენი დაწესებულებაც იყო და ადმინისტრატიულიც.

დავით დადიანი თბილისს რომ წავიდა 1842 წელს, სამთავროს უმაღლესი მმართველობა უზენაეს სასამართლოს მიანდო.

ხუთი-ექვსი ოფიციალური საქმეებიდამ, რომელიც სხვათა ხელ-ნაწერთა შორის მე გადმომეცა მთავრის დავით დადიანის ძმის გრიგოლისაგან, სჩანს, რომ უზენაეს სასამართლოს ჰქონდა მინდობილი გამოეძია რამდენად მართალი იყო გრიგოლ ტარიელის ძის დადიანისაგან გავრცელებული ხმა სამეგრელო აღრეულ-იყოს, საჩივარი გაგზავნილ იყოს მთავრინაზედ და თითონ ის, გრიგოლ ტარიელის ძე დადიანი დაყენებულ იყოს სამეგრელოს მთავრისაგან სამეგრელოში ჟანდარმად.

სასამართლოს წევრებს ანტონ ჩიქვანს და გიგო ფაღავას ქონდათ მინდობილი 1857 წელს გამოეძიათ, რატომ ატყდა ხალხის ამბოხება სალიპარტიანოში.

სასამართლოს წევრს ანტონ ჩიქვანს ქონდა მინდობილი გამოეძია ხვარძიკიების და ჩიქავების საჩივარი პეტრე მხეიძეზე, რომელმაც აიკლო მათი ოჯახი მაშინ, როცა ზუგდიდი თურქის ჯარით აიღო **სკინდირ ფაშამ**.

სულ ყველა ამგვარი საქმეები უფრო ადმინისტრატიული თვისების საქმეები იყო, ვიდრე სამსჯავრო.

პირდაპირი დანიშნულება კი უზენაესი სასამართლოსი იყო სამართლის გაჩენა მომჩივან-მოპასუხეთა შორის.

უზენაეს სასამართლოს წევრებს, მდივანბეგებს ირჩევდა მთავარი.

სანამ თანამდებობას მოკიდებდა ხელს მდივანბეგი, იმას უნდა მიეღო ფიცი ძლიერ ხატზე.

მდივანბეგების სხდომას თავმჯდომარეობდა მდივანბეგთ-უხუცესი ან მსაჯულთ-უხუცესი, დავითის დროს ამ თანამდებობას ასრულებდა თავადი როსტომ ჩიქვანი. მდივანბეგებად იყვნენ: სიკო ჩიქვანი, ანტონ ჩიქვანი, ანტონ ახვლედიანი, გიგო ფაღავა, ივანე ჩიქვანი, ვახტანგ ჩიქვანი.

უზენაესი სასამართლოს მდივანი იყო ოქროპირ ასათიანი.

როგორც გადმომცა მსაჯულთ-უხუცესად ნამყოფმა თავადმა პეტრე დადიანმა, საქმის გარჩევას ესწრებოდნენ ხან სამი, ხან ოთხი, ხან ხუთი მდივანბეგები. სასამართლოს სხდომა უმეტეს ნაწილად ინიშნებოდა იქ, საცა ბრძანდებოდა მთავარი, რომლის სახლიდამ იმათ ყოველდღე მოსდიოდა ულუფა, როცა გარემოება მოითხოვდა, მდივანბეგები მიდიოდნენ სხვადასხვა ადგილს სესსიად და იქ აჩენდნენ სამართალს. ხშირად მოურავები ატყობინებდნენ მდივანბეგებს რა საქმეები იყო მათ სამოურავოში გასარჩევი.

მომჩივან-მოპასუხეს უზენაეს სასამართლოში ახდევინებდნენ **"საბჭოს"** ათისთავისათვის განკუთვნილ ბაჟს.

მომჩივან-მოპასუხე გლეხები და აზნაურები უზენაესს სასამართლოს მოახსენებდნენ თავიანთს საჩივარს და საჩივრის პასუხს დაჩოქილად, როგორც ჩინეთში. ვინც მოისურვებდა, შეეძლო თავის მაგიერ სასამართლოში წაეყენებინა ადვოკატი, მაშინდლურად, **ასაბია**. მაშინდელ განთქმულ მოლაპარაკედ დაუსახელებიათ ჩემთვის აბაშელი მაძინია ქოიავა და ჭალადიდელი გუკოჩია ჭოჭუა (ბესარიონ ხოფერიასგან განაგონი).

ერთხელ პეტრე დადიანმა მიამბო: ვახტანგის კანონი დიდი ხანია შემოღებული სამეგრელოში, ოტია დადიანის დროს მაინც (1744). გაგონებით ვახტანგი სიძე იყო დადიანის და მისგან დაწერილი კანონი სიძეობის დროს გამოუგზავნა მთავარს. ერთი უსამართლობა ამ კანონისა ეს იყო: ძმა რომ უმემკვიდრეოდ მოკვდებოდა, მისი მამული მებატონეს მიჰქონდა. კარგი მხარე ეს ქონდა კანონს: საქმე მოწმის ფიცით მთავრდებოდა, მოწმე იკითხვოდა მართლის მთქმელი, არა ქურდი, კარგი ყოფაქცევისა, არც მტერი, არც მოყვარე. ამისგან ტყვილად ფიცის მიღება შეუძლებელი იყო და საქმე სიმართლით წყდებოდა.

დავით დადიანის დროის სასამართლოზე ლაპარაკს, უმართებულო იქნება არ დავსძინო აქ რამდენიმე სიტყვა თვით იმ კაცზე, რომელიც უდგა მართლ-მსაჯულების სათავეს მთელი მისი მთავრობის განმავლობაში, მე ვამბობ თავად როსტომ ჩიქვანზე.

როსტომ ჩიქვანი არის იშვიათი ფიგურა წარსულის დროებისა მთელს ჩვენს სამეგრელოში. **"დიდ-ნიკო"** დადიანის შემდეგ, რომელმაც დაუწერა ლევან დადიანს **"დასტურლამა"**, ანუ მოძღვრება სამთავროს გამგეობისა, სამეგრელოს სამთავრო მმართველობაში სხვა არავინ მეგულება მასზე მეტად დიდ მნიშვნელოვანი და სახელგანთქმული. მოსწრებული სიტყვის პატრონი, დიდებულთა წინაშე უშიშარი, თვით მთავრის ურჩი, როდესაც ამას მოითხოვდა მართლ-მსაჯულება. როსტომ მთელი ხალხის საყვარელი კაცი იყო. ფიზიკურად კოჭლს, იმას ხალხში მოკლედ **"როსთო ქულას"** ეძახდნენ.

(გაგრძელება იქნება)

რედაქციაში წერილი მოვიდა

გაზეთ "ილორის" რედაქციას

მე გახლავართ თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი და დიდად ვაფასებ მის ღვაწლს ჩვენი ქვეყნის წარსულისა და აწმყოს ღირსეული წარმოჩენისათვის.

ყოველივე ამის ფონზე მიუღებლად მიმაჩნია, რომ გაზეთის ბოლო გვერდზე იბეჭდება წერილები მხოლოდ უცხოელ ფეხბურთელებზე, მაშინ, როცა მათზე ერთი თავით მაღლა იდგნენ წარსულ წლებში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები.

მოკრძალებულად გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი მოსაზრება, რათა გაზეთში გამოქვეყნდეს სპორტის მრავალ სახეობებში მონაწილე დიდ ქართველ სპორტსმენთა ბიოგრაფიები, რომელთა შესახებ თანამედროვე ახალგაზრდობას არავითარი ინფორმაცია არ გააჩნია. ქართული ფეხბურთი მხოლოდ 1981 წელს მიღწეულ გამარჯვებას არ ნიშნავს, მის ისტორიას სხვა უამრავი გამარჯვებები ამშვენებენ. თვალშისაცემია, ალბათ, ზოგიერთ ფეხბურთელთა ბიოგრაფიაში გაპარული ფაქტობრივი და თარიღობრივი უხეში შეცდომები, მაგრამ გულით მსურს, რომ, ჩვენთვის ძვირფასი გაზეთი **„ილორი",** იყოს უნაკლო და კვლავაც გააგრძელოს ჭეშმარიტი ქართული საქმის ქმნა.

პატივისცემით,
ზურაბ მორგოშია,
ქალაქი წალენჯიხა.

გაზეთ "ილორის" კომენტარი: მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ბატონ ზურაბ მორგოშიასადმი, რომელიც ჭეშმარიტი გულშემატკივრული გულისტკივილით გვამცნობს საკუთარ სურვილს – წარმოჩენილ იქნენ ქართული სპორტის სხვადასხვა დროის კორიფეები. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი საქმეა სურვილი, მეორე კი მისი მიღწევის გზები და საშუალებები. ჩვენ, ჩვენი მწირი შესაძლებლობების ფარგლებში ვახერხებთ იმას, რომ მოვიზიდოთ უანგარო ენთუზიასტები, რომლებიც, ასე თუ ისე, შედეგიანად უძღვებიან გაზეთ **"ილორის"** სპორტულ კუთხეს. ასე რომ, თუ ბატონი ზურაბ მორგოშია და მისი თანამოაზრე ენთუზიატები გადმოგვიგზავნიან წერილებს ცნობილ ქართველ სპორტსმენებსა თუ დიდ სპორტულ მოვლენებზე, ჩვენ სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ მათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

პატივისცემით,
გაზეთ "ილორის" რედაქცია.

ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის პრეზენტაცია

განახლდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი ლექციები საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საზეიმო ვითარებაში გახსნა.

უწმიდესის ლოცვა-კურთხევითა და დეკანოზ გიორგი ხარაზიშვილის ხელმძღვანელობით ინტენსიური სამუშაოები ჩატარდა. აღდგენილია 6 000 კვ მ ტერასისა და სამების შემოგარენის საფარი, მთლიანად განახლდა და დამშვენდა ახალგაზრდული ცენტრის დარბაზი.

ახალგაზრდული ცენტრის გახსნის ცერემონიაზე შედგა საპატრიარქოს ახალი ჟურნალის – **„უფლის ციხის"**, პრეზენტაცია, რომლის რედაქტორიც ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, მეუფე გრიგოლია. ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოვა. **„უფლის ციხე"** მკითხველს დახმარებას გაუწევს, უკეთ გააცნობიეროს სულიერი, ეროვნული, კულტურული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, რაც აუცილებლობას წარმოადგენს იმისათვის, რომ ადამიანი შედგეს როგორც პიროვნება და მოქალაქე.

უწმიდესისა და უნეტარესი **ილია II** მისალმება: **„უპირველესად, მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ შენობის განახლებაში მიიღო მონაწილეობა. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ისინი! ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დღეს დგას, არის ახალი ჟურნალი, რომლის გამოცემაც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჟურნალი ხელს შეუწყობს ჩვენი ერისა და ეკლესიის გამთლიანებას; იქნება გზათამკვლევი და იმედი მაქვს, რომ არავითარი გაუგებრობა არ იქნება ამ ჟურნალის გამოცემის გამო.**

სარწმუნოება, რომელიც დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა, ეს არის ის საცხოვნებელი საშუალება, რომელიც გადაარჩენს ქართველ ხალხს! შეგვეწიოს ჩვენ წმინდა იოანე ნათლისმცემლის მადლი!

„საქინფორმის" კორესპონდენტებს სტუმრებმა თავიანთი აზრი და შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

დეკანოზი გიორგი ხარაზიშვილი: **„ამ დარბაზის აგება, მგონი, უფრო ადვილი იყო, ვიდრე მისი რესტავრირება. ერთი პიროვნების მატერიალური მხარდაჭერით, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, და უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, დარბაზი მივიყვანეთ დღევანდელ მდგომარეობამდე. დიდი შრომაა ჩადებული ამ საქმეში! მადლობა უწმიდესს თანადგომისთვის და მადლობა ყველას, ვინც ამ საქმის ბოლომდე მიყვანაში წვლილი შეიტანა".**

მეუფე სტეფანე (კალაიჯიშვილი): **„გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამების ახალგაზრდული ცენტრის საკონფერენციო დარბაზში არსებობდა პრობლემები, რომელთა გამოც ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობაც არ იყო. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა და განახლებული და გალამაზებულია ყველაფერი. სარესტავრაციო სამუშაოებს უძღვებოდა მამა გიორგი ხარაზიშვილი, რომელმაც მართლაც უდიდესი შრომა ჩადო ამ საქმეში.**

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი ბრიბოლი, ჟურნალ **„უფლის ციხის"** რედაქტორი: **„თქვენ წინაშეა საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალი „უფლის ციხე", რომელიც დაფუძნდა საქართველოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორეს ლოცვა კურთხევით. ჟურნალი განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის და მიზნად აქვს დასახული, დახმარება გაუწიოს მკითხველს სულიერ, ეროვნულ, კულტურულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების უკეთ გაცნობაში...".**

რუსუდან კერვალიშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე: **„ყველა საქმე, რასაც უწმიდესი ახორციელებს, არის ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო ქართველი ხალხისთვის".**

ზურაბ აბაშიძე, პოლიტოლოგი, საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში: **„ძალიან კარგი დღეა. თავისთავად ის ფაქტი, რომ იხსნება განახლებული საკონფერენციო დარბაზი ახალგაზრდული ცენტრისა, სასიხარულოა. მისასალმებელია, რომ ეკლესიასა და ახალგაზრდა თაობას შორის არის ასეთი კავშირი".**

გურამ ახალაია, ფონდ **„იავნანას"** ხელმძღვანელი: **„ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი საღამო. ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს და ეს არის ადგილი, სადაც ბევრი საინტერესო ღონისძიება შეიძლება გაიმართოს მისი მონაწილეობით. მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდები აქ ყოველდღიურად ივლიან".**

საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასასტროფის ანატომია

დღეს საქართველო თავისი არსებობის მანძილზე ერთერთ უმძიმეს პირობებში იმყოფება: ომგამოვლილი ქვეყანა, განადგურებული სოფლები და ქალაქები, ათეულათასობით ახალი დევნილი. მეორეს მხრივ: დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, შელახული სუვერენიტეტი. მის საზღვრებში ორი ახალი **„სახელმწიფო“** აღმოცენდა. მაგრამ ყველაზე მეტად საზოგადოების განვითარებას აფერხებს ქვეყანაში არსებული კატასტროფული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის სულ უფრო მზარდი ტენდენცია და პერსპექტივაში არცთუ ისე სახარბიელო მომავალი. ეს ყოველივე არის შედეგი იმ ანტიეროვნული პოლიტიკისა რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს დაიწყო და სააკაშვილის რეჟიმმა **„დიდების ზენიტში“** აიყვანა, რომლის უმთავრეს სტრატეგიულ ღერძს ეროვნულ ფასეულობათა საყოველთაო დისკრედიტაცია და სახელმწიფო სუვერენიტეტის ნიველირება წარმოადგენს.

ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ალექსანდრე ჭაჭია ჯერ კიდევ 90-იანი წლების მიწურულს აფრხილებდა ქართველ ერს მოსალოდნელ კატასტროფულ შედეგებზე, რომელიც მოყვებოდა სააკაშვილის და მის თანამოაზრე ე.წ. რეფორმატორების მოსვლას ხელისუფლების სათავეში: **„მოძალაძეთა კავშირის ე.წ. ახალგაზრდული ფრთა წარმოადგენს იმ ამერიკანიზირებული მასობრივი იდეოლოგიური შტამპის პრიმიტიულ მატარებელს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართველი ხალხის პატრიარქალურ ყაიდასთან, ტრადიციულობასა და ეროვნულ თვითმყოფადობასთან. ამიტომ ისინი შეეცდებიან მიზანმიმართულად და მეთოდურად ანგრიონ ეს თვითმყოფადობა მანამ, სანამ არ მიაღწევენ ქართული საზოგადოების დასავლურ უნიფიცირებულ მოდელთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველი აღარ უნდა იყოს ქართველი, შესაბამისად საქართველო აღარ უნდა იყოს საქართველო. ვიძნებით ჯორჯია-2“.** მიუხედავად ბატონი ალექსანდრეს ლოგიკური მსჯელობისა და რაციონალური დასაბუთებისა მისი ნათქვამი დარჩა **„ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“**, თუმცა ქართველი ერი უკვე იმკის ამ შეცდომას, რადგან მოქკავშირის ახალგაზრდული ფრთის ე.წ. რეფორმატორების, და დღეს უკვე **„ნაცმოკრატების“** ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველო ეროვნული დეგრადაციის და დაშლა-დაქუცმაცების გზას დაადგა. ამერიკანიზირებულმა უსამშობლო კოსმოპოლიტმა ნაციონალებმა ეროვნული ფასეულობების ამერიკული **„ვესტმინსტერული“** ფასეულობებით ჩანაცვლების პროცესი წამოიწყეს, რომელიც ყოველგვარი ეროვნულის განადგურებას ისახავს მიზნად. მაგრამ ყველაზე უარესი არის ის რომ ამ პროცესს ჩვენ, ქართული საზოგადოებრიობა არა თუ ხელს ვუშლით, არამედ ჩვენში დაბუდებული კომფორმიზმის, უვიცობის და პასიურობის გამო სააკაშვილის ანტიეროვნულ რეჟიმს საქართველოს თანდათან **„ჯორჯია-2“**-ად გარდაქმნაში **„ვეხმარებით“** და არც ვუფიქრდებით იმას რომ სახელმწიფო თანდათან თვალსა და ხელს შუა გვეცლება.

ყველაზე მეტად დღეს სააკაშვილის რეჟიმის დასაყრდენი არის ჩინ-მედლებით მკერდამშვენებული და ფინანსურ დოტაციაზე მყოფი ე.წ. **„კულტურული ელიტა“**, საბჭოთა ინტელიგენციის გადმონაშთების ვიწრო ჯგუფი, ფონოგრამისტი **„სუპერ ვარსკვლავები“**, პოლიტიკურ პროსტიტუციაში გაწაფული პოლიტიკოსები, გრანტიყლაპია კოლაბორაციონისტები **„ენჯეოშნიკები“**, საკუთარი ხმის ოც ლარად გამყიდველი მოქალაქეები(?) და ა.შ., რომლებისთვისაც ვიწრო მერკანტილური ინტერესების დაკმაყოფილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამართლიანობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ინტერესების დაცვა. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი რომ საზოგადოების აღნიშნულ ნაწილს მიხეილ სააკაშვილი აგვისტოს ომში განცდილი მარცხის და ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვის შემდეგაც ქვეყნის გადამრჩენ ერთადერთ პოლიტიკოსად **„მიაჩნია“** და მზე და მთვარე მასზე ამოსდის. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ტაშისმკვრელთა ეს გრძელი რიგი ვერ (ან არ) აცნობიერებს, რომ სწორედ სააკაშვილის უგუნურმა და ავანტიურისტულმა პოლიტიკამ მიგვიყვანა აგვისტოს ომამდე და სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცებამდე.

ბატონი ალექსანდრე ჭაჭია ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე აკეთებდა შემაშფოთებელ პროგნოზს და ომის დაწყების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავდა, რომელიც შესაძლოა გამოეწვია სააკაშვილის ხელისუფლების ღიად დეკლარირებულ ანტირუსულ პოლიტიკას და ნატოსკენ გაუაზრებელ სწრაფვას: **„თუ ნატოში საქართველოს გაწევრიანების რეალური შესაძლებლობა წარმოიქმნება, ანუ რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ნატოს ბაზების განთავსების საფრთხე გაჩნდება, რუსეთის ხელისუფლება, ცხადია გააფართოებს თავისი უსაფრთხოების ზონას, მათ შორის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ხარჯზეც. ანალოგიურ ნაბიჯს რუსეთი კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრის შემთხვევაშიც გადადგამს, რაზეც ხშირად მსჯელობენ ბრიყვები სააკაშვილის გარემოცვაში. ვფიქრობ ეს კატასტროფა იქნება როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ისე ქართველი ერისთვის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენისთვის“**. აგვისტოს ომმა მართლაც დააყენა საქართველოს სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ, თუმცა დღესავით ნათელია, რომ სააკაშვილის რეჟიმისთვის აგვისტოს ომი არ გამხდარა მწარე გაკვეთილი, რომლისგანაც უნდა გაეკეთებინა ობიექტური დასკვნები და სახელმწიფოს განვითარების რაციონალური მოდელი შეემუშავებინა. ვინაიდან საგარეო პოლიტიკის მთავარ **„ხერხემლად“** კვლავ ანტირუსული რიტორიკა და ნატოსადმი **„ცალმხრივი სიყვარული“** დარჩა.

დიახ, სწორედ რომ **„ცალმხრივი სიყვარული“**, რადგან ნატოს კარი (თუ გული?) მართალია ღიაა ჩვენთვის, თუმცა შიგნით არ გვიშვებენ. ჩვენ კი ნატოს კარებთან სამათხოვროდ ატუზულები ვერც კი ვამჩნევთ ტანსაცმელი თანდათან როგორ შემოგვაცვდა და უკვე რასმუსენის არათუ დაპირება, არამედ მისი არაფრისმთქმელი ღიმილიც რომ აღგვაფრთოვანებს.

თუმცა, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნატო ქართული საზოგადოებისთვის ისეთივე მიმზიდველი აღარ არის, როგორც აგვისტოს ომამდე იყო, მიუხედავად ამისა სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლები ნატოზე ოცნებით იძინებენ და იღვიძებენ. ამრიგად, საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის აკვიატება უფროა – პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად, ვიდრე ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი პოლიტიკური ატრიბუტი.

იყო დრო როცა საზოგადოების დიდ ნაწილს ნატოში გაწევრიანება საქართველოს უსაფრთხოების და დაცულობის გარანტად მიაჩნდა. მაგრამ აგვისტოს ომმა ეს ილუზია გააქარწყლა, რადგან რუსული სამხედრო ძალის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემოჭრას ნატოს მკვეთრი რეაქცია არ მოჰყოლია, რასაც ვარაუდობდა საზოგადოება და ოცნებობდა მიხეილ სააკაშვილი, მხოლოდ შეშფოთებით და მწუხარების გამოხატვით შემოიფარგლა, რამაც ქართული საზოგადოების იმედგაცრუება გამოიწვია.

„ნატოში ისეთი პატარა და სუსტი ქვეყნის გაწევრიანება, როგორიც საქართველოა, ფაქტობრივად, სუვერენიტეტის სრულ დაკარგვას, ხოლო ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მასშტაბური სამხედრო კონფლიქტის პირობებში მორიგ მსხვერპლად და სამიზნედ გადაქცევას ნიშნავს. ნატოსთან დაკავშირებულ მთელ ამ ისტორიაში ამერიკელთა დიდი ინტერესი სავსებით გასაგებია: მათ საქართველო პაიკად სჭირდებათ რუსეთთან დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში“ – აცხადებდა ბატონი ალექსანდრე ჭაჭია.

და მართლაც, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ნათელი გახდა, რომ ამერიკის, როგორც **„თავისუფლების მედროშე“** ქვეყნის ინტერესის საგანს ნამდვილად არ წარმოადგენს **„მეგობარ“** ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერა, როგორც ეს ბევრს ჰგონია. თუმცა ეს არცაა გასაკვირი, რადგან თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ დემოკრატიული ღირებულებები და ქვეყნის თავისუფლება არ არის ისეთი მნიშვნელოვანი **„პრობლემა“**, რომელიც ქვეყნისადმი მხარდაჭერას განაპირობებს. ამერიკას საქართველოსთან მიმათებაში სულ სხვა მერკანტილური მიზნები ამოძრავებს. კერძოდ, ამერიკა საქართველოსთან **„დამეგობრებით“** განავრცობს თავის გავლენას ამიერკავკასიის და შუა აზიის სახელმწიფოებზე. ამით ერთდროულად **„ორ კურდღელს“** დაიჭერს: გახდება მონოპოლისტი ენერგორესურსებით მდიდარ კასპიის აუზში, საქართველოს მეშვეობით კი ხელსაყრელ სატრანზიტო დერეფანს მიიღებს, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია ერთდროულად აღმოჩნდება რუსეთის და ჩინეთის საზღვრებთან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ამერიკის მსოფლიო ინტერესებს. ამრიგად ამერიკას საქართველო თავისი შორსმიმავალი მიზნების უზრუნველყოფის იარაღად სჭირდება, ანუ საქართველო მოწინააღმდეგე მხარის გასანადგურებლად მუდმივად დამიზნებულ ზარბაზანში ჩადებული ყუმბარაა, რომელსაც **„კოვბოი ჯეკი“**, როცა მოისურვებს მაშინ გაისვრის.

ქართული საზოგადოების პრობლემა არის ის რომ ჩვენ არ ვიცით რა არის ჩვენი რეალური მიზანი-საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ღირსეული გაწევრიანება ნატოში, თუ ნატოს მფარველობაში გადასვლა? რადგან თუ ჩვენ ვიბრძვით ღირსეული წევრობისთვის, მაშინ ხელისუფლების პრიორიტეტი უნდა იყოს ეკონომიკურად ძლიერი, პოლიტიკურად სტაბილური, მტკიცე თავდაცვისუნარიანი, ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილი, დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც არ ირღვევა ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა უზრუნველყოფილია, საზოგადოების სოციალური პრობლემები დაძლეულია და ა.შ. მაგრამ ხელისუფლების მიზანი თუ ნატოს მფარველობაში გადასვლაა, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი არცერთი საკითხი არ იქნება გადაწყვეტილი, მაშინ იგივე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა საქართველო **„გეორგი- ევსკის ტრაქტატზე“** ხელმოწერის შემდეგ, რაც დიდი უგუნური ნაბიჯი იქნება.

ამიტომ სპონტანური და გაუაზრებელი ლტოლვა კონკრეტული სახელმწიფოსკენ ან ბლოკისკენ მიუღებელია. ჩვენ უფრო ზუსტად უნდა გვქონდეს განსაზღვრული და გააზრებული ის, თუ ნატოში გაწევრიანება საქართველოსგან რა **„მსხვერპლს“** მოითხოვს, ანუ რისი დათმობის ხარჯზე მიგვიღებენ ბლოკში, ან რას მოვიგებთ ჩვენ ნატოში გაწევრიანებით. კერძოდ, სახელმწიფო სუვერენიტეტი რამდენად შეგვეზღუდება? ეროვნულ ფასეულობათა სისტემას რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს? საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური დონე რამდენად გაუმჯობესდება? და რაც ყველაზე მთავარია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რამდენად იქნება შესაძლებელი? მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს სამწუხაროდ ამ კითხვებზე პასუხები არა აქვს.

თუმცა დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით საქართველოს ნატოში გაწევრიანება უტოპიის სფეროს განეკუთვნება, რადგან შეუძლებელია ნატოს წევრი გახდეს სახელმწიფო რომლის უსაფრთხოების ხელყოფა გალელ კოჭოიას, ხოლო ხელისუფლების ჩამოგდება ცხინვალიდან **„ოქრო ბიჭის“** მიერ ზილით შემოყვანილ 200 რუს სპეცრაზმელს შეუძლია. პარადოქსია მაგრამ ამ ანტირუსულ რიტორიკაზე აგებული პიარ-პოლიტიკის შედეგად, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი საკუთარი უუნარობის დასაფარად აწარმოებს, საქართველო არა თუ შემდგარ სახელმწიფოდ, არამედ სახელმწიფოს იმიტაციად წარმოჩინდება.

ზურაბ ჯამბურია

ზუგდიდში დევნილმა თავის დაწვა სცადა

აფხაზეთიდან დევნილმა როინ მატკავამ თავის დაწვა სცადა. მან პროტესტის ნიშნად სხეულზე ბენზინი გადაისხა და ასანთის მოკიდებას ცდილობდა. დევნილი თავის დაწვას მეზობლებმა და ახლობლებმა გადაარჩინეს. როინ მატკავა დანარჩენ 24 ოჯახთან ერთად დევნილთა სამმართველოს გადაწყვეტილებას აპროტესტებდა, რომლის მიხედვითაც, ზუგდიდში გრენაჟის ქარხნის დასახლებაში მცხოვრები ოჯახები ფოთის ახალ რაიონში 2012 წლამდე არ უნდა გადაეჯვანათ. დევნილთა სამმართველომ ამ დასახლებიდან 16 ოჯახი ფოთში უკვე გადაიყვანა, დანარჩენებსაც შეჰპირდნენ, მაგრამ მოგვიანებით უთხრეს იმ მოტივით, რომ თითქოს ადგილი მხოლოდ ოთხი ოჯახისთვისღა იყო დარჩენილი.

ყოფილი გრენაჟის ქარხანის შენობაში აფხაზეთიდან დევნილები უკიდურესად რთულ მდგომარეობაში ცხოვრობენ. ისინი აცხადებენ, რომ ზამთრის გადატანას ამ პირობებში ვერ შეძლებენ. მომხდარის მიუხედავად, შემთხვევის ადგილზე ამ დრომდე არ გამოჩენილა დევნილთა სამმართველოს წარმომადგენელი.

კობა სუბელიანის უწყებისთვის უგულისყურობის გამოვლენის მსგავსი შემთხვევა პირველი არ არის – შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2010 წელს 27 ოქტომბერს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეზოში აფხაზეთიდან დევნილმა ნანა ფიფიამ ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა. იგი უმძიმეს მდგომარეობაში დამწვრობის ცენტრში გადაიყვანეს, თუმცა ცენტრში მოთავსებიდან 23-ე დღეს გარდაიცვალა. ნანა ფიფიას თბილისიდან ფოცხოეწერში გადასვლა გაუსაძლისი პირობების გამო არ სურდა. როდესაც მან ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს ჰკითხა – რა უნდა ეჭამა ფოცხოში, პასუხად მიიღო – **ბალახი!**

სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ფიფიამ თავის დაწვა.

დეკანოზ თეოდორე გიგნაძეს თსუ-ში ლექცია არ ჩაუტარებინეს

ჯვართამაღლების ეკლესიის წინამძღვარს, დეკანოზ თეოდორე გიგნაძეს გუშინ, 2011 წლის 28 სექტემბერს, თსუ-ს VIII კორპუსში ლექციის ჩატარების საშუალება არ მიეცა. დეკანოზი უკვე ორი წელია, ყოველთვე ატარებს საჯარო ლექციებს თსუ-ს მერვე კორპუსის სააქტო დარბაზში. დეკანოზთან შეხვედრა გუშინაც უნდა გამართულიყო, თუმცა დეკანოზის მრევლს სააქტო დარბაზი დაკეტილი დახვდა. ამ შეხვედრებს ორგანიზებას სპეციალურად შექმნილი სამსახური

– **„თსუ-ს** საპატრიარქოსთან ურთიერთობის ცენტრი“ უწევს. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ სააქტო დარბაზში, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და სწორედ ამის გამოა დაკეტილი.

„ფაქტია, არ შეგვიშვეს, მაგრამ ეს არ არის პრობლემა. წყალს აქვს თვისება – ერთ მხარეს რომ გადაუკეტავ, სხვა მხარეს გაედინება. ღვთის სიტყვა – ეს არის მადლის წყარო, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადაიკეტება... ისინი, ვინც ღვთის სიტყვის გავრცელებას ხელს უშლის, ადამიანები არიან ჩვენსავით და ჩვენ ყველანი ცოცხალი ღმერთის წინაშე წარვდგებით. ამიტომ ისინი საკუთარ თავს, საკუთარ სულიერ ცხოვრებას უქმნიან პრობლემას“,– განაცხადა დეკანოზმა **„პალიტრა TV“**-თვის მიცემულ ინტერვიუში.

შეხვედრის ორგანიზატორების თქმით, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის დაკეტვა ბოლო პერიოდში დეკანოზის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის შედეგია, რომლის მიხედვითაც, მამა თეოდორეს რასიზმში ადანაშაულებენ.

საქინფორმი



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

თავი 23
40-იანი წლების დასასრული – 50-იანი წლების დასაწყისი... ქვეყანა გზაგასაყარზე.

1946 თუ 1947 წელს ეინშტეინმა ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია, იმ დროისათვის დამახასიათებელი სათაურით **"რატომ გვჭირდება სოციალიზმი?"**. ხაზს ვუსვამ, არა – **"გვჭირდება თუ არა სოციალიზმი?"**, არამედ – **"რატომ გვჭირდება სოციალიზმი?"**.

ხრუშჩოვ-ბრეჟნევ-გორბაჩოვის პერიოდის დიპლომატიური მოღვაწე კორნიენკო იხსენებდა ამ სტატიას თავის წიგნში **"ცივი ომი. მისი მონაწილის დაკვირვებები"**. ავტორის ცხოვრებისეული გზა, რომელმაც დიდი სამამულო ომის დასრულებისთანავე დაამთავრა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის უმაღლესი სკოლა, ხოლო, **"პერესტროიკის"** (უფრო სწორად **"გადაშენების"** ეპოქაში) მაღალ თანამდებობაზე წამოსკუპდა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში, სავსებით დამახასიათებელია ქვეყნის ინტერესების მოღალატე ელიტის წარმომადგენლისათვის. კონკრეტულად, კორნიენკო, სიტყვებით სოციალიზმის ერთგული დარჩა, მაგრამ რას გვაძლევენ ჩვენ მისი სიტყვები?

სიყმაწვილეში იგი და მისნაირები არც თუ დიდი გულისყურით კითხულობდნენ ლენინის ნაშრომებს, მით უმეტეს – სტალინისას, მაგრამ საკუთარ თავს მოაზროვნეებად წარუდგენდნენ საზოგადოებას. შემდეგ ისინი სწრაფად მიიწევდნენ წინ კარიერის აღმართებზე, ფიქრობდნენ რა, რომ დიდ პოლიტიკაში მათი მონაწილეობა განპირობებული იყო მათი ტალანტით, მაშინ, როცა ეს წარმატებები განპირობებული გახლდათ მხოლოდ სტალინისა და ბერიას ძალისხმევით.

ისინი სულ უფრო და უფრო მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესი სახელმწიფოს იერარქიაში და ღრმად იყვნენ დარწმუნებულები, რომ სახელმწიფო ძლიერებოდა სწორედ მათი ძალისხმევით, როცა, სინამდვილეში, სახელმწიფოს უძლეველობის საძირკველი ჩაყრილი იყო იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას მიერ.

დადგა ჟამი და ამ ელიტამ, რომელიც დარწმუნებული იყო საკუთარ მესიანიზმში (სინამდვილეში კი, იგი ჩაკირული გახლდათ ზოგიერთ სპეციფიურ სუბსტანციასავით), ბავშვური გატაცებით, ყოველგვარი სინდისის ქენჯნისა და შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე ჩააბარა ეს სახელმწიფო გამორჩეულად უნიჭო, შუბლზე სატანის დამღადასმულ არარაობებს, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლების სათავეებისაკენ ექაჩებოდნენ შავბნელი ძალები.

რატომ მოხდა ასე?

რატომ?

პასუხი არსებობს და მე შევეცდები იგი წარმოგიდგინოთ.

თავის დროზე...

კორნიენკო აღიარებს, რომ ეინშტეინის განსჯამ უფრო მეტი გავლენა იქონია მის მსოფლმხედველობაზე (როგორც ჩანს, მას, გორბაჩოვის ავბედით სუფლიორს, გააჩნდა გარკვეული მსოფლმხედველობა), ვიდრე სტალინის ნაშრომმა **"ლენინიზმის საკითხებზე"**. და, ესეც ნიშანდობლივია.

მოდით, დავუბრუნდეთ ეინშტეინს. აღნიშნულ სტატიაში იგი ხაზს უსვამდა სოციალიზმის უპირატესობასა და სამართლიანობას – არა იმდენად სოციალიზმის საბჭოთა მოდელს, არამედ სოციალიზმს, როგორც საზოგადოებრივ წყობას. მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი და სახელგანთქმული ფიზიკოსი წერდა:

"ჩემის აზრით, სიბოროტის აშკარა ფორმა და ძირი გახლავთ კაპიტალისტური წყობის ეკონომიკური ანარქია... საწარმოები მუშაობენ არა საზოგადოების საკეთილდღეოდ, არამედ პირადი მოგებისათვის... კაპიტალის თავმოყრა ხდება ადამიანთა ვიწრო წრის ხელში, რომლებიც ყალიბდებიან კაპიტალისტ-ოლიგარქებად, რომელთა გიგანტურ ძალას ვეღარ აკონტროლებს თვით დემოკრატიულად მოწყობილი სახელმწიფოც კი... მე მიმაჩნია, რომ არსებობს ამ სიბოროტესთან ბრძოლის ერთადერთი გზა – სოციალისტური ეკონომიკის დამკვიდრება განათლების სისტემასთან ერთად, რომელიც საზოგადოების საკეთილდღეოდ იქნება მოწყობილი..."

კერძო საკუთრებას დახარბებული სამყაროსათვის ეს გახლდათ თავისებური იდეური ნოკაუტი. მაგრამ გრანდიოზულ (ოღონდ, მხოლოდ ფიზიკური მოცულობით) **"დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის"** მეორე გამოცემის 48-ე ტომში განთავსებულ სტატიაში ეინშტეინის შესახებ, ცნობილი ფიზიკოსის მიერ წარმოთქმულ, საბჭოთა კავშირისათვის ამ უადრესად მომგებიან კონცეფციაზე საერთოდ არაფერია ნათქვამი, მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში წარმოდგენილია ეინშტეინის მიერ წამოყენებული ფილოსოფიური შეხედულებები. ვფიქრობ, რომ ეს არ იყო განპირობებული რედაქციის უგულისყურობით – უკვე ჩავლილი იყო სსრკ კომპარტიის მე-20 ყრილობა და ვიღაცეები უკვე მუშაობდნენ სოციალიზმის დემონტაჟზე, ხოლო ცნობილი ფიზიკოსის მოსაზრების წამოწევა ამ ადამიანებს სრულიადაც არ აძლევდათ ხელს.

ასეა თუ ისე, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის გამოსვლამდე ათი წლით ადრე ეინშტეინმა ერთმანეთს შეადარა ეს ორი წყობა, მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები და კაპიტალიზმს ისტორიული განაჩენი გამოუტანა, როგორც მეცნიერმა, მეცნიერული ანალიზის საფუძველზე.

იგი, სხვათა შორის, საუბრობდა ბუნებრივი რესურსების ამოწურვაზე, რომლის პროვოცირებასაც კაპიტალიზმი ახდენდა და ახდენს, ხაზს უსვამდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის 5 პროცენტს შეადგენს, მოიხმარს საერთო ენერგეტიკული რესურსების 30 პროცენტს, რომელსაც ხშირად უაზროდ ატანს ქარს, საბჭოთა კავშირი კი მოიხმარდა ენერგორესურსების მცირე ნაწილს და შემდგომი განვითარებისათვის გააჩნდა ამ რესურსების დიდი მარაგი.

ამერიკის შეერთებული შტატები უფრო და უფრო თავხედურად ძარცვავს სხვა ქვეყნებს, საბჭოთა კავშირს კი შეეძლო ურთიერთსასარგებლო გარიგებებით გაეყო ეს სიმდიდრე სხვა ქვეყნებისათვის. მაგრამ, დიდი სამამულო ომის შემდეგ თავი იჩინეს სხვა პრობლემებმა და, იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა მათი გადაწყვეტა, სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული რეალური სოციალიზმის მომავალი – ეინშტეინის დასკვნების შესაბამისად კი – მთელი პლანეტის მომავალი.

მეტად დამაჯერებლები რომ ვიყოთ, მე კვლავ დავეყრდნობი ახალი სამყაროს კიდევ ერთ დებულებას. თვითნასწავლი ამერიკელი მხატვარი როკუელ კენტი საინტერესო ლიტერატორიც გახლდათ და მეტნაკლებად საინტერესოა მისი ავტობიოგრაფიული ხასიათის წიგნი **"ღმერთო ჩემო, ეს მე ვარ!"** და, აი, რას ვპოულობთ მასში:

"ჩამოვედით რა პარიზში (ეს ხდებოდა 1950 წელს, მშვიდობის მორიგ საერთაშორისო ფორუმზე – ს.კ.) ძლივს მოვასწარი სასტუმროში შხაპის მიღება; წავედით დეპუტატთა პალატაში... ჩემი სიტყვით გამოსვლის შემდეგ შემომთავაზეს მოსკოვში, დელეგაციის შემადგენლობაში, გამგზავრება. მოსკოვი! ეს ხომ აკრძალული ქვეყნის ზღაპრული დედაქალაქია!.. და თუ ჩვენ გვსურს მშვიდობა, მაშინ სად უნდა დავიცვათ იგი ყველაზე ენერგიულად, თუ არა მშვიდობის მტრების ციტადელში, როგორიცაა თითქოს ეს ქალაქი? მაშ ასე, ჩვენ მოსკოვში მივფრინავთ...

მოსკოვი ჩემს თვალწინ გადაიშალა როგორც ვეებერთელა ქალაქი, რომელიც კარგად ჩაცმული და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილე, მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩაბმული ხალხითაა დასახლებული. მე ვიხილე მსოფლიოში ყველაზე სუფთა ქალაქი, ბევრად უფრო სუფთა, ვიდრე სტოკჰოლმი ან კოპენჰაგენია...

ყოველ საღამოს ჩვენ დავყავდით ოპერაში, ბალეტზე, თეატრში ან კინოში. დარბაზებში ხალხმრავლობა იყო. ხალხთა მასისაგან არავინ გამოირჩეოდა სიმდიდრით ან სიღარიბით..."

"ეს ხომ სტალინ-ბერიასეული "პოტიომკინის სოფელია", – ირონიულად ჩაიცინებს ამ სტრიქონების წაკითხვისას **"დემოკრატი"**. და მწარედაც შეცდება, იმდენად, რამდენადაც ამგვარი **"დემოკრატი"** შეიძლება შეცდეს. რადგან შემდომში, აი, რას ვკითხულობთ:

"...ერთხელ, გვიან ღამით, როცა შინ ვბრუნდებოდი, გზა დამებნა. მილიციონერის ძებნაში, რომელსაც შეეძლო ჩემთვის გზა მიესწავლებინა, ქალაქის რამდენიმე კვარტალი გავიარე. მილიციონერს ვერსად შევხვდი და იძულებული შევიქენი, რომ რიგითი გამვლელი შემეჩერებინა, რომელიც უადრესად კეთილმოყვრული პიროვნება გამოდგა..."

აი, როგორი იყო მაშინ, 1950 წლის ნიმუშის **"ტოტალიტარული"** მოსკოვი. ალბათ არ ღირს იმაზე საუბარი, თუ როგორ გამოიყურება დღეს **"დემოკრატიული"** მოსკოვი...

დიახ, 1950 წლის დასაწყისისათვის მსოფლიოს წესიერი ადამიანები ხედავდნენ, რომ რუსეთი კვლავ ხდებოდა ზემძლავრი და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. ორმოციან წლებში ნახევარი სახელმწიფო ნანგრევებად იყო ქცეული. ადამიანები დიდ გასაჭირს განიცდიდნენ, მაგრამ პერსპექტივები ნათელი მომავლის იმედს იძლეოდნენ – სავსებით ლოგიკურად. მაგრამ, ამავე დროს არსებობდა განგაშის საფუძველიც.

ის რაც ხდებოდა საბჭოთა კავშირში, უპრეცენდენტო გახლდათ მთელ მსოფლიოში. პირველად მოხდა უდიდესი ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი სივრცის ცენტრალიზება, მისი მაჯისცემა კი ყოველმხრივ გეგმაზომიერი იყო. ეს სისტემა წარმატებით მოქმედებდა და ვითარდებოდა.

მაგრამ, რის ხარჯზე?

ასეთ უკიდეგანო ქვეყანაში, ამგვარი ისტორიით, ეს დაუჯერებელი წარმატება შეიძლებოდა მოსულიყო მხოლოდ ორი გზით: 1) ხალხის მონდომება და 2) მისი ადექვატური, კომპეტენტური მართვა.

საბჭოთა კავშირის მართვა ხდებოდა ორი აღვირის მეშვეობით: პარტიული და სახელმწიფო. პარტიასა და მის უმაღლეს ორგანოს – სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს უნდა უზრუნველეყო საზოგადოების ცხოვრების მორალური და სულიერი მხარე.

სახელმწიფოს, და მის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს – სსრკ მინისტრთა საბჭოს უნდა უზრუნველეყო სამეურნეო და ეკონომიკური ხელმძღვანელობა.

ამასთან, კომუნისტურ პარტიას სრულად გათვითცნობიერებული უნდა ჰქონოდა სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში, მთავრობას კი უნდა გადაეჭრა ეს პრობლემები. მაგრამ, ვის უნდა წარემართა ყოველივე ეს? ეს საკითხი წამოიჭრებოდა სავსებით ობიექტურად. და თუ მას თვალს ავარიდებდით, იგი კი არ გაქრებოდა, არამედ უფრო გამწვავდებოდა.

სტალინს კარგად ესმოდა, რომ, როცა სოციალიზმმა გაიმარჯვა ამ გამანადგურებელ ომში, პარტიულ ორგანოებს უნდა დაერწმუნებინათ ხალხი საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობაში. წარმატებები თვალსაჩინო და ხელშესახები გახლდათ, ახლა კი საჭირო იყო ამ წარმატებების კიდევ უფრო პრაქტიკული განვითარება. დავუშვათ, თუ რომელიმე ქარხანაში რომელიმე პარტიის წევრს უნარიანად შეუძლია გაუძღვეს საქმეს და განავითაროს ქარხანა, რა თანამდებობაზე უნდა დავნიშნოთ იგი – ამ ქარხნის პარტორგანიზაციის მდივნად თუ მის დირექტორად?

და თუ რომელიმე ქალაქში, კონკრეტული პარტიის წევრი სხვებზე უფრო უნარიანად გაუძღვება ქალაქის განვითარების საქმეს, მაშინ რას უნდა უხელმძღვანელოს მან – პარტიის საქალაქო კომიტეტს თუ ქალაქის საბჭოს?

ორივე შემთხვევაში, პასუხი, თითქოს ნათელია.

და თუ მართვის საქმეში ჩახედულ და კომპეტენტურ ადამიანებს გავაგზავნიდით ქალაქის საბჭოთა და ეკონომიკური სტრუქტურების ხელმძღვანელებად, მაშინ გადამწყვეტი ხმის უფლებაც მათ უნდა ჰქონოდათ. ასე არ არის?

თითქოს – ასეა.

მაგრამ, ოლქებში?

მაგრამ, რესპუბლიკებში?

მთლიანად საბჭოთა კავშირში?

გამოვა კი ასე...

ყველაფერ ამაში იყო კიდევ ერთი მწვავე მომენტი.

იმისათვის, რომ მიეთითებინა მეტალურგიული ქარხნის დირექტორისათვის, თუ როგორაა უმჯობესი ფოლადის გამოდნობა, შავი მეტალურგიის სამინისტროს ხელმძღვანელობაში მყოფ პარტიის წევრს თავად უნდა გაევლო პროფესიული წრთობის უამრავი საფეხური. მაგრამ, პარტიის წევრს, რომელიც გუშინ სკოლის დირექტორად მუშაობდა, თუ დღეს იმ ქალაქომის მდივნად აირჩიეს, სადაც განთავსებული იყო მეტალურგიული კომბინატი, ეძლეოდა იმის უფლება, სათანადო მითითებები მიეცა როგორც ამ მეტალურგიული კომბინატის, ისევე რძის კომბინატის დირექტორისა და უნივერსიტეტის რექტორისათვის.

სოციალიზმი – დირექტიული წყობაა და ამაში, თავისთავად, დასაძრახი არაფერია. თავისთავად, ცუდია არა დირექტივა, არამედ ამ დირექტივის არაკომპეტენტურობა. მაგრამ, ვის უნდა შეემუშავებინა და გაეცა კომპეტენტური დირექტივები?

სოციალიზმის განვითარების კვადაკვალ, ბევრნი ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო სისტემის შემდეგი ეტაპი. ისეთმა **"მოაზროვნე"** ადამიანმაც კი, როგორიც იყო ნიკიტა ხრუშჩოვი... მას შემდეგ, რაც გაუსწორდა ბერიას და **"მალენკოვ-კაგანოვიჩ-მოლოტოვის ანტიპარტიულ ჯგუფს"**, 1957 წლის 1 ნოემბერს, მოსკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციის აქტივის შეკრებაზე წამოაყრანტალა (ამ ღონისძიებაზე იგი საერთოდ ყრანტალებდა) საინტერესო რაღაცეები! მე მოვიყვან მის სიტყვებს ჩაუსწორებელი სტენოგრამიდან, რომელიც გამოაქვეყნა ფონდმა **"დემოკრატია". "გიორგი ჟუკოვი". "დოკუმენტები"**:

"...ავიღოთ ბერია. სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერია რომელი მიმართულებით მოქმედებდა? იგი შეუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს გაძლიერებას და პარტიის დასუსტებას" (ხრუშჩოვი აქ ამახინჯებდა ფაქტებს, რადგან ბერია ესწრაფვოდა მინისტრთა საბჭოს გაძლიერებას, პარტიულ ყბედებს კი საერთოდ იგნორირებდა – ს.კ.)... ეს კი ნიშნავდა პარტიის დათრგუნვას... ეს იყო, ამხანაგებო, ლაშქრობა პარტიის წინააღმდეგ, მის გასანადგურებლად და პირადი როლის გასაძლიერებლად. ამის გაკეთება მხოლოდ მხოლოდ ჩვენს დაუძინებელ მტრებს შეეძლოთ.

ახლა ნახეთ, თუ ავიღებთ მალენკოვს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, შეპილოვს, ამგვარი დავა წარმოიქმნა მოლოტოვთან. მაგრამ, დავუშვათ – ბერია და მოლოტოვი სხვადასხვა ადამიანები არიან – ეს სრული სიმართლეა. მაგრამ ჩვენ მოლოტოვთან გვქონდა დავა აზრთა სხვაობის გამო, მას შემდეგ, როგორც კი სტალინი გარდაიცვალა. იგი ამტკიცებდა, რომ საჭიროა საბჭოთა ორგანოების როლის გაზრდა. ჩვენ (ვინ: ჩვენ? – ს.კ.) ვთქვით: არა, უნდა გავზარდოთ პარტიული ორგანოების როლი...

ვის შეუძლია კომუნისტურ პარტიაში მოწინააღმდეგის განადგურება? რა თქმა უნდა, თავად პარტიას! ამიტომ, პარტიის როლის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. კომუნისტური პარტია რომ არ გასწორებოდა ბერიას, იცით კი, საით წავიდოდით?"

მართლაც – საით წავიდოდით?

საითაც წავედით ხრუშჩოვთან ერთად, ჩვენ კარგად ვიცით.

მაგრამ, საით წავიდოდით ბერიას ხელმძღვანელობით?

და სად მივდიოდით ჩვენ ომის დამთავრების შემდეგ, სტალინის ხელმძღვანელობით?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულის ნოსტალგია

– ხვალ მოვა სპირიდონე და შეაკეთებს, სულ დალპა სახურავი, კრამიტიც გადასალაგებელია, – ამოიოხრა, სართავი გადაახვია და ბუხრის თავზე შემოდო, შემდეგ ტაბაკის ქვემოდან ფილთაქვა გამოიღო და ნივრისა და მწვანილის ნაყვას შეუდგა.

დუშა ბების აჯიკას მთელ რაიონში გაეთქვა სახელი.

დღე და ღამ მუშაობდა.

დღისით ბაზარში,

ღამით ბუხრის წინ... სანამ არ ჩაეძინებოდა.

ის ღამეც ჩვეულებრივად ილეოდა.

– პამაგიტე! – თითქოს ხმამ გამოაფხიზლა მოხუცი ქალი.

ხმა ჭიშკრიდან ისმოდა.

– ვინ არის ამ შუაღამისას, ამ თავსხმაში? – ფანჯრიდან გაიხედა.

ჭიშკართან ახალგაზრდა ქალი იდგა.

– კეთილო ხალხო, მიშველეთ, გეთაყვა!

დუშა ბები გარეთ გავარდა.

– ბაბუშკა, ბაბუშკა! დამეხმარეთ, გემუდარებით!

– ვაიმე, შვილო,– დუშა ბებიმ ხაჯალურით დახშული ჭიშკარი რის ვაი-ვაგლახით გააღო,– შემოდი, ეს რა დაგმართნია... შემოდი, შვილო.

ოთახში შეიყვანა, ტანთ გახადა და ლოგინში ჩააწვინა.

– გმადლობთ, ბაბუშკა.

დუშა ბებიმ ტანიას ცრემლიანი თვალსახე მოუწმინდა. ბუხარს ცეცხლი შეუკვეთა. რძე აადუღა.

თითქმის მთელი ღამე თავს დასტრიალებდა.

დილით მეზობლები ეახლნენ: ბებიაქალი ნაზო მეზობელი ქუჩიდან, ინდიკოს უმცროსი შვილი მზია – მსუქანლოყა ქერა გოგო, ქსენია და სპირიდონე.

ყველა თავს დასტრიალებდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს.

სპირიდონემ სახურავი შეაკეთა.

ქალებმა თეთრეული მოამზადეს.

– ალბათ მალე იმშობიარებს, არა, დუშა ბები? – ჰკითხა მზიამ.

– დღე-დღეზე ველოდებით, შვილო.

თითქმის მთელმა ბაზარმა და მიმდებარე ქუჩის მცხოვრებლებმა გაიგო ეს ამბავი.

– საბრალო გოგო, ეს რა უბედურება მოსვლიაო.

– მადლობა ღმერთს, ბედი ჰქონიაო.

– დუშა ბები მოუვლის, დუშა ღმერთის ქალიაო.

კვირის თავზე ტანიას ბიჭი შეეძინა. ზურიკო შეარქვეს.

ტანიასა და დუშა ბების სიხარულს ყველა იზიარებდა.

– აწი რაღა გიჭირს, დუშა ბები, ერთბაშად შვილიშვილი და შვილთაშვილი მოგივლინა ღმერთმა.

– რამდენი შვილი გაზარდა.

– შვილიშვილები.

– ომის დროს მაზლისშვილებსაც ზრდიდა.

– თუმც გაჭირვებით, მაინც დიდ მზრუნველობას იჩენდა.

– ღმერთის ქალია დუშა ბები.

– პატიოსანი და სევდიანი.

სპირიდონემ სხვენიდან ძველებური აკვანი ჩამოიტანა.

– ეს ბედნიერი აკვანია, მერამდენე ბავშვი იზრდება ამ აკვანში, კეთილი ადამიანის ნაბოძებია, მოსე მღვდლის. ეგ მაშინ იყო, პირველი შვილი რომ შემეძინა. მოსე მღვდელმა ასე დამლოცა, – დუშა ბების თვალზე ცრემლი მოერია, – ამ აკვანში დედის ძუძუს რძის მეტი არაფერი ჩაღვრილიყოსო.

– ალბათ სისხლი და ცრემლი ჰქონდა მხედველობაში, – უთხრა მზიამ.

– კი, შვილო, ცრემლი და სისხლი... მხოლოდ დედის ძუძუს რძე... ვინც ამ აკვანში გაიზარდა, არასოდეს არ გამხდარა ავად, – მზიას გაუღიმა,– შენ როცა გათხოვდები და შვილი გეყოლება, ამ აკვანში გავზრდით.

– რა გაათხოვებს, კვატასავით დადის, სირბილი არ შეუძლია, – გაიხუმრა სოლომონის პატარა ბიჭმა და გაიქცა.

მზია ქოშინით გაეკიდა, მაგრამ რას დაეწეოდა.

ყველა იცინოდა.

დღეები გადიოდა. ტანია ყველას შეეჩვია. ბავშვს ხან დუშა ბები, ხან თვითონ, ხანაც მზია უვლიდა.

ტანია დუშა ბების აჯიკის გაკეთებაში, შეშის დაჩეხვაში და სადილის მომზადებაში ეხმარებოდა.

– ეს გოგო ღმერთმა გამომიგზავნაო, – ხშირად ამბობდა.

ტანია სპირიდონესაც ეხმარებოდა. მერამდენედ შეაკეთეს დუშა ბების ძველი ოდის სახურავი.

– რანაირი ოხერი ქალია ეს დუშა ბები, გამუშავებს, არაყს არ დაგალევინებს, – წუწუნებდა სპირიდონე.

– არ დაუჯერო, ტანია, იტყუილება, რაც მე ამ მასხარასათვის არაყი დამილევნებია, არც ერთ სასადილოში არ დალეულა, – სპირიდონეს ქოქოლას აყრიდა.

– აყროლებული კარალიოკიდან რაღაც სასწაულს გამოხდის და ჭაჭას ეძახის... კარალიოკის ჭაჭაო, სად გაგონილა კარალიოკის ჭაჭა? ნამდვილი კარბიტია, წიწაკიანი კარბიტი, ყვავს რომ უკან შეასხა, სტამბოლამდე ჩხავილით ჩაფრინდება, ისე რომ არსად არ შეისვენებს, – იცინოდა სპირიდონე.

– სწორედ იმიტომაც არ მიირთმევ, მამა გიცხონდა.

ხანდახან უაზროდ იცოდა სპირიდონემ წუწუნი, ორი-სამი ჭიქა რომ არ გადაეკრა, ცოცხალი თავით სახურავზე არ ავიდოდა: რაღა მაინც და მაინც წვიმიან ამინდში მოუნდება ამ ქალს დამტვრეული სახურავის რემონტიო?

– აბა მზიან ამინდში შენი სახურავზე ასვლა კი არ მიხარიაო.

– ეეჰ, გააგებინე ახლა ამას, თვითონაც არ იცის რას ამბობს, მთლად გამოჩურჩუტდა, მერამდენედ ვეუბნები, ეს სახლი დასანგრევია და ახალია ასაშენებელიმეთქი, დუშას ხნის თუ არა, ჩემი ხნის მაინც იქნება.

– ისე არც შენ ხარ მთლად ყმაწვილკაცი, შენი ხნის ქვა არ გდია ღალიძგის პირას, განა მე არ ვიცი, რომ ახალი სახლია ასაშენებელი, – აკვანში მოღიღინე ჩვილს დახედა, – აი, წამოგვეზრდება ზურიკო და ააშენებს.

– შენი შვილები და შვილიშვილები, მთელ საბჭოთა კავშირში რომ არიან მოფენილები, ზურიკოს იმედით არიან? ზაფხულობით ხომ უნდათ, აგარაკი, ბატონო, ზღვის პირას.

– უნდათ, როგორ არ უნდათ, ჩემო ოხერო სპირიდონე.

სულ მხიარულება სუფევდა დუშა ბების სახლში, თითქოს გამოცოცხლდა ცხოვრება.

ბავშვს დუშა აძინებდა, მეგრულ ნანას უმღეროდა, ნანაია სქუაიას.

ტანიამაც ისწავლა იავნანა, ხშირად ამბობდა: ძალიან მომწონს თქვენი კალიბელნაიაო... მაინც საიდან გამომდინარეობს თქვენი სახელი? დუშა ჩვენებურად სულს ნიშნავსო.

დუშა ბები ამ შეკითხვაზე პასუხს ვერ სცემდა, სამაგიეროდ სპირიდონე მოიფიქრებდა რამე ხრიკს: აქ სხვანაირ დუშასთან გვაქვსო საქმე, ტყის ქალთან, რომელმაც დუშას სულში დაიბუდაო, დუშა ალქაჯის სახელიაო... დღე არ გავიდოდა, არ ემაიმუნა: ხან აჯიკის ქილას ტომატის ქილით შეუცვლიდა, ხან საარყე ბოთლში წყალს ჩაუსხამდა, არაყს კი თვითონ დალევდა.

– რას გიშვება ეს შეჩვენებულიო?

იცინოდნენ და იცინოდნენ.

საბრალო დუშა ბები აჯიკის გარდა ბაზარში ჩუმ-ჩუმად თავის გამოხდილ არაყსაც ყიდიდა, ეგ კი კანონით აკრძალული იყო. ერთხელ მილიციელმა გამოხდის დროს წაასწრო და არყის გამოსახდელი მოწყობილობები დაუმტვრია.

მეზობლები წყევლა-კრულვით ეცნენ მილიციელს, ყველაზე მეტად სპირიდონე აქტიურობდა.

– ამ საბრალო ქალის ცოდვით ვერ გაიხარებო!

– შე უღმერთო!

– შე უსინდისო!

– რას ერჩით, თავისას ყიდის, ხომ არ იპარავსო!?

გულქვა მილიციელი განა გაიგებდა.

– რადგან სახლში ნაბიჭვრები შემოყარა, აჯიკას ხომ ყიდის, იმით ჭამონ პური, არ ყოფნით? მე რა შუაში ვარ, კანონი კანონიაო! – ვითომ თავს იმართლებდა.

ქალებმა დაუცაცხანეს:

– სად გაიხარდე ასეთი არაკაცი!

– არამზადა!

– შენისთანები ილორში არიან გადასაცემი!

– ხატზე!

მილიციელს არაფერი ესმოდა.

– გამანებეთ თავი, ჯანდაბისკენ გქონიათო გზა!

– გაიძვერა!

– მათხოვარი!

რა არ უწოდეს.

მილიციელი კი გააქციეს, მაგრამ ამით დუშა ბების არყის გამოსახდელ მოწყობილობებს მაინც არაფერი ეშველა.

ტანია ძალიან ღელავდა, მარტო აჯიკის გაყიდვით ძნელი იყო სამი სულის რჩენა. არ იცოდა როგორ ენუგეშებინა მოხუცი.

მეორე დღეს სპირიდონემ ეზოში მეწველი თხა შემოიყვანა.

– დუშა ბები! ტანია! მიიღეთ საჩუქარი!

მეზობლებს ფული შეუგროვებიათ და თხა უყიდიათ.

სპირიდონე ერთი ჭიქის კი არა, მთელი ბოთლი არყის ღირსი იყო, თხის რძე ჩვილ ბავშვს ძალიან მოუხდებოდა.

ერთ საღამოს დუშა ბებიმ ტანიას ჰკითხა:

– ჩემო ტანია, როგორ ფიქრობ, ამ ქუჩაზე ჩემი სახლი ყველა სახლზე პატარაა, ნახევრადწაქცეული ძველი ოდა, ორად-ორი ოთახი... ალბათ ღვთის ნება იყო, აქ რომ მოხვედი. იქით, ცენტრში ორი და ზოგან სამსართულიანი სახლები დგას, შენ კი მაინც ჩემთან მოხვედი.

ტანიამ სევდიანად შეხედა, მოეხვია, თვალები დაუკოცნა და უთხრა:

– ჩემო კეთილო დუშა ბები... იცით, პატარა ოთახში მეტი სითბოა, ვიდრე დიდ ოთახში, სხვაგან ალბათ ისე ვერ მიმიღებდნენ, მეც ვერავის შევაწუხებდი, თქვენისთანა კეთილ ადამიანს ვერსად შევხვდებოდი.

თავი III
შორი გზის დასაწყისი

გამოიზამთრეს.

ბავშვიც წამოიჩიტა.

ბაზრიდან დაბრუნებულ დუშა ბების ტანია ატირებული დახვდა.

– რა მოგივიდა, შვილო?

ტანიამ წერილი მიაწოდა.

– თქვენებისგანაა?

– კი, დედისგანაა.

– ჩამოვიდნენ ჩვენთან.

– არა, ისინი ვერ ჩამოვლენ, ისინი რაღაცას ხვდებიან, ასე ფიქრობენ, რომ მე მათ ვატყუებ, რომ მე ქმარი არ მყავს, არც ბავშვი. სურათი მინდა გავუგზავნო... მამუკას სურათიც ხომ უნდა გავუგზავნო... მქონდა, მაგრამ დამეკარგა.

– სხვა ვინმესთან რომ გადაიღო... არა, არ გამოვა, იქნებ გამოჩნდეს შენი მამუკა. გული მიგრძნობს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება... პატარა გოგო ხარ, სიყვარული გინდა, მომავალი, პატრონი... დედა რას წერს?

– ჩამოდიო.

– მამა?

– მამა ძალიან გაბრაზებულია, არც ის ვიცი, სახლში შემიშვებს თუ არა.

ჩაფიქრდნენ.

სიჩუმე ბავშვმა დაარღვია. პატარა ზურიკო აკვანში ლუღლუღებდა.

– რა ლამაზია, სულ შენ გგავს, ალბათ შენს მეუღლესაც.

ტანიამ ამოიოხრა:

– ჩემს მეუღლეს უფრო ჰგავს.

ამ დროს ოთახში სპირიდონე შემოვიდა, სასიხარულო ამბავი მოიტანა: ინდიკოს უფროსი გოგო გაუთხოვებია გუდაუთელ აფხაზზე. საქმე დაიძრა, მალე მეორე მიჰყვება, მერე მესამე და ბოლოს მზია. ასე ფიქრობს ინდიკო, სულ მისი ჭყიპინით რომ გვაქვს ყურები გამოჭედილი. აწი ისიც დაისვენებს და ჩვენც დაგვასვენებსო.

დიდი და პატარა ინდიკოს სახლის წინ შეიკრიბა, ინდიკოს ერთ ხელში ყანწი ეჭირა, მეორეში – თოფი.

– გაგიმარჯოთ, მეზობლებო! ყველას გეპატიჟებით! დაიძრა აისბერგი!

– გილოცავთ, ინდიკო, მალე დანარჩენებიც მიგეყოლებინოს!

– რიგრიგობით!

– სიმაღლის, წლოვანების და წონის მიხედვით!

– კაი დედამთილობას გისურვებ, ფუცა!

– თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, თქვენ გენაცვალეთ!

– ახლა მოგაწყდებიან აფხაზები, ყვავიჩხიკვის მამიდადან დაწყებული, ყოველდღე ორ-ორი და ზოგჯერ სამ-სამი წყება სუფრა გექნება გასაწყობი.

– მაგი საქმე ჩვენ არ გვეშლება, მთავარია დაიძრა აისბერგი!

– ცირა უფროსი იყო, კანონით პირველი ის უნდა გათხოვილიყო.

– ვითომ რაა, შუათანას რომ მოსდგომოდა კარზე ბედი, ინდიკო უარს იტყოდა? – ხითხითებდა სპირიდონე.

ყველა მხიარულობდა.

საღამოზე დუშა ბებიმ მთვრალი სპირიდონე ეზოში შემოათრია და უთხრა:

– მისმინე, ხო იცი როგორ მიყვარხარ, რაღაც მინდა გკითხო და შენი რჩევა მინდა.

– ვა! როდის იყო ჭკუას მეკითხებოდი? სულ გიჟს მეძახი.

– მისმინე, შე ოხერო.

– თქვი, მალე, ინდიკოს სტუმრების კიდე ერთი წყება უნდა მოვინელო.

– როგორ ფიქრობ, რა უნდა მოვუხერხოთ ამ ბადანას? ზამთარი გავიდა, მე არ მინდა, რომ წავიდეს, მაგრამ მას ხომ მშობლები ჰყავს? თავისი ოჯახი.

– მართალი ხარ, დუშა ბები, ალბათ უნდა გავუშვათ.

– მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ?

– თვითონ მას თუ უნდა წასვლა?

– არაფერს ამბობს, ხათრიანი გოგოა. ელოდება, საიდან მოვა, მისი ასავალ-დასავალი არ იცის, მილიციამ წაიყვანა და გაიგე ახლა შენ, სად არის და რომელ ციხეშია.

– მისამართი თუ იცის?

– საიდან ეცოდინება ციხის მისამართი?

– სხვა მისამართი!

– იმ ბიჭის?

– ჰო, აბა ჩემი?

– სამტრედიის რაიონში ცხოვრობს, არ იცოდი?

– ვიცი, მერე რა უნდა მანდ ჩასვლას, ორი საათი ავტობუსით. ადრე უნდა მოგვფიქრებინა, თუმცა არც ახლაა გვიან. მარტო ვერ წავა, ვინმე უნდა გაყვეს.

– მარტო ვერ წავა კი არა, არ წავა, რადგან მის მშობლებს არ იცნობს.

– გაიცნობს, ძნელია გაცნობა?

– მისმინე, სულ მასხრობის ხასიათზე ნუ ხარ, ბიჭი რომ დაიჭირეს, ეგ რამდენიმე დღის გათხოვილი იყო.

– ეგ ვიცი.

– ჰოდა, რომ იცი, ამიტომაც გეუბნები, შეიძლება ბიჭის მშობლებმა არ მიიღონ და საწყალ გოგონას გული უფრო არ ეტკინება?

– მართალია.

– წადი შენ.

სპირიდონე წამით ჩაფიქრდა, კეხიანი ცხვირი მოიფხანა და წაიმღერა:

– წაავაალ, აბა�ა, აარ წაავაალ, წაავაალ დაა მოოვძეებნიიოო! სპირიდონე პირველიოოო! სვანეთშია პიირვეელიიოოო! აფხაზეთშიც პიირვეელიიოო! სამეგრელოშიც პიირვეელიიოო! იმერეთშიც პირველი ვიქნები, ჩემო დუშა ბები, ოღონდ დაზვერვაა საჭირო.

– რა დაზვერვა, რის დაზვერვა, შე უკუღმართო?

– ჩემი ინსტრუმენტებით უნდა წავიდე, იქაც ვინმეს ღობე ექნება შესაკეთებელი, მე ყველგან საჭირო კაცი ვარ.

– წაიღე, რაც გინდა ის წაიღე, ოღონდ ეს საქმე მოაგვარე.

ამ დროს ოდადან ტანია გამოვიდა ბავშვით ხელში.

– ტანია, ჩვენ გადავწყვიტეთ.

– რა, დუშა ბები?

სპირიდონემ დუშა ბების ხელი გადახვია და შუბლზე აკოცა.

– მზად ვარ, დილაუთენია მერცხალივით ვიქნები, ოღონდ ერთი ბოთლი კარალიოკის ჭაჭა შენზეა! – მხიარულად შეხტა და ინდიკოს სახლისკენ წაკვანჭალდა.

– ერთს კი არა, მთელ ხუთლიტრიან დოქს ჩაგაცეცხლებ! – მიაძახა დუშა ბებიმ, – ოღონდ ამ ბავშვს რამე ეშველოს.

მეორე დილას თითქმის მთელი ქუჩა აცილებდა სპირიდონეს.

ტანიას ამხნევებდნენ:

– ყველაფერი კარგად იქნებაო!

– მალე შენს მარტოობას ბოლო მოეღებაო!

– უფალი დიდიაო!

– სიკეთე გაიმარჯვებსო!

სპირიდონე ავტობუსში ჩასვეს.

ნარო კოლხელი
(ნარიმან იაშაღაშვილი
(გაგრძელება იქნება)

მარტვილელი ჯონი ბენიძე მსოფლიო ჩემპიონია

სრულიად რუსეთის სპორტის ფედერაციის ჟურნალმა **"Гиревой спорт"** გამოაქვეყნა მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწში დაბადებული მსოფლიო ჩემპიონის ჯონი ბენიძის ფოტოსურათი.

მაშ ასე, მარტვილელი ჯონი ბენიძე რუსეთისა და მთელი მსოფლიოს სპორტის სიამაყეა! აი, ნაწყვეტი აღნიშნული სტატიიდან:

"ჯონი ბენიძე მსოფლიო ჩემპიონია!

25-29 აპრილს ესტონეთის ქალაქ იიგევაში გაიმართა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი გირების აწევაში. რუსეთის ნაკრებს 68 კილოგრამიან წონით კატეგორიაში წარმოადგენდა ვიტეგორელი სპორტსმენი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ჩემპიონი ჯონი ბენიძე. იგი ტურნირის სამგზის ჩემპიონი გახდა. 24-კილოგრამიანი გირი, 10 წუთის განმავლობაში 180-ჯერ აზიდა და 387 ქულით ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა, მსოფლიო ჩემპიონობის მეორე მედალი კი მოიპოვა ორი 24-კილოგრამიანი გირის გრძელი ციკლით აწევაში (ყოველი აწევის შემდეგ გირები მიწაზე უნდა დაეშვას). მესამე მედალი კი მან ესტაფეტაში მოიგო. ამასთან, ჯონიმ ოთხი მსოფლიო და ევროპის რეკორდი დაამყარა".

ჯონი ბენიძის მამა – ბადრი ბენიძე დიდი ხანია ცოლ-შვილთან ერთად წავიდა სამუშაოდ რუსეთში, თუმცა ოჯახი აქვს სოფელ ხუნწშიც.

ბადრის ვაჟიშვილმა ჯონიმ, რომელიც უკვე 21 წლისაა, უდიდეს წარმატებას მიაღწია ძალოსნობაში და ოთხგზის რუსეთის, სამგზის ევროპისა და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

– თერთმეტი წლის ასაკიდან გატაცებული ვიყავი სპორტის სხვადასხვა სახეობით, ვოცნებობდი სპორტსმენი გავმხდარიყავი,– ამბობს ის ერთ-ერთ ინტერვიუში.

ჯონი ამჟამად ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია. მას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი.

დაე, სულ გამარჯვებების გზით ევლოს ამ ქვეყანაზე რუსეთის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მატარებელ ქართველ ვაჟკაცს – ჯონი ბენიძეს!

ფაუსტ ნადარაია

გაზეთი "ილორი", სახალხო მოძრაობა "სამშობლო", მარტვილელები, სრულიად საქართველო ულოცავენ ჭაბუკ სპორტსმენს ამ ოცნების ასრულებას.

*აქვე გთავაზობთ ერთ პატარა ბარათს, რომელიც ჯონი ბენიძის მწვრთნელებს – ვიაჩესლავ ოგარიოვსა და სერგეი კირილოვს საქართველოდან გაუგზავნა გაზეთ **"მარტვილის"** მთავარმა რედაქტორმა, ბატონმა ფაუსტ ნადარაიამ:*

"დიდად პატივცემულო ბატონო ვიაჩესლავ და ბატონო სერგეი!

ახლა, როცა ამ წერილს გწერთ, ჩემს საწერ მაგიდაზე დევს ჟურნალ "ГИРЕВОЙ СПОРТ-ის" 2011 წლის მესამე ნომერი, რომლის გარეკანის პირველ გვერდზე ახალგაზრდა ძალოსნის, რუსეთის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის – ჯონი ბენიძის სურათია დაბეჭდილი. იმავე ჟურნალის 10-11 გვერდებზე სათაურით "ჩემი ოცნება ასრულდა", ვკითხულობთ ჯონი ბენიძის ინტერვიუს კორესპონდენტთან.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაგვახარა ამ ინტერვიუს წაკითხვამ.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველებს მე ორი წლის წინათაც გავაცანი ეს ახალგაზრდა, რომელიც 2008 წლიდან აბსოლუტური ლიდერი გახდა ძალოსნობაში, 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში...

მართალია, ჯონი ბენიძის მშობლები დღეს რუსეთში ცხოვრობენ, მაგრამ მათ ოჯახი აქვს საქართველოშიც. ჯონის მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწში ჰყავს ბებია, ბიძა, მამიდა და სხვა ახლო ნათესავები.

ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენც უზომოდ გვახარებს ჯონის წარმატებები და ვამაყობთ მისით.

ამ დღეებში მისმა ნათესავებმა რედაქციაში მომიტანეს რუსული ჟურნალ-გაზეთები, სადაც ჯონის წარმატებებზეა საუბარი.

ჯონი ბენიძე თავის ინტერვიუებში ყოველთვის უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ლაპარაკობს თქვენზე, რადგან მისთვის თქვენ არა მხოლოდ მწვრთნელი, არამედ სულიერი აღმზრდელიც ბრძანდებით.

ბატონო ვიაჩესლავ იაკობის ძევ და ბატონო სერგეი ალექსანდრეს ძევ! რუსულ პრესაში დაბეჭდილი ჯონი ბენიძის ინტერვიუების შემდეგ თავს უფლებას ვაძლევ მე თქვენ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ მეგობრად გიგულოთ და ჩვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ გულითადი მადლობა გადაგიხადოთ ყოველივე იმისათვის, რასაც თქვენ ამ ახალგაზრდა კაცისთვის აკეთებთ.

მახსენდება საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სიტყვები: "საქართველოს სჭირდება ძლიერი რუსეთი, ისევე, როგორც რუსეთს სჭირდება ერთიანი და მეგობრული საქართველო".

მე მჯერა, რომ ქართველი და რუსი ხალხი აუცილებლად მიაღწევს იმას, რომ საქართველო და რუსეთი მომავალში უფრო ახლოს და კეთილმეზობლურად იყვნენ ერთმანეთთან.

და ეს ნამდვილად ასე იქნება, ამას ჯონი ბენიძისადმი თქვენი მამაშვილური დამოკიდებულებაც ადასტურებს.

გთხოვთ, ჩვენი საუკეთესო სურვილები გადასცეთ ჟურნალ "ГИРЕВОЙ СПОРТ-ის" რედაქციას.

გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს ჯონი ბენიძესთან ერთად, რუსი და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

ფაუსტ ნადარაია,
გაზეთ "მარტვილის" რედაქტორი".

გაზეთ "ილორის" კომენტარი – *ასეა, მიხეილ სააკაშვილის და მისი უახლოესი გარემოცვის ენით რომ ვთქვათ, "ჩვენი დაშინებული მტერი" რუსეთი გვიზრდის სახელოვან სპორტსმენებს და შორს გააქვს ჩვენი ქვეყნის სახელი, მაშინ, როცა სააკაშვილი და მისთანები ყოველი გზით ცდილობენ საქართველოს დაძირვასა და უცხოელი ტურისტების მონა-მოსამსახურე ერად ქცევას. მავანი იტყვის – მერე რა, ჯონი ბენიძე ხომ რუსეთის სახელით მონაწილეობს ჩემპიონატებშიო. კი ბატონო, რუსეთის სახელით მრავალი ქართველი მოღვაწე გამოდიოდა მსოფლიო არენაზე, მაგრამ არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა და არც არავინ უკრძალავდა მათ საკუთარი ქართული წარმომავლობის წარმოჩენას და საქართველოს სახელის დამსახურებულად განდიდებას! რომელი ერთი ჩამოგითვალოთ – სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერები, სპორტსმენები თუ სხვა დარგის წარმომადგენლები?*

იქნებ სწორედ ამიტომაც არ უყვართ სომეხ სააკაშვილს და მის სომხურ გარემოცვას არც სამშობლოს ბედზე ხრუნვით დამძიმებული ქართველები და არც რუსები?

არაა გამორიცხული!

"ციტატა-შეხსენება:

...სადა ხართ, თქვენ, მწერლებო და პოეტებო, მაშინ, როცა საქართველო თაობას ჰკარგავს – ახალგაზრდობა ირყვნება, ლოთობს, ვრცელდება ნარკომანია, ათასობით ქალი საკუთარ სხეულს ყიდის როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში, რუსეთში, საბერძნეთში; ქართული მენტალიტეტისათვის ყველაზე სამარცხვინო მოვლენამაც კი – ჰომოსექსუალიზმმა გავრცელება ჰპოვა? რას აკეთებთ თქვენ ამ ტრაგიკულ დროს, სადაა ხალხისადმი მიმართული თქვენი სიტყვა, სადაა ხელისუფლებისადმი გამოხატული პროტესტი, სად არის კონსტრუქციული წინადადებები? რატომ სდუმხართ მაშინ, როცა ტელევიზია სისტემატურად და უსირცხვილოდ რყვნის ახალგაზრდობას დაბალხარისხიანი კინოპროდუქციით, როცა ყველა კუთხეში ყიდიან პორნოგრაფიას, დასცინიან და ანადგურებენ ქართველი ხალხის საუკუნოვან ეროვნულ ტრადიციებს, უცერემონიოდ იდევნება და ამერიკანიზირებული სუროგატით იცვლება ეროვნული კულტურა?..

ალექსანდრე ჭაჭია,
1997 წლის ივლისი".

Г-НУ ОГАРЕВУ ВЯЧЕСЛАВУ ЯКОВЛЕВИЧУ, Г-НУ КИРИЛЛОВУ СЕРГЕЮ АЛЕКСАНДРОВИЧУ

Сейчас, когда я пишу Вам это письмо, на моем письменном столе лежит третий номер журнала "Гиревой спорт" за 2011 год, на обложке которого фотография чемпиона России и мира Джонни Бенидзе. В этом же журнале на 10-11 страницах напечатано интервью с Джонни Бенидзе под названием "Мои мечты сбылись".

Вы не представляете, как нас обрадовало прочтение этого интервью.

Дело в том, что пару лет назад на страницах нашей газеты рассказывали читателям об этом молодом спортсмене, который в 2008 году стал абсолютным лидером в весовой категории до 60 килограммов.

Хотя родители Джонни Бенидзе сейчас и проживают в России, но у них есть дом в Грузии. В селе Хунци Мартвильского района живут бабушка, дядя, тетя и другие родственники Джонни.

Поэтому естественно, что мы гордимся достижениями Джонни и рады за него.

На днях его родственники принесли мне русские журналы и газеты, в которых рассказывается о достижениях Джонни.

Джонни Бенидзе во всех своих интервью всегда с огромным уважением и большой любовью говорит о Вас, так как Вы для него не просто тренер, а еще и духовный наставник.

Вячеслав Яковлевич и Сергей Александрович! После прочтения интервью Джонни Бенидзе беру на себя смелость сказать, что Вы являетесь настоящими друзьями грузинского народа, и со страниц нашей газеты хочу поблагодарить Вас за все, что вы сделали для этого молодого человека.

Вспоминаю слова нашего Католикоса-Патриарха Всея Грузии Ильи II-го, который сказал, что "нам нужна сильная Россия, так же как и России нужна единая и дружественная Грузия".

Я верю, что русский и грузинский народы обязательно сблизятся и вновь станут добрыми соседями.

И то, что это так и будет подтверждается вашим отеческим отношением к Джонни Бенидзе.

Приносим свои лучшие пожелания редакции журнала "Гиревой спорт".

Желаем успехов молодому Джонни Бенидзе на благо русского и грузинского народов.

С уважением

ФАУСТ НАДАРАИА
Редактор газеты "Мартвили".

სამარგალო

მიცორს ჩქიმი სამარგალო
თიშ გოლა დო, თიში რზენი.
დღასუ გლახა ვამათქუე
თუდო დაჩხირ ქათომრზენი.
შონეშ გოლაშე ინგირი
მოსოფუნს და მოხირჩანსუ,
მარგალ კოჩი ხვამელ ორე
ღვინი გარკუ დღას ჭირქასუ.
სუმარც შეხვად გოძიცელო
თიშ ჭირც დიხას ვაცადანცუ,
ქახუტოლუ, გოქუნუნცუ
თუდო რდას დო ლაკადუსუ.
ეზო-კარი მოკვანწილცუ
ჯოღორ ინოყვანყვალანცუ,
თაქიანი გორდი ხოლო
ბირებული ყაყალანცუ.
ცა ირო რე მოსარკილი
რწკინუნცუ დო ვარკალანცუ,
ქაცარ დო ოჩი ოყვილარო
ირო მუჭომ ჯღვარკალანსუ.
წყარიშ წისქვილ სქიმუს ურთანც,
ლატის ქუნცუ დო ღარღალანც,
სქვამი ცირა ჯარალუას
ძიცას ღურუ ტკვარჩალანცუ.
კუნთხუ უჯგუშ ვამწონებუ
შხვეფი ტყურათ ყვარყვალანცუ
ათეჯგუა სქურიშ წყარი
სოთინ ვამოხვარჩალანცუ.
უჩაშეფიშ პატიცემა
უჩქუ კაბეტ ბაღანასუ,
ძღაბეფ ირო დოგორუნა,
მუშ ოსქვაფურ – მახანასუ.

როზმერ გოგენია,
ზუგდიდი

არქანიას საქმეში საერთაშორისო ორგანიზაცია ერთვება

პატიმარ მალხაზ არქანიას ორივე ხელის მაჯაზე ვენის გადაჭრის კვალი ეტყობა. ამის შესახებ საქინფორმს არქანიების ოჯახის ადვოკატმა – ლექსო არქანიამ შეატყობინა. ბოლო პაემანის დროს ჭრილობის კვალი მალხაზ არქანიას მეუღლემ და დამ შეამჩნიეს. თუმცა კითხვაზე – რა დაემართა? – პატიმარმა ვიდეოკამერისკენ მიანიშნა და საუბარი სხვა თემაზე განაგრძო. ოჯახი ამბობს, რომ მალხაზ არქანიაზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობს. მას საუბრის დროს ხმა უთრთოდა და სხეული უკანკალებდა.

მალხაზ არქანიას საქმეში საერთაშორისო ორგანიზაცია **„ობსერვატორია ადამიანის უფლებების დასაცავად"** ჩაერთო. ამ საქმეში ჩართვის სურვილი ორგანიზაციამ თავად გამოთქვა. ადამიანის უფლებების დაცვის სართაშორისო ორგანიზაციას პატიმრის ადვოკატმა უკვე გადაუგზავნა საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაცია. არქანიას საქმესთან დაკავშირებით საფრანგეთში მოღვაწე გავლენიანი ორგანიზაცია დასკვნას დაახლოებით ერთ თვეში დადებს.

შეგახსენებთ, რომ არქანიას საქმეზე რამდენიმე თვის წინათ საქინფორმმა ვრცელი მასალა მოამზადა. მალხაზ არქანია ქართველმა სამართალდამცველებმა მიმდინარე წლის 5 თებერვალს ენგურის ხიდზე დააკავეს. მას ოფიციალურად ბრალი აფხაზეთიდან დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების გადმოტანისთვის წაუყენეს და 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. არადა, ოჯახის ინფორმაციით, არქანია გალიდან ზუგდიდში გარდაცვლილი მშობლების საფლავის ქვის წასაღებად გადადიოდა და ნარკოტიკულ ნივთიერებებთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. სამართალდამცველები მალხაზ არქანიას ტერორიზმის ბრალდებით დაკავებულ გოგიტა არქანიასა და მერაბ ყოლბაიასთან (იგივე **„კოჭოია"**) კავშირის აღიარებას აიძულებდნენ. ის კი ამაზე უარს აცხადებდა, რის გამოც პატიმარი ჯერ ზუგდიდის, შემდეგ კი გლდანის ციხეში აწამეს. მალხაზ არქანიამ ციხეში სახალხო დამცველის წარმომადგენლის ყოფნის დროს ახსნა-განმარტებითი ბარათი დაწერა, რომელშიც მისი წამებისა და პოლიციელების მიერ შეთითხნილი საქმის დეტალებს ჰყვება.

საქინფორმი

გიგა ბოკერია: „ახალაია მიშას კაცია და არა – ვანოსი"

„Wikileaks"-ის ინფორმაციით, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელს ესაუბრა. სკანდალური საიტის მიერ გამოქვეყნებულ ტელეგრამაში, რომელიც 2009 წლის 31 აგვისტოს ჯონ ტეფტის მიერ არის შედგენილი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნის მოტივის დადგენას ცდილობს. ელჩს მიაჩნია, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით სიხარულიძეც მიხეილ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი იყო და მას პრეზიდენტი ენდობოდა, თუმცა ელჩი ვარაუდობს, რომ სიხარულიძის გადაყენების მიზეზი შესაძლოა, მუხროვანის ამბოხის დროს თავდაცვის მინისტრის არაეფექტიანი მუშაობა იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან საუბრისას გიგა ბოკერია აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სტრუქტურას **„ძლიერი ხელი"** სჭირდებოდა და ბაჩო ახალაიას დანიშვნა სწორედ ამით იყო განპირობებული. გიგა ბოკერიას განცხადებით, ბაჩო ახალაია მიხეილ სააკაშვილის უახლოესი წრის წარმომადგენელია და მას სააკაშვილი ენდობა. ბოკერია აღნიშნავს, რომ ახალაია **„მიშას კაცია" და არა – „ვანოს კაცი" (საუბარია შს მინისტრ ვანო მერაბიშვილზე)"**, – აღნიშნულია ტელეგრამაში.

საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ჭელიშვილი: ექიმები სასწაულებს არ ახდენენ, ისინი მხოლოდ თავის საქმეს აკეთებენ!

იზრდებოდა საბჭოთა პერიოდში, უსმენდა ბითლზს, მეგობრის სარდაფში იღებდა პირველ აკორდებს გიტარაზე, ოცნებობდა შორეულ დასავლეთზე და როკ-მუსიკოსობაზე... ფრიადოსან მოსწავლეს ექიმი მშობლები სამედიცინო კარიერისთვის ამზადებდნენ... საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** სტუმარია – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ფრიდონ თოდუას კლინიკის სახელით უფრო ცნობილი) ნეიროქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი ირაკლი ჭელიშვილი.

– ბატონო ირაკლი, არჩევანი ორ სრულიად განსხვავებულ პროფესიას – ექიმობასა და მუსიკოსობას შორის გქონდათ, როგორ გადანაწილდა მათი ადგილები თქვენს ცხოვრებაში?

– ექიმების ოჯახში გავიზარდე, ამიტომაც, ალბათ, დიდი არჩევანიც არ მქონია. ეს ჩვეულებრივი ცხოვრება იყო ჩემთვის – სამსახური, საავადმყოფო... ამიტომაც ჩავაბარე სამედიცინოზე. რაც თავი მახსოვს, მუსიკით ვინტერესდებოდი. დაახლოებით 13 წლის ასაკში სერიოზულად გადავიხარე როკმუსიკისკენ. სამედიცინო რომ დავამთავრე, უკვე **„Soft-eject“**-ში ვუკრავდი.

– საქართველოში „Soft-eject“-ის ყოფილი ვოკალისტი „პეჩო“ ყველას კარგად გვახსოვს! თავად რა უფრო გინდოდათ?

– მუსიკოსობა იყო ოცნება. ჩვენ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით და მუსიკას ჭქონდა ცოტა განსხვავებული ფორმა. ვოცნებობდით, ინგლისურ როკს ვუკრავდით... საბჭოთა კავშირში კი ეს შეუძლებელი იყო. ეს უნდა გაგეკეთებინა სადღაც, დასავლეთში, რომელიც ჩვენ ზღაპრად წარმოგვედგინა, სადაც ხდება ყველაფერი, რაღაც განსაკუთრებული. ამიტომ წავედით შვეიცარიაში, მაგრამ ჩავრჩით გერმანიაში. მერე უკვე ყველაფერი შემთხვევითობამ განაპირობა და გერმანიაში დავიწყეთ დაკვრა. დროდადრო საქართველოშიც ჩამოვდიოდით და ვუკრავდით. იმ პერიოდში მუსიკის გარდა არაფერზე ვფიქრობდით. იყო 90-იანი წლების დასაწყისი... აფხაზეთის ომი... ყველაფერი დაინგრა... საავადმყოფოებში ისეთი სიტუაცია იყო, შესვლა არ მოგინდებოდა. მაგრამ შემდეგ გერმანიის კლინიკაში აღმოვჩნდი. მამაჩემი მიიწვიეს და მე, ფაქტობრივად, თარჯიმნად გავყევი.

იქაურ ნეიროქირურგიულ კლინიკაში მოხვედრამ ყველაფერი შეცვალა. ნეიროქირურგია განსაკუთრებით საინტერესოა, მართლაც ელიტური სპეციალობაა მედიცინაში. მოგვიანებით გერმანელმა პროფესორმა შემომთავაზა მის კლინიკაში მუშაობა, რაზეც უარი ვერ ვთქვი და ეს იყო მომენტი, როცა გადაწყდა, გავმხდარიყავი ექიმი და მუსიკისთვის თავი დამენებებინა.

– რამდენად რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება და როგორ იმოქმედა თქვენმა არჩევანმა ჯგუფზე?

– გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთული იყო. როცა მთელი ცხოვრება ოცნებობ რაღაცაზე და უცებ ეს უნდა შეწყვიტო, უმძიმესია. თუმცა იმ პერიოდისთვის მუსიკამ გადამღალა. არა თავად მუსიკის კეთების პროცესმა და დაკვრამ; უბრალოდ, მუსიკა საკმაოდ სუბიექტური რამაა – ნეიროქირურგიისგან განსხვავებით, სადაც ან შეგიძლია, ან – არა.

შესაძლოა, რასაც ვაკეთებდით, არც ისეთი კარგი იყო და ვერ გაიყიდებოდა, მაგრამ მაშინ სულ იყო იმედი, განუწყვეტელი მოლოდინი. აღარ მინდოდა გამუდმებით იმის ყურება, ვინ რას აკეთებს, რა იყიდება, რას უსმენენ... საერთოდ, შოუბიზნესი საკმაოდ ბინძური საქმეა და ამ ყველაფრისგან ცოტა დავიღალე. მომინდა, ჩვეულებრივად ავმდგარიყავი დილით, წავსულიყავი სამსახურში და მეკეთებინა ჩემი საქმე. მიუხედავად ამ მიზეზებისა, მაინც ძალიან გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება, რადგან მიყვარდა მუსიკა და შესანიშნავად ვგრძნობდი ჯგუფთან თავს. კოლეგებმა მძიმედ მიიღეს ჩემი არჩევანი, ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე მახსენდება.

ამის შემდეგ **„soft-eject“**-ში ცვლილებები მოხდა. მუსიკალური ფორმატი სრულიად შეიცვალა, რადგან მანამდე, ძირითადად, მე ვმღეროდი და ყველაფერი აწყობილი იყო ამ მიმართულებით. მერე ბიჭებმა გადაწყვიტეს, აღარ აეყვანათ ახალი ვოკალისტი და საკმაოდ შეცვალეს მუსიკა. უკეთესი გახდა თუ უარესი, არ აქვს მნიშვნელობა; ფაქტია, რომ შეიცვალა. **„soft-eject“** მხოლოდ სახელია, ჩემი წასვლის შემდეგ დასრულდა რაღაც ეტაპი, კიდევ ერთი ეტაპი – გია ქარჩხაძის წასვლის შემდეგ. რა თქმა უნდა, შემდეგ უკვე ძველი **„soft-eject“** აღარ იყო.

– დღეს რომ თავიდან იღებდეთ გადაწყვეტილებას, მოიქცეოდით სხვაგვარად?

– იმ მომენტში გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა არის ნეიროქირურგია. ეს ავადმყოფობაა. თუ ერთხელ გააკეთებ, შემდეგ ვეღარ მოსწყდები. დღეს ზუსტად შემიძლია, ვთქვა, ასჯერ რომ ყოფილიყო გადაწყვეტილება მისაღები, ასჯერვე მივიღებდი იმავე გადაწყვეტილებას და გავხდებოდი ნეიროქირურგი. ამ საქმიანობის მსგავსი არაფერია ამქვეყნად.

– გერმანიიდან საქართველოში ჩამოსვლა როდის გადაწყვიტეთ?

– თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, რომ იქ ჩასვლის შემდეგ ცოტა ხანს დავრჩებოდი, ვისწავლიდი და დავბრუნდებოდი. საქართველოში 1998 წელს ჩამოვედი. ამ დროიდან ვმუშაობდი თბილისში, რკინიგზის საავადმყოფოში, მამაჩემთან. 2000 წლიდან კი უკვე თოდუას კლინიკაში ვართ.

– თუ გქონდათ გერმანიაში სამუშაოდ დარჩენის შანსი... და რატომ თქვით უარი?

– ძირითადი მიზეზი მაშინ, ალბათ, იყო მამაჩემი. მას ძნელად წარმოედგინა ჩემი სხვაგან დარჩენა... არც მე მინდოდა. მერე წლების განმავლობაში გრძელდებოდა შემოთავაზებები. იყო პერიოდი, როცა სერიოზულად ვფიქრობდით გერმანიაში გადასვლაზე, მაგრამ მაშინაც გადაწყვეტილების მიღებაში ძირითადი როლი ოჯახმა ითამაშა.

– ამბობთ, რომ გერმანიიდან მამისა და ოჯახის გამო დაბრუნდით. როგორი იყო ურთიერთობა ნეიროქირურგ მამასთან, თქვენ ხომ ერთ კლინიკაში მუშაობდთ... იყო კონკურენცია, სირთულეები?

– მამაჩემი მთელი ცხოვრება იყო ყველაზე დიდი ავტორიტეტი ჩემთვის; ადამიანი, რომელსაც ვბაძავდი და ვეჯიბრებოდი კიდეც. მამასთან ერთად მუშაობა, გარკვეულწილად, პრივილეგიაა, რადგან შეიძლება ბევრი რამ თქვა. მამაჩემი ავტორიტეტი იყო, მასთან ფრთხილად ვიყავი. დაახლოებით 25 წლის ასაკიდან გავხდით უახლოესი მეგობრები. კლინიკაში ერთად მუშაობაც ძალიან ახლო მეგობრების ურთიერთობა იყო. თუმცა, რა თქმა უნდა, ის იყო უფროსი, პროფესორი, ჭქონდა დიდი გამოცდილება. ამავე დროს, მე თავს უფლებას ვაძლევდი, შევკამათებოდი.

მამაჩემი ისეთი ხელმძღვანელი იყო, რომელიც ადვილად იღებდა ახალს. არა მარტო მე, ბიჭებსაც ყოველთვის აძლევდა რაღაცის ცდის საშუალებას. რა თქმა უნდა, ყოველთვის ყველაფერი იდეალურად არ იყო. ჩვენ ბევრს ვკამათობდით საოპერაციოში, მაგრამ ეს პროცესი იყო საინტერესო და თავს იმის უფლებას ვაძლევდი, რომ რაღაცაში შევწინააღმდეგებოდი, მეთქვა, რომ ესა თუ ის სხვანაირად უნდა გაგვეკეთებინა. შემდეგ ისიც თავის აზრს მიზიარებდა. უმეტეს შემთხვევაში, საბოლოოდ, ის მართალი იყო, მაგრამ საშუალებას მაძლევდა, რომ მეც მეცადა.

– ნეიროქირურგიის დარგში რა განსხვავებას ხედავდით ამ ორ ქვეყანას – საქართველოსა და გერმანიას, შორის?

– რა თქმა უნდა, იმ წლებში ნამდვილად დიდი განსხვავება შეიმჩნეოდა. საქართველოში ნეიროქირურგიის საკმაოდ კარგი სკოლა იყო. იმ წლებმა და ტექნიკური აღჭურვილობის დიდმა სხვაობამ გამოიწვია, რომ 80-იან წლებში ქართული ნეიროქირურგია საკმაოდ ჩამორჩა სტანდარტს. 90-იან წლებში მხოლოდ და მხოლოდ ექიმების მოწადინებითა და წვალებით შენარჩუნდა ეს ყველაფერი, თანაც – კარგად. საქართველოში ნეიროქირურგიის დარგში ბევრი საინტერესო რამ გაკეთდა. 2000 წლიდან მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჯერ ერთი, აღჭურვილობის თვალსაზრისით, შემდეგ – ინფორმაცია იყო მეტი. მანამდე, 80-იანი წლების ჩათვლით, ინფორმაციაზეც პრობლემურად მიგვიწვდებოდა ხელი. დღეს ჩვენი ექიმების უმეტესობა ბევრი რამ ისწავლა, ნახა, როგორია გერმანული სკოლა. უკვე საუბარია იმაზე, თუ როგორ მოარგო იქაური მიღწევები ჩვენს პირობებს, რაც ნამდვილად საჭიროა. ესეც ექიმების ძალისხმევის ხარჯზე ხდება, რადგან თანამედროვე მედიცინა მთელ მსოფლიოში ძალიან ძვირია. შენ უნდა შეუთავსო ეს ძალიან ძვირი მედიცინა ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანას და, შესაბამისად, აქციო იაფად.

– ყველა სახის ოპერაციებს აკეთებთ?

– პრაქტიკულად, ყველა ტიპის ოპერაციას ვაკეთებ. ჩვენი კლინიკა არ მუშაობს სასწრაფო მიღებაზე, ჩვენ გეგმურად ვმუშაოთ. ძირითადად, ჩვენი საქმეა ყველაზე გავრცელებული დაავადებები, ხერხემლის პრობლემები და ნეიროონკოლოგია, თავის ტვინისა და ზურგის ტვინის ყველანაირი სიმსივნე. დღეს კეთდება ისეთი ოპერაციები, რის საშუალებაც ადრე არ იყო. დაბალი ხარისხის მიკროსკოპები ახალმა აპარატურამ შეცვალა. მედიცინაში ეს ეპოქა რევოლუციურია, ვინაიდან გაჩნდა ნეიროვიზუალიზაცია კომპიუტერისა და მაგნიტური რეზონანსის საშუალებით, ნეიროქირურგიული დაავადებების დიაგნოსტიკამ სულ სხვა დონეს მიაღწია.

ჩვენი კლინიკა დღეს უახლესი ტექნოლოგიითაა აღჭურვილი. უზრუნველყოფილია ისეთი ოპერაციების გაკეთება, რომლებიც ადრე ჩვენთვის მიუღწეველი იყო, თუმცა სხვაგან საკმაოდ დიდ პრაქტიკას ითვლიდა. მაგალითად, ტრანსნაზალური, ცხვირიდან ჰიპოფიზთან მიდგომა. ასევე, არ კეთდებოდა ოპერაცია ტრიგემინალურ ნევრალგიებზე, რასაც სამწვერა ნერვის ანთებას ეძახიან. ახლა ეს ძალზე ეფექტური და დახვეწილი ოპერაციაა. თავის ტვინის სიმსივნეებზე, რა თქმა უნდა, ადრე ჩვენშიც უამრავი ოპერაცია კეთდებოდა, თუმცა მიკროტექნიკამ ესეც შეცვალა მთელ მსოფლიოში და მისასალმებელია, რომ – ჩვენთანაც. შესაბამისად, ადრინდელი და ახლანდელი შედეგები შეუდარებელია. პაციენტების პოსტოპერაციული მდგომარეობაც შეიცვალა. მე არ ვსაუბრობ სასწრაფო შემთხვევებზე (დავუშვათ, ტრავმაზე, ჩემთვის ეს ნაკლებად საინტერესო ნაწილია ნეიროქირურგიაში). ამ მხრივ ქირურგი მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია, ძალიან ბევრი რამ თვითონ ტრავმაზეა დამოკიდებული. როგორც უნდა მოიწადინოს ქირურგმა, მძიმე დაზიანების შემთხვევაში შედეგიც შესაბამისი იქნება.

– რამდენად მნიშვნელოვანია ექიმთან დროულად მისვლა?

– სამწუხაროდ, ჯანდაცვის კულტურა ჩვენს ქვეყანაში არ არის სათანადო დონეზე. ეს ნიშნავს ელემენტარული პასუხისმგებლობის გრძნობას საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ. ეს გამომუშავებული უნდა ჰქონდეს თითოეულ ჩვენგანს და მეზობლის ნათქვამზე არ მოქმედებდეს. როდესაც საუბარია მედიცინაზე, ერთადერთი, რაც პაციენტს შეუძლია, გააკეთოს, ექიმთან დროულად მისვლაა, რათა დიაგნოზის დასმა არ დაგვიანდეს. ესაა თანამედროვე მედიცინის მთავარი ნაწილი, რაც ხშირად გადამწყვეტია.

სამწუხაროდ, ჩვენ გვიხდება ისეთი რაღაცების კეთება, რასაც განვითარებულ ქვეყნებში ნამდვილად ვერ შეხვდები. ძალიან დიდი ზომის სიმსივნეები, უკიდურესად დაგვიანებული შემთხვევები... რა თქმა უნდა, ეს პრობლემა უკავშირდება ხალხის მატერიალურ მდგომარეობას – გაჭირვებას, მაგრამ რაც უფრო დაგვიანებულია მკურნალობა, ხარჯებიც, შესაბამისად, მატულობს.

– მედიასაშუალებები ხშირად აშუქებენ ექიმების შეცდომებს... ეს, რა თქმა უნდა, აისახება საზოგადოების დამოკიდებულებაზე მედიკოსთა მიმართ. რამდენად პრობლემატურად მიგაჩნიათ დღეს ეს საკითხი?

– ამ გზით ძალზე ადვილად და სწრაფად შეიძლება ექიმების პრესტიჟის დაცემა. სახელის აღსადგენად კი მთელი საუკუნე იქნება საჭირო.

ბევრჯერ მინახავს სიუჟეტი, რომ ექიმი დამნაშავეა და არასოდეს – სადაც ექიმი გაამართლეს. თითქოს საზოგადოებას სურს, რომ ვიღაც იყოს დამნაშავე, თითქოს ბრძოლა მიდის ექიმების წინააღმდეგ.

ასეთი ბრძოლა ექიმების კომპეტენციას ნამდვილად არ გააუმჯობესებს. მაღალი დონის მედიცინას ესაჭიროება დიდი ინვესტიციები და ხელშეწყობა.

მიმაჩნია, რომ, საერთოდ, სანამ მედია გააშუქებს შემთხვევას ექიმის დანაშაულზე, საკითხი ჯერ კომპეტენტურმა სათანადო კომისიამ უნდა განიხილოს. შემდეგ კი, თუ ეს ძალიან აინტერესებს საზოგადოებას, შეიძლება გავიდეს მასმედიაში. დღეს ეკრანზე პირდაპირ ვხედავთ პანაშვიდის კადრებს და ნამდვილი მიზეზის ჩვენება და მისი განხილვა არ ხდება. პაციენტები იღუპებიან და ჩვენ ამას ვერ შევცვლთ. აუცილებლად იქნება შემთხვევები, როცა მკურნალობა უშედეგოდ მთავრდება. ყველა ასეთი შემთხვევის ექიმისთვის დაბრალება არ არის სწორი. და თუ ექიმი დამნაშავეა, ჯერ ეს დანაშაული უნდა დამტკიცდეს.

ექიმებისაგან ხშირად მოელიან სასწაულს და ამ დროს ექიმები სასწაულებს არ ახდენენ, ისინი აკეთებენ თავიანთ საქმეს...

ესაუბრა
მარიამ ჭელიშვილი

აქცია „მეც დევნილი ვარ!“ ევროსაბჭოს თბილისის ოფისთან

„საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ ორგანიზებით ევროპის საბჭოს ოფისთან გაიმართა აქცია სახელწოდებით **„მეც დევნილი ვარ!“**

როგორც აქციის ორგანიზატორები აღნიშნავენ, ის უკავშირდება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიგრაციის, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის წევრ **თინა აკეტოფტის** საქართველოში ვიზიტს.

მათ სურთ, სტუმარს მიაწოდონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო სააკაშვილის რეჟიმმა 18 ივლისს დევნილების იძულებით გამოსახლებისა და უფლებების შელახვის მესამე ეტაპი, რის შედეგადაც დაზარალდა ასეულობით დევნილი ოჯახი.

აქციას შეუერთდებიან დევნილთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკოსები.

თინა აკეტოფტი საქართველოს რამდენიმე დღით ეწვია. **„წინააღმდეგობის მოძრაობის“** ინფორმაციით, ხელისუფლება გეგმავს, სტუმარს აჩვენოს კომპაქტური ჩასახლების ადგილები და დაანახვოს, რომ დევნილები კმაყოფილი არიან.

რატომ ნადირობენ ლეკვებზე თბილისში...

„საქინფორმს“საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების საზოგადოებასთან ურთიერთობის, სამსახურის ხელმძღვანელი თემურ ლაჭყეპიანი დაუკავშირდა, რომელიც ააშკარავებს ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტებს: **„4 ოქტომბერი ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს ცხოველთა დამცველების მიერ გაიმართება აქცია ხელისუფლების მიმართ ცხოველთა დაცვის მოთხოვნით, ვინაიდან ქვეყანაში კვლავ გრძელდება ცხოველებისადმი სისასტიკე და მათი წვალება. დასახვეწია საკანონმდებლო ბაზა (მაგალითად, საერთოდ არ არსებობს კანონი ცხოველთა ტრანსპორტირების შესახებ), უნდა მოხდეს „ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციის“ რატიფიცირება. თბილისის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი ცხოველთა ვეტმომსახურებაზე. გასაკვირია, მაგრამ წინასწარ ეწერა, თუ რამდენი ცხოველის ეუთანაზია იქნებოდა აუცილებელი. საბოლოოდ ტენდერში გაიმარჯვა შპს „დებიუტმა“, რომელსაც, საჯარო ინფორმაციის თანახმად, ინვენტარად ჰქონდა „100 ცალი ნახმარი შპრიცი“.**

თბილისის მერია არ იძლევა საჯარო ინფორმაციას ცხოველის ლეშის განადგურებაზე, რაც ეჭვს ბადებს საზოგადოებაში კატისა და ძაღლის ხორცის ბიზნესზე. ხშირია პატრონაჟის ქვეშ მყოფი ბრიგადების მიერ ლეკვების დაჭერის ფაქტები, რაც დელიკატესად ითვლება ჩინურ სამზარეულოში. საქართველოში კი 12 000-ზე მეტი ჩინელია.

მსოფლიოში აღარ დაობენ იმაზე, რომ ქუჩაში მცხოვრებ ცხოველთა შესამცირებლად ერთადერთი მეთოდი გამრავლების უნარის დაკარგვაა და არა მათი მოკვდინება. უსახლკარო ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღეს, საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოებამ ურთიერთშეთანმებისა და ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა ცხოველთა დაცვის სამ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. ესენია: **„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ – GSPSA, „სრულიად საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოება“** და **„თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების დაცვის ასოციაცია“.**

გარდა ამისა, საზოგადოება თანამშრომლობს სხვადასხვა ქართულ (როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში მოქმედ) და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

2011 წლის ბოლომდე GSPSA მოამზადებს ყველა დოკუმენტაციას შიდა ქართლში ცხოველთა პოპულაციის მართვისათვის. მომავალ წელს გორში დაიწყება ცხოველთა პოპულაციის მართვა ჰუმანური მეთოდებით (სამაშველო ჯგუფები, თავშესაფარი, სტერილიზაცია – ვაქცინაცია და ა.შ.).

იერი
ეროვნული
ინფორმაცია

საქართველოში დემოკრატიას ჰომოსექსუალიზმის „სურნელი“ დაჰკრავს!

ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ თბილისი ძალიან მოდური ქალაქია, სადაც თვალის ერთი შევლებით **„ითვისებენ“** დასავლური ცივილიზაციის ყველა ახალ **„მიღწევას“**. საერთოდ, ჩვენი ხალხი ბუნებით წამხედურაა, ოღონდ საგულისხმოა, რომ უფრო ცუდის გადმოღებისკენ აქვს მიდრეკილება...

დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევს დღეს ქალაქის ქუჩებში მომრავლებულ პეპლებივით მოფარფატე, ქალური სინაზით აღსავსე მამრობითი სქესის არსებებს, რომელთაც ერთი სიტყვა აერთიანებს – გეები! ამბობენ, გეებისა და ლესბოსელების ასეთი მომრავლება სწორედ თბილისელების მოდურობისა და სხვადასხვა **„სიახლით“** ზედმეტი გატაცების ბრალიაო, დღეს ხომ არატრადიციული ორიენტაცია მოდაშია!.. წარმოიდგინეთ – თუ მამაკაცი ერთხელაც არ ყოფილა მამაკაცთან ან ქალს ერთხელ მაინც ვნებიანად არ უკოცნია ქალისთვის, ისინი ჩამორჩენილები და XIX საუკუნის გადმონაშთები არიან. ყოველ შემთხვევაში, თბილისური **„მაღალი საზოგადოება“** – **„ოქროს“** ახალგაზრდობის ნაღები – ასე ფიქრობს! ხოლო გეი, ლესბოსელი ან ბისექსუალი თუ ხარ, ე.ი. განსხვავებული, საინტერესო და მოდური ხარ!

არატრადიციულ ორიენტაციას საქართველოში აღარ მალავენ. უფრო მეტიც, თამამად და გამომწვევად აფიშირებენ, განსაკუთრებით – გლამურულ საღამოებზე. **„ცისფერებს“** მრავლად შეხვდებით თბილისის ღამის კლუბებში, საბედისწეროდ ცნობილ შარდენის ქუჩაზე კოქტეილის ნაზად წრუპვაც ძალიან უყვართ, **Fasion week**-ებზე, საერთოდ, გიჟდებიან, ქართული მოდის კვირეულები კი გეებისა და ლესბოსელების ნამდვილი აღლუმია! უკანასკნელ მოდის კვირეულს იმდენი არატრადიციული ორიენტაციის მატარებელი სტუმრობდა, დაკვირვებულ თვალსაც კი გაუჭირდებოდა გარჩევა, ვინ ქალი იყო და ვინ – კაცი. ჰეტეროსექსუალები კი ამ ფაქტს ისე იღებდნენ, როგორც ღონისძიების მთავარ ღირსებასა და ატრიბუტს! პირადად მე ორი დღე ვცდილობდი, გამერკვია 17 წლის, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, დიზაინერის, სქესი... შავ **„ელასტიკებში“**, 11-სანტიმეტრიანი ქუსლებით, ღრმა დეკოლტეთი და შავი პირბადით ის ისე დანარნარებდა სტუმრებს შორის, გულიც კი დამწყდა, ეს **„მშვენიერება“** მამრობითი სქესისა რომ აღმოჩნდა.

სხვათა შორის, ამასწინათ შარდენის ქუჩაზე ერთ-ერთ კლუბში ცოცხალი მუსიკის მოსასმენად მისულმა გვერდით მაგიდასთან ფართოდ გაპიარებული თბილისელი დიზაინერი ვიხილე: **„უნიჭიერესი“** ბიჭოლა ვიღაც ღრმად დეკოლტირებულ ფისუნიასთან (წარმოშობით მამაკაცთან) ერთად ვახშმობდა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ბატონმა ბიჭოლამ პრეტენზიული ტონით მოსთხოვა ოფიციანტს... სამარხვო კერძის მოტანა! ნამდვილად არ ველოდი მისგან ასეთ რელიგიურობას! საინტერესოა, რატომ მარხულობს ბიჭოლა, **„ჩვეულებრივი“** მამაკაცური ცოდვები ხომ ნამდვილად არ ექნება?..

„ტურიზმის მსოფლიო მექაში“ – ბათუმში, წელს არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენელთა მთელი არმია ისვენებდა! მართალია, აღლუმის ჩატარება არ გამოუვიდათ, მაგრამ ბათუმის მრავალრიცხოვანი ღამის კლუბები მათთვის ყოველთვის ღიაა. ჩვენი საინფორმაციო სააგენტოსთვის **„არატრადიციულ“** თემაზე მუშაობის პროცესში ერთ-ერთ კლუბში მავან სუბიექტს ვაკვირდებოდი, ისევ და ისევ – მისი სქესის გასარკვევად. ჩემი **„გამოკვლევა“** იმით დასრულდა, რომ სრულიად მოურიდებლად მომისკუპდა გვერდით, მხარზე მოვლილი, მანიკურიანი ხელი ნაზად შემახო და განმიცხადა: **„იცი, მე გეი ვარ, მაგრამ გოგოებიც მომწონს!“**... სულ რაღაც 16 წლის იქნებოდა. იქვე გავიკითხე ნაცნობებში და მითხრეს – მაგას ბიზნესმენი თუ პარლამენტარი საყვარელი ჰყავს და ხმასაც ვერავინ სცემსო!.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ საზოგადოებას განსხვავებული დამოკიდებულება აქვს არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების მიმართ – ნაწილს ჭირივით ეზიზღება, ნაწილს ეცოდება და დახმარების სურვილი უჩნდება. **„ადგილობრივი ჩამოსხმის“** ლიბერალები კი გააფთრებით იცავენ მათ უფლებებს: **„მერე რა, რომ არატრადიციული ორიენტაციის მატარებლები არიან?! არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან! მათ, ისევე, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, თავიანთი უფლებები აქვთ!“** (კულუარული წყაროებიდან სარწმუნო ინფორმაცია მოვიპოვეთ, რომ ქართველ გეებს **„კრიშა“** ყველაზე მაღალ ინსტანციებში სწორედ ასეთ **„ლიბერალებში“** ჰყავთ. სხვა შემთხვევაში ასე თამამად ვერ იპარპაშებდნენ საქართველოში – უძველესი კულტურული ტრადიციების მქონე პატრიარქალურ მართლმადიდებლურ ქვეყანაში...)

რაც შეეხება სექსუალურ უმცირესობათა (ჯერჯერობით – უმცირესობათა) უფლებების დაცვას, ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ საქართველოში ისინი ბევრად უფრო საიმედოდ არიან დაცული, ვიდრე ჩვეულებრივ, **„მოდას ჩამორჩენილ“** ჰეტეროსექსუალთა უფლებები. დიახ, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს საქართველოში მართლაც ბევრი ოფიციალური მხარდამჭერი და უფლებადამცველი ჰყავთ! მაგალითად, ამასწინათ საქართველოში **„ცისფერების“**, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების მხარდამჭერი ორგანიზაცია შეიქმნა – ფონდი **„ინკლუზივი“** და ჟურნალი **„მე“** ამიერიდან ჰომოსექსუალებსა და ლესბოსელებს მედგრად დაიცავენ. აბა, ვინმემ გაბედოს მათი უფლებების დარღვევა! არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს საქართველოში ინტერნეტსაიტებიც აქვთ: **Lesbi.org.ge GEY.ge Minority.ge Gaybatumi.com LGBT.ge** (ამ უკანასკნელს, როგორც ჩანს, რეგიონული ლიდერობის პრეტენზია აქვს და უკვე დაამყარა **„მჭიდრო კონტაქტი“** თავის კოლეგებთან სომხეთში), რაღა თქმა უნდა, მრავალრიცხოვანი ბლოგები (თბილისი **Gay Times Tbilisi Hot Boys Tbilisi Hot Boys**), პროფილები და გვერდები **Facebook**-ზე და სხვა სოციალურ ქსელებში. სხვათა შორის, მთელი ეს **„ცისფერი“** კამპანია საქართველოს პირველი ლედის სამშობლოდან – ჰოლანდიის ეროვნული ასოციაცია „**lgbt**“-ს მიერ ფინანსდება (**„ბნელი რეტროგრადებისთვის“** განვმარტავთ –აბრევიატურა „ **lgbt**“ ნიშნავს **„ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი“,** – საქინფორმი).

შეგახსენებთ, აგრეთვე, რომ ფონდი **„ინკლუზივის“** პრეზიდენტია ბატონი პაატა საბელაშვილი, რომელსაც არაერთხელ გამოუჩენია თავი გეების უფლებების თავგამოდებული დაცვით, რომელსაც გამუდმებით ხედავენ გეების, ლესბოსელებისა და ბისექსუალების გარემოცვაში. და თუ ბატონი პაატა თვითონ არ არის გეი, მათი **„ადვოკატი“** ნამდვილად გახლავთ...

აქტიურობით გეებს არც ლესბოსელები ჩამოუვარდებიან. ალბათ, ბევრ ტელემაყურებელს ახსოვს მათი ვნებიანი ხვევნა-კოცნა „**naiT qlabi**“-ს. სცენაზე **„მოზასავე“** ლესბოსური წყვილიც არ დაგავიწყდებოდათ. ღამის კლუბებში, ბარებსა და კინოთეატრებში ეს უკვე იმდენად ჩვეულებრივი ამბავი გახდა, რომ ობივატელი ყურადღებას აღარ აქცევს (ან ცდილობს, არ მიაქციოს!)...

მაგრამ თბილისმა მალე შესაძლოა არა მარტო პოლიტიკური ცენტრის – სახელმწიფოს დედაქალაქის ფუნქცია დაკარგოს (პარლამენტი ქუთაისში გადააქვთ, საკონსტიტუციო სასამართლო უკვე დიდი ხანია, ბათუმშია), არამედ – მოდის ცენტრისაც! ბათუმური გეი-დროსტარება უკვე ვახსენეთ, ხოლო თუკი მალე საქართველოში, დასავლეთის რეკომენდაციების თანახმად, ერთსქესიანთა ქორწინებას დააკანონებენ, ამ იდეის აშკარა მომხრეები სწორედ რეგიონების მკვიდრნი არიან! ეს გახლავთ 19 წლის ზუგდიდელი გეი გიგი მანია, რომელიც თავის მეგობრებთან ერთად საქართველოს სახალხო დამცველის, ბატონი ტუდუშისა და ლიბერალური ღირებულებების მქონე პოლიტიკური პარტიებისთვის მიმართვის გაგზავნას აპირებს. გიგი მანიას 23 წლის პარტნიორი ჰყავს, რომელთანაც ქორწინება სურს, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა ცისფერი ოცნების (ვაგლახ, ბრჭყალების გარეშე) უფლებას არ აძლევს. მანიას თქმით, ეს ადამიანის უფლებების პირდაპირი დარღვევაა, და თუ საქართველო დემოკრატიული ღირებულებებისკენ მიისწრაფვის, ერთსქესიანთა ქორწინება დასაშვები უნდა იყოს!

აი, ასე ესმის დემოკრატია ჩვენი საზოგადოების ლიბერალურად მოზროვნე ფრთას, სახელმწიფო კი დუმს... არასდროს გვსმენია ამ პრობლემის საჯარო განხილვა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, მრავალრიცხოვან არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომელთა უმრავლესობა დასავლურ გრანტებზე არსებობს. თუმცა შეუძლებელია ხელისუფალთა ყოვლისმხედველ თვალებს, შსს-ს ყოვლისმხედველი და ყოვლისმსმენი აპარატურით გაძლიერებულს, ქალაქის ქუჩებსა და საზოგადოებრივ ადგილებში მომრავლებული გეები და ლესბოსელები გამოჰპარვოდა!..

ან იქნებ საქმე ის არის, რომ მათაც ეგ უნდათ? რაც უფრო მოიწამლება და გაირყვნება ახალგაზრდა თაობის ცნობიერება, მით უკეთესი, მით უფრო ადვილი არ იქნება მისი მართვა?!

და მერე რა, თუ დემოკრატიას საქართველოში უკვე დიდი ხანია ჰომოსექსუალიზმის სურნელი დაჰკრავს – სამაგიეროდ, ეს **„არომატი“** კარგად ესადაგება უმცირესობათა უფლებების დაცვის თაობაზე ევროპისა და აშშ-ის რეკომენდაციათა **„თაიგულს“** (მნიშვნელობა არ აქვს, ეს უმცირესობა ეროვნულია, რელიგიური თუ სექსუალური)! შესაძლოა, ამისათვის საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მიუტევონ სასამართლო რეფორმის ჩავარდნა, 30 ათასზე მეტი პატიმარი და 100 ათასი პრობაციონერი (საქართველოს ყოველი მესამე მცხოვრები პატიმარია!), მიუტევონ ყველა გაყალბებული არჩევნები (არა მარტო განვლილი, არამედ მომავალიც!) და საქართველო, ბოლოს და ბოლოს, ნატოსა და ევროკავშირში მიიღონ?!

თეო ტაბატაძე

საინფორმაციო-ანალიტიკური საა-გენტო „საქინფორმი“

დასავლეთს ერთმანეთს ვერასოდეს გავიმეჯებთ...

2011 წლის 28 სექტემბერს ენგურის ხიდზე შედგა ქართველი და აფხაზი ენათმეცნიერების, საზოგადო მოღვაწეებისა და ჟურნალისტების შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარებაზე მომუშავე კულტურული თანასაზოგადოების შექმნის საკითხებს. აღნიშნული თანასაზოგადოება იმუშავებს შემდეგი მიმართულებებით:

ფოლკლორისტიკა – ხალხური შემოქმედების ნიმუშების მოძიება და პოპულარიზაცია (ანდაზები, გამოცანები, სიმღერები, ზღაპრები, თქმულებები და სხვა, სამეგრელოში ახალი მასალების მოსაძიებლად ფოლკლორისტული ექსპედიციის ჩამოყალიბება).

ლიტერატურული ენა – იმ პოეტებისა და მწერლების გაერთიანება, რომლებიც მეგრულ ენაზე ქმნიან ნაწარმოებებს.

ლინგვისტიკა – მეგრული ენის ფუნდამენტური კვლევა მეცნიერულ ჭრილში.

განათლება – საქართველოსა და აფხაზეთის სკოლების დაწყებით კლასებში მეგრული ენის მოკლე კურსის სწავლება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები – ინტერნეტ-რესურსების შექმნა, მეგრულენოვანი გაზეთის გამოცემა და სატელევიზიო გადაცემების ორგანიზება მეგრულ ენაზე.

უფლებრივი მხარე –საქართველოს და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის უფლებების დაცვა.

არავის ეჭვი არ ეპარება, რომ კოლხური (მეგრული) ენა, რომლის ფესვები შორეულ წარსულშია ჩაკარგული, დღეს ავად მოყარჯაშე მეცნიერყორნებისაგან უნდა დავიცვათ, რადგან ამ ენაზე წარსულის მრავალი საიდუმლოებით მოსილი ძეგლის გაშიფვრაა შესაძლებელი. ამაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ის ფაქტი, რომ ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა, პროფესორმა, მათემატიკოსმა გია კვაშილავამ სწორედ მეგრული ენის გამოყენებით შექმნა სპეციალური ალგორითმი და მოახერხა გაეშიფრა ფრანგი არქეოლოგის ლუიჯი პერნიეს მიერ 1906 წელს ხმელთაშუა ზღვის კუნძულ კრეტაზე ნაპოვნი **“ფესტოსის დისკო”,** რომლის წაკითხვას 100 წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ მსოფლიოს წამყვანი ენათმეცნიერები და უძველეს ძეგლთა მკვლევარები. სწორედ მაშინ, როცა გადაწყვეტილი იყო ამ დისკოს კვლევის შეჩერება, სწორედ მაშინ აალაპარაკა იგი ქართველმა მეცნიერმა და წარსულის უკვდავი ძეგლი აჩუქა კაცობრიობას. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ოდესღაც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები კოლხურ ენაზე მეტყველებდნენ და ამის უგულვებელყოფა მართლაც რომ დიდი დანაშაულია, რასაც მომავალი თაობები არასოდეს გვაპატიებენ.

აღნიშნულ შეხვედრაზე გადაწყდა ქართულ-აფხაზური ერთობლივი საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის საკითხი, რომელიც იმუშავებს კოლხურ კულტურასა და მეგრულ ენასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის საკითხებზე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ გაზეთ **“ილორის”** მთავარი რედაქტორი **როლანდ ჯალაღანია**, სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე **ზურაბ კვარაცხელია**, საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი სამეგრელოში **ლადო ქირია**, ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი **კუკური ფიფია**. აფხაზეთში გვმასპინძლობდნენ გაზეთ **“გალ”**-ის მთავარი რედაქტორი **ნუგზარ სალაყაია**, გაზეთის თანამშრომლები **მაყვალა ჩხოლარია, ნარგიზა ბასარია, სლავიკ ცაავა**, პოეტი **თენგიზ ფეტელავა**, პოეტი **ნუგზარ შამუგია** და სხვები.

“ილორის” პრესსამსახური

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ანგრევენ

საზოგადოება **„ლალხორის“** თავმჯდომარე მირონ ფირცხლიანის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორ დავით ლორთქიფანიძის განკარგულებით, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ანგრევენ.

„ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის განკარგულებით, მესამე თვეა, ანგრევენ სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობას, სადაც დაუნჯებულია სვანეთის ეკლესიებში ათეულობით საუკუნის განმავლობაში დაცული სიწმიდეები (ჭედური და ფერწერული ხატები, ხბოს ტყავზე დაწერილი სახარებები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპონატები). უპირველესად, ეს არის ქართველი ერის ისტორია და სულიერი საზრდო.

სვანეთის მოსახლეობა უკიდურესად აღაშფოთა მუზეუმის ნგრევით გამოწვეულმა ფაქტმა და იქ არსებული უნიკალური და ფერწერული ხატების, ოთხთავებისა და არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული ნივთების ქუჩაში გამოყრამ და ღია ცის ქვეშ ხელოვნურად შეკოწიწებულ ე.წ. კონტეინერებში მოთავსებამ.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ლალხორი“, რომელიც ზემო, ქვემო და აფხაზეთ-სვანეთის მოსახლეობის წარმომადგენლებმა დააარსეს, მიმართავს როგორც საპატრიარქოს, ისე საქართველოს მუზეუმების გაერთიანების დირექტორ დავით ლორთქიფანიძეს, რომ მოხდეს შეთანხმება, რაც გულისხმობს არსებული საგანძურის ეკლესიაში, კერძოდ, მესტიის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში გადაბრძანებას.

„სვანეთმა, ერთადერთმა კუთხემ, ქართველ ერს დღემდე შეუნარჩუნა აღნიშნული სიწმიდეები. არ გვაქვს უფლება, ვიღაცის ახირებული მოსაზრების გამო, ჩვენი სიწმიდეები საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს“, – აღნიშნულია განცხადებაში. მირონ ფირცხლიანის ინფორმაციით, თუ სიწმიდეებს ეკლესიებში არ გადააბრძანებენ, მოსალოდნელია მოსახლეობასა და მუზეუმის ადმინისტრაციას შორის მუდმივი დაპირისპირება, მათ შორის, სასამართლოში სარჩელის შეტანა და შემდგომი ვითარების გართულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

“გალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი”

(იბეჭდება „ილორის“ 133 ნომრიდან)

მღვდელი ბესარიონ ხელაია, ყველაზე ბნელ უბანში, გადაიყვანეს, სადაც რთულად იდგა ქრისტიანობის გავრცელების საქმე...

თუმცა მისი ნიჭიერებისა და პრინციპულობის დასტური იყო, რომ იგი ამავდროულად დანიშნეს ეპარქიაში სასულიერო წოდებაში შემსვლელ პირთა გამომცდელად. ეს იყო აღიარება და ნდობა.

გაიხარა მამა ბესარიონმა, როცა აფხაზეთში მწერალმა თედო სახოკიამ იმოგზაურა და შემდეგ 1895 წელს ჟურნალ **„მოამბეში“** კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა.

უთქვამთ **„დიდი ადამიანი თავის დროს წინ უსწრებს, ჭკვიანი გვერდით მიჰყვება, ეშმაკი ცდილობს, რიგიანად მოიხმაროს იგი, სულელი კი მისი გზის გარდიგარდმო დგასო“.** ბესარიონი ცდილობდა, გვერდით მაინც გაჰყოლოდა ცხოვრებას და უკეთესი მერმისის დამკვიდრებისათვის ეზრუნა.

ამისთვის იყენებდა ყველა შესაძლებლობას.

განსაკუთრებით მოსახლეობასთან საუბრებს. მოსწავლეებთან აშკარა მაგალითების მოხმობას...

...მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც მას მიმართავდა დასახმარებლად, რჩევისთვის თუ მდგომარეობაში გარკვევისათვის, მუდამ ცდილობდა დაეცვა მართლმადიდებლური ეტიკეტი და ამასთან ეროვნულ ტრადიციებს ეყრდნობოდა.

რომ შესაძლებელი ყოფილიყო სასწავლო გეგმის დახვეწა, მამა ბესარიონი აუცილებლად გადააკეთებდა. საკუთარ გაკვეთილებს ქართულ ენაში მაქსიმალურად იყენებდა ეროვნული სულისკვეთების გაღვივებისთვის.

***

1896 წლის შემოდგომაა.

ბარაქიანია წლის ეს პერიოდი.

მთავარია ხშირმა წვიმებმა ხელი არ შეუშალოს მუხლჩაუხრელ გლეხობას.

აფხაზეთში სიმშვიდეა.

თავსმოხვეული კანონებისადმი დამორჩილება ძნელია, ისევე როგორც ბედისწერისადმი წინააღმდეგობის გაწევა. წუთისოფელი ზოგჯერ ვულკანს გავს, ისე მოულოდნელად და სასტიკად ამოიფრქვევა, რომ ყველაფერს აცამტვერებს.

მომავლის წინასწარ განჭვრეტა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ადამიანს არ ძალუძს. უფალი ამას საჭიროდ არ თვლის. რადგან ადამიანმა საკუთარი ბედიღბლის შესახებ წინასწარ რომ შეიტყოს, იგი შესაძლებელია უმოქმედო მდგომარეობაში აღმოჩნდეს... ყოველი წუთი იმისათვის გვეძლევა, რომ უფლის სადიდებლად გამოვიყენოთ.

მამა ბესარიონმა იმ დილით ღმერთზე ილოცა. მეუღლეს მესამე შვილი უნდა გაეჩინა.

ზოგჯერ ბედისწერა მახეს უგებს ადამიანს.

შარბათის მიღების შემდეგ, თრობის ჟამი დგება, რომელსაც მძიმე გამოფხიზლება მოჰყვება.

ცხოვრება გრძელი ჯაჭვია, რომელსაც რგოლები თანდათან აკლდება, არა მხოლოდ მისი სისუსტის გამო. ანუ ყველაფერი ილევა, მთავრდება, ისპობა, მაგრამ საშინელებაა ნორჩ კოკორს ნაკვერჩხლები რომ გადაებნევა.

ამგვარი დამთრგუნველი წინათგრძნობის საბაბი არც ბესარიონს, და არც კესარიას გასჩენია. ჯერ ყველაფერი ოჯახური ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

ტანი აიყარა ნინომ...

დახტოდა, ცელქი ალექსანდრე...

როგორც იცის კოლხეთის დაბლობზე, უცებ ზვიდან მოძალდება შავი ღრუბლები, ხუთიოდე წუთში გაიშლება, გაიწელება და ყორანივით აეკვრება ცის კაბადონს.

წამოვა თქეში.

რეზინივით გაწელილი მსხვილი წვეთები დაეხეთქებიან მიწას და ბუშტივით სკდებიან...

ჩნდება გუბეები – ცივი, ტალახიანი.

ტაძარში მაცნე მოვიდა, მამა ბესარიონს მოახსენეს სახლში გიხმობენო.

სახლში მისვლისთანავე აუწყეს გოგონა დაიბადა, მაგრამ კესარია თავს ცუდად გრძნობს და ექიმები შველიანო.

ცოლის ოთახში შევიდა. გულშემოყრილმა კესარიას თოვლივით ქათქათა მკლავს ხელი შეახო.

სიცივე იგრძნო.

ძალმიხდილმა ქალმა მძიმედ აახილა თვალები და ნელა ააცმაცუნა ფერდაკარგული ტუჩები.

– შენ ხარ ძვირფასო?

– დიახ, ...ნუ გეშინია ჩემო ანგელოზო. ღმერთი დაგვიფარავს – ხმის თრთოლვით მიუგო და შუბლზე ეამბორა.

– არაფერზე ვდარდობ, შვილებს შენისთანა მზრუნველი მამა ყავთ... ჰო, კეთილი მამა.

– გევედრები, გაჩუმდი კესარია – ტუჩზე ხელი დააფარა – ავად ვინ არ გამხდარა, შენი ახალგაზრდა სხეული სიძნელეს გადალახავს. შენ,... შენ, ჩემო ძვირფასო, უფლის წყალობით კიდევ დიდხანს იცხოვრებ.

კესარიამ თვალები მილულა.

ექიმმა მამა ბესარიონს ურჩია, მეტი არ შეეწუხებინა.

ეს იყო ცოლ-ქმრის ბოლო გაბაასება.

23 წლის ახალგაზრდა ქალმა სული დალია.

ბესარიონი შვილებს გადაეხვია და დამამშვიდებლად მიმართა.

– თქვენი დედა ღვთიური მტრედი იყო, რადგან იგი ციდან მოგვევლინა და ჩვენს სულში თბილი ბუდე გააჩინა, რომელიც არასდროს გაცივდება, ვიდრე პირში სული გვიდგას... ის რაც არ ქრება, მარად ენთება... გარდაცვალილები ვარსკვლავებთან მიდიან, მას ერწყმიან და არასდროს შორდებიან... სწორედ ეს არის სასუფეველი ცათა შინა.

საქართველოს საეგზარქოსო ყაზანის აკადემიაში

ერთი მდგომარეობა განაპირობებს მეორეს.

ზოგჯერ ისეთი რამ უნდა მოხდეს, გარკვეული გადაწყვეტილება მიგაღებინოს.

იჯდა მამა ბესარიონი ურალისაკენ მიმავალ მატარებელში და ფიქრობდა შვილებზე და ილორის ეკლესიის ეზოში მიბარებულ ახალგაზრდა მეუღლეზე.

წამოსვლის წინ ილოცა კესარიას წმინდა საფლავთან.

შვილები მეუღლის ახლობლებს ჩააბარა. თავდაპირველად მომვლელის დაქირავება სურდა, მაგრამ მერჩულეებმა იუარეს და თავად ინებეს მოზარდებისათვის ყველა პირობის შექმნა, ვიდრე ბესარიონი უმაღლესი განათლების მიღებით იქნებოდა დაკავებული.

ჩაფიქრებული ბესარიონი მატარებლის სარკმლიდან გასცქეროდა რუსეთის უკიდეგანო სივრცეს. ადვილი არ იყო 36 წლის მღვდელმსახურისათვის შორეულ გზას გადგომა.

ჯერ თხოვნით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს, მთავარეპისკოპოსის ვლადიმერ ბოგოიავლინსკის, ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელების თაობაზედ და მიიღო ნებართვა სახელმწიფოს ხარჯზე, უგამოცდოდ გაეგრძელებინა სწავლა.

ასეთი იყო ნება ღვთისა.

ბესარიონი რუსეთის მსხვილი ქალაქის – ყაზანის აკადემიაში სწავლაში ხედავდა განათლების დონის ამაღლებას, რომელიც მას მომავალ მოღვაწეობაში გზას გაუნათებდა.

უკან რჩებოდა მშობლიური, ბედკრული საქართველო. საყვარელი საქმიანობა. შვილები, მეუღლის საფლავი. თან მიყვებოდა უფლის ლოცვა.

თანამგზავრები მალი-მალ იცვლებოდნენ.

ამოდიოდნენ, ჩადიოდნენ.

მატარებელი მომდევნო ყოველ სადგურზე სამი-ხუთი წუთი ჩერდებოდა. მგზავრები მოსწრებაზე იყვნენ. ულვაშა გამცილებლის ხორხოცა ხმა, თითქმის გამუდმებით ისმოდა. იგი წესრიგის დაცვას მოითხოვდა. სჩანდა ბუნებით უშუალო, მაგრამ პრინციპული რკინიგზელი იყო.

„გასასვლელში ნუ დადგებით", „ეი, შენ აქ ნუ ეწევი",„ვისია ეს ოხერი ხელჩანთები", „მომდევნო სადგურში ჩამსვლელებო მოემზადეთ",„ხომ გაგაფრთხილეთ არაფრის დალევა არ იყოს-თქო".

ამგვარი შეძახილები, შენიშვნები, რჩევები გამუდმებით ისმოდა. როგორც იტყვიან ბუზის გაფრენა არ გამოეპარებოდა.

გრძელი მერხი, რომელზედაც იჯდა მამა ბესარიონი, მუდამ სავსე იყო მგზავრებით. სხვადასხვა ასაკის, შეხედულების, სქესის ადამიანებით.

ბესარიონი ყოველ მათგანს ჩვეული სიმშვიდით ხვდებოდა. ზოგიერთ მათგანს ებაასებოდა.

– ყოველივე რაც ხდება ღვთის ნებაააო – მიუგო ქალბატონს, რომელმაც საუბარში გამოიწვია.

– გედავებით მამაო – უმალვე შეეპასუხა მანდილოსანი, ცეცხლოვანი თვალები დაკვესა და განაგრძო – თავს ვაძლევ უფლებას გითხრათ, საკუთარ სურვილებს უფლის ნებით ამართლებთ.

ბესარიონმა მგზავრებს შეხედა და ჩვეული სიდარბაისლით მიუგო.

– თითქმის ყველა რელიგიისათვის დამახასიათებელია დაპირისპირება ადამიანის გონებასა და სარწმუნოებას შორის. ეს ხდება იმის გამო, რომ გონება ყველაფერს ვერ აღიქვამს... მისთვის მიუწვდომელია არა მარტო ღმერთი, არამედ ბუნების, ყოფიერების შემეცნებაც, ღვთაების შემეცნების გარეშე.

ქალმა თავი აქეთ-იქით გადააქნია და უკმაყოფილომ მიუგო – რთულად მელაპარაკებით. ენა და ლოგიკა ყველა მღვდელს თუ ბერს განვითარებული აქვს. დავა თქვენთან ძნელია, მაგრამ მითხარით, როცა ქვეყანა სიცოცხლითა და სიყვარულითაა სავსე, როცა ათასი სიკეთის კეთება შეიძლება ქვეყნად, ახალგაზრდა კაცმა მღვდლის მანტია უნდა მოისხას და მონასტერში ჩაიკეტოს?.. ლოცვების კითხვა, პირჯვრის გადაწერა და ერთიდაიგივე უფერულებას მისდიოს?.. როცა ფართო ველები მზითაა გამთბარი და ირგვლივ პურისა და მზესუმზირის ყანები ბიბინებენ?

ბესარიონი ამ შეკითხვას უპასუხოდ ვერ დატოვებდა, რადგან ქალმა დამატებით მეზობლის მაგალითი მოიყვანა, რომელიც ლოთობდა, ოჯახი მიატოვა და შემდეგ აღმოჩნდა თურმე, რომ მონასტერში აღიკვეცა.

– ძალიან მკაცრი განსჯაა, ადამიანის ნება-სურვილისა. – მიუგო ბესარიონმა – ჩემზე მოგახსენებთ... მამა მღვდელი მყავს. მისი ნათქვამი მახსოვს, როცა შენ დაიბადე, გვერდით ოთახში ლოცვას ვკითხულობდი და ღმერთს დედა-შვილის გადარჩენას ვევედრებოდიო. ესე იგი დაბადების პირველი წამებიდან ჩამესმოდა ლოცვის მარადი სიტყვები... საკმეველის სურნელზე გავიზარდე. ფეხი ავიდგი თუ არა, როგორც კვიცი ცხენს, ისე დავყვებოდი ჯერ გადიას საყდარში, შემდეგ თავად მე გავრბოდი. წერა-კითხვა ეკლესიასთან არსებულ სასწავლებელში შევითვისე, დავამთავრე სასულიერო სასწავლებელი და შემდგომ სასულიერო სემინარია... ათი წელი მღვდლად ვიმსახურე. ასე, რომ...

ქალმა საუბარი შეაწყვეტინა, ხმამაღალი შეძახილით.

– მე მაინც ის ახალგაზრდა მამაკაცი მიზიდავს, დილით, **„დროგზე"** შემომჯდარი მინდორში სამუშაოდ რომ მიიჩქარის, საღამოს კი გასართობად გარმონით ხელში სოფლის შარა-შუკებს, რომ ამხიარულებს... საყვარელი ქალის გულის მოსაგებად – შემდეგ გვერდით მჯდომ მოხუცს გადახედა და – ხომ მართალი ვარ ხალხნო? – საზეიმო ხმით დაამთავრა საუბარი.

თანამგზავრთაგან უმრავლესობამ პირჯვარი გადაიწერა და ჩაიდუდუნა **„შენ შეგვიწყალე უფალო"** – ერთი-ორი თავის დაქნევით დაეთანხმა ჟღალთვალება ქალს.

ბესარიონი ზერელე და უსაგნო ლაპარაკში ვერ ჩაებმებოდა. რამოდენიმე საფუძვლიანი განმარტება გააკეთა რწმენაზე, იმედზე, ადამიანთა თანადგომაზ, სჯულის შემწყნარებლობაზე, თქვა, რომ იმაზე მეტად ვერაფრით ვცემთ თაყვანს უფალს, ვიდრე მძიმე ვნებათა დათმენითა და ხორციელ სურვილთა აღკვეთით. არაფრით ისე არ მოიხმობა კაცმოყვარეობა უფლისა, როგორც ცრემლითა დიდითა.

სამი დღე-ღამე იმგზავრა.

დაღალა მატარებლის რახრახმა, ადამიანთა გნიასმა.

ყაზანი თათრების ქალაქალ იწოდება, მაგრამ აქ ძნელი გასარჩევია ვინაა რუსი, და ვინ – არა.

აქედან ახლოა სხვა მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრები: ეკატერინობურგი და ნოვოსიბირსკი.

რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე სასულიერო აკადემია არა ერთი მოქმედებს. მოსკოვში, კიევში, ყაზანში. მამა ბესარიონი უწყოდა, რომ რამოდენიმე ქართველი იმაღლებდა ცოდნას ყაზანის აკადემიაში. ექვთიმე კაჭახიძე, იპოლიტე ვართაგავა, მიხეილ ფხალაძე, სერგო გიორგაძე. აქ სწავლის დონე ჯეროვანი იყო, ამიტომ ყაზანი არჩია. აქ ფუნქციონირებდა სხვა უმაღლესი სასწავლებლები, სადაც კავკასიელები სწავლობდნენ და თავს უცხოდ არ იგრძნობდა.

მათგან ი. ვართაგავა და ს. გორგაძე აქტიური, მებრძოლი სულის ახალგაზრდები იყვნენ. აინტერესებდათ საქართველოში მიმდინარე მოვლენები. თუმცა იყვნენ ისეთები, რომლებიც ეროვნული საკითხებისადმი უინტერესობას იჩენდნენ, უფრო საღვთისმეტყველო მეცნიერება იზიდავდათ.

სახელმწიფოს ხარჯზე ჩარიცხულ, მამა ბესარიონს მაშინვე პატარა, ცალკე ოთახი გამოუყვეს, რომ მეცადინეობის სათანადო პირობები ჰქონოდა. მასთან ერთად ჩაირიცხნენ თბილისის სემინარიის ყოფილი მოწაფეები: ბერძნები ნიკოლოზ პოლიტოვი და ალექსანდრე მიხაილოვი, აისორი აბრამ სემიონოვი.

სამივენი ნიჭიერი, მონდომებული ახალგაზრდები სჩანდნენ.

ბესარიონი მათ შორის ასაკით ათი-თხუთმეტი წლით უფროსი იყო. თმაში ნაადრევად ჭაღარა შეპარული და გამოცდილი. სტუდენტები ფარულ საყვედურსაც ამბობდნენ **„უგამოცდოდ დაგვისვესო".**

ციმბირში ჰავა მშრალია. ზამთარი მკაცრი, ზაფხული თბილი.

როგორც კი აკადემიის რექტორის ბრძანება გამოქვეყნდა სტუდენტების ჩარიცხვაზე, ბესარიონმა მაშინათვე ბარათი შეადგინა და ოჩამჩირეში გაგზავნა.

„ჩამოვედი კაზანს. მთელი გზა ღმერთზე და თქვენზე ფიქრში გავატარე. რამოდენიმე დღეა აქ ვარ და უკვე მენატრებით ყველა...

აკადემიაში მიმიღეს. ქართველებიც არიან.

სხვა რა მოგწეროთ, ამბობენ დიდი თოვლი და ყინვები იცისო. აქ ახლა საუცხოო ამინდია. უმეტესწილად ირგვლივ ბერიოზკა და ნაძვები ხარობენ.

უფალი გფარავდეთ.

ბესარიონი"

ბესარიონმა მალე გამონახა საერთო ენა სტუდენტებთან და ლექტორებთან.

სტუდენტებს შორის ექვთიმე კაჭახიძე სუსტი აგებულების, კარჩაკეტილ ცხოვრებას მიჩვეული, მუდამ ცალკე დგომას ირჩევდა. მიხეილ ფხალაძეს უფრო საღვთო ცხოვრება და ლიტერატურა აინტერესებდა.

ვართაგავა და გიორგაძე აქტიურად ეცნობოდნენ თბილისიდან მიღებულ ჟურნალ-გაზეთებს. განსაკუთრებით აინტერესებდათ ილია ჭავჭავაძის **„ივერიასა"** და **„კვალის"** ხელმძღვანელ – ნოე ჟორდანიას შორის წამოჭრილი პოლემიკა. მათი შეხედულებები განსხვავებული იყო, რის გამოც უპირისპირდებოდნენ ერთურთს.

აკადემიის რექტორი, პეტერბურგიდან გადმოყვანილი ბერი ანტონი, პოლიტიკური მრწამსით, მტკიცე, ურყევი მონარქისტი იყო. თვითმპყრობელი მეფის უერთგულესი მსახური და მისი განმადიდებელი და **„წმინდა რუსეთის"** დიდი პატრიოტი იყო. მან იცოდა კაზანის სასულიერო აკადემია მეფის უშუალო ხელდასხმით დაარსდა, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი სასულიერო და საერო პირები. არ ზღუდავდა სტუდენტებს.

ბორის დავითაია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

საიქიოს ჯაჭუჭები

„მახვილი იშიშვლეს ბოროტებმა და მოზიდეს თავიანთი მშვილდი...“ ფსალმუნი 36,14

როცა მკითხველი ბეყეილა ბეყუნდარელის წერილს გაეცნობა, შეიძლება იფიქროს, ამ სწავლულებს საქმე გამოლევიათ, რა გახდა ვიღაც შერეკილის წერილი, რა განგაში ატეხესო.

თავდაპირველად მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ როცა მოვისმინე მეცნიერთა შეფასება, როცა გავეცანი მათ დასკვნებს, მივხვდი, ძალიან ვცდებოდი!

ყველამ უნდა იცოდეს ის, თუ რა ითქვა, რა ხდებოდა სხდომათა დარბაზში, რათა მითქმა-მოთქმას, ჭორების გავრცელებას, ოპოზიციის მიეთ-მოეთს ლაგამი ამოედოს.

დღის სამი საათისთვის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზი (ადრე კლუბის მოვალეობას ასრულებდა) სავსე იყო. მიუხედავად თბილისური ზაფხულის სიცხისა, ყველა სწავლულს კოსტუმი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა, რაც ოფიციალურ-საზეიმო განწყობილებას მეტ პეწს მატებდა, ხოლო რამპის ჩირაღდნები სწავლულებს მისტიკურ შარავანდედში ხვევდა.

ძნელია სწავლულთა ღრმა აზრებს ჩასწვდე, მაგრამ რადგან დარბაზში ჩემნაირი უბრალო მომკვდავნი მრავალი იყო, ახალგაზრდა მეცნიერებმა ამჯობინეს ჩვენთვის გასაგებ ენაზე ელაპარაკათ.

ბატონი რამაზი ჩვეულ ფორმაში იყო. კათედრასთან ენერგიული ნაბიჯით მივიდა, დარბაზს თვალი გადააავლო და მესიაკონთა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. შესავალ სიტყვაში ბრძანა: თავაზარი დამცა ბეყუნდის საზოგადოების დანაშაულებრივმა გულგრილობამ, უპირველეს ყოვლისა, ბეყუნდის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმის ძირგამომთხრელურმა საქმიანობამ. შეიძლება ითქვას, რომ მან საავადმყოფო ჯაშუშთა საიდუმლო ბუნაგად გადააკეთა. ამ საავადმყოფოს თავს აფარებს და გიჟის როლს თამაშობს ძალზე საშიში ტერორისტი, რუსეთისა და საიქიოს ჯაშუში ბეყეილა ბეყუნდარელი, მეტსახელად მისტიკოსი!

ამ სიტყვების გაგონებისას გასუსულ დარბაზს ოხვრა აღმოხდა.

– ქალბატონებო და ბატონებო! – განაგრძო ინსტიტუტის დირექტორმა, – თქვენ კარგად იცით ის, რომ ტრადიციათაგან ხსნის ინსტიტუტში შეისწავლება ისეთი ურთულესი და აქტუალური პრობლემები, როგორიცაა ქალწულობის ინსტიტუტის, როგორც ერის გამრავლების ხელისშემშლელი ფაქტორის მოხსნა; ქართული ტრადიციული სუფრის და ჰომოსექსუალიზმის ურთიერთგანპირობებულება; ქართველის დედის სიმბოლოს ჭიაბერისეული ინტერპრეტაციის განზოგადება; ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლის საკუთარ დედასთან სექსით ტკბობის შესახებ შექმნილი რომანის უარყოფითი შეფასება რეტროგრადი საზოგადოების მიერ და ამ შეფასების რეზონიური ბუნების მხილება; იაზონისა და მედეას ებრაული წარმოშობის კოდის გახსნა; ქართულ ხალხურ სიმღერებთან შედარებით რეპის ექსპრესიის ფუნქციის უპირატესობის წარმოჩენა; ქართულ ქსენოფობიასთან გრიგორიანული კონფესიის, აგრეთვე სხვადასხვა სექტების შეუთავსებადობის აღმოფხვრის გზების ძიება და მრავალი სხვა, რომელთა შესწავლა და ჩვენი რეკომენდაციების ცხოვრებაში გატარება აუცილებლად ხელს შეუწყობს ძველი, დრომოჭმული ტრადიციების დაძლევას და ქართული სულის ამერიკულ, პროგრესულ სულთან ინტეგრაციას, გაგვიადვილებს ამერიკის სულთან შერწყმის პროცესს.

ბატონმა რამაზ რახუნაიძემ ჭიქით წყალი მოსვა, ჩაახველა და ნაკლებად ოფიციალური, შეიძლება ითქვას შინაურებისადმი განკუთვნილი, თბილი, ოდნავ ალერსიან-საზეიმო ხმით წარმოთქვა:

– მეგობრებო! უნდა მოგილოცოთ! ამ დღეებში გადაწყდა ჩვენი ხსნის ინსტიტუტისთვის ეწოდებიათ მსოფლიოში ცნობილი ფილანთროპის ბენ სოროს იანკის სახელი! ამიერიდან ჩვენი ინსტიტუტის სრული სახელწოდება იქნება ბენ სოროს იანკის სახელობის ტრადიციათაგან ხსნის ინსტიტუტი! მეგობრებო! ამ პრესტიჟულ სახელწოდებას შესაბამისად თან ერთვის ფრიად სოლიდური დაფინანსება!

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი რამაზი ბოლო ფრაზებით აშკარად ინსტიტუტის თანამშრომლებსა და უახლოეს მეგობრებს მიმართავდა, დარბაზი ტაშის გრიალმა კიდამ დაანგრია. ოვაცია მას შემდეგ შეწყდა, როცა ორატორმა ხელები მაღლა აღაპყრო და პუბლიკას სიჩუმე მოსთხოვა. ხალხის ამგვარი რეაქცია სავსებით ბუნებრივია. ყველას ხელფასი მოემატება, მათ შორის, რა თქმა უნდა, მეც!

დარბაზში ხმაური მონელდა თუ არა, ბატონმა რამაზმა სიტყვა განაგრძო.

– ეს არის ჩვენი ინსტიტუტის თავდაუზოგავი მუშაობის უმაღლესი აღიარება და შეფასება!

კვლავ ტაში და შეძახილები.

ღმერთმანი, მლიქვნელი არა ვარ. ამიტომ ჩემი შეხედულება ბატონი რამაზის მიმართ გულწრფელი და ობიექტურია. მრავალ ნიჭთან ერთად მას დიდი მსახიობის ნიჭიცა აქვს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ტრიბუნასთან მდგომი, გაღიმებული, გულთბილად, ღმობიერად მოლაპარაკე უცებ გარდაისახა.

ვიღაცეები ამბობდნენ და ეხლა მეც მჯერა, რომ მან სტანისლავსკის გარდასახვის თეორია კარგად იცის და პრაქტიკაში კიდეც იყენებს. რამდენიმე წამში სხვა რამაზად მოგვევლინა, ულმობელ, შეუპოვარ, პრინციპულ ადამიანად.

– შეიძლება მკითხონ, ამგვარი სერიოზული პრობლემების შესწავლით დაკავებულმა მეცნიერებმა რატომ მიაქციეს ყურადღება ვიღაც პროვინციელი ბეყეილა ბეყუნდარელის საიქიოში გასაგზავნ წერილს? – განაგრძო გარდასახულმა რამაზმა, – თქვენ მალე დარწმუნდებით თუ რაოდენ საშიში ჯაშუშები და ტერორისტები გავიფრეთ და ამით დემოკრატიას, ხელისუფლებას და სახელმწიფოს სერიოზული საფრთხე ავაცილეთ! ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერებმა შესძლეს ტერორიზმის დღემდე უცნობი, ადამიანის ქვეცნობიერში ჩაძირული, შავ მაგიასთან დაკავშირებული მექანიზმის აღმოჩენა! მადლობა მათ ამ მეცნიერული გმირობისთვის!

ბატონმა რამაზ რახუნაიძემ სათვალე მოიხსნა, ბუდეში ჩადო და კოლეგების გვერდით, მისთვის განკუთვნილ სავარძელში დიდებულად ჩაჯდა.

ამის შემდეგ ჩვენი ახალგაზრდა, ნიჭიერი, ანუ ინგლისურად მოლაპარაკე სწავლულები საზოგადოების წინაშე წარსდგნენ.

აი, რა თქვა (ქართლ ენაზე) ახალგაზრდა ფსიქოლოგმა (გადმოგცემთ მათი მოხსენებების თეზისებს):

– გავიხსენოთ ბეყეილა ბეყუნდარელის რიტუალი **„კვირის პალიტრის“** საფოსტო ყუთთან. რა თქმა უნდა, ეს მის წერილში აღწრილი არ არის, მაგრამ ჩვენ დაგვეხმარნენ თვითმხილველნი და შევძელით ქრონოლოგიური სიზუსტით აღგვედგინა ყოველი მისი ნაბიჯი წერილის საფოსტო ყუთში ჩაგდების მომენტამდე. იგი ისე იქცევა, როგორც პრეზიდენტი, რომელიც გვირგვინით ამკობს გარდაცვლილი სახელმწიფო მოღვაწის მემორიალს. ბეყეილას ქვეცნობიერად პრეზიდენტობა სურს. ეს მანიაკალური ლტოლვა მის ქცევებს განსაზღვრავს. გავიხსენოთ მისი დიდი სიხარული, როცა შეიტყო, რომ ვიღაც რუსი კომპიუტერით საიქიოში სიმამრს დაკავშირება. მას სურს ეს უახლესი ტექნოლოგია მალე ხელში ჩაიგდოს, რათა იმქვეყნად მყოფ თანამზრახველებთან საიმედო კავშირი ჰქონდეს. მისტიკოსი ბეყეილა შავი მაგიის საკრალურ შელოცვებს ფლობს და მისი საშუალებით ცდილობს ზომბებად აქციოს ის ადამიანები, ვინც მას გზას უღობავს პრეზიდენტის საგარძლისკენ. მეგრული ენის არმცოდნე ბეყეილა მეგრულად წარმოსთქვამს მაგიურ შელოცვას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას ხელმძღვანელობს სეპარატისტ-ტერორისტი, ჯაშუშთა მომზადების საიდუმლო სკოლის მაგურაფალი გუჯა ქაჯაია, რომელსაც თავის დროზე სპეციალური მომზადება ტიბეტის მონასტერში გაუვლია, სადაც ცნობილ გურუსთან ტელეკინეზის, ტელეპათიის და ჰიპნოზის გამოყენების ვაშინერს ხელოვნებას ეუფლებოდა. მისტიკოს ბეყეილას გადაწყვეტილი აქვს საიქიოდან სულების გამოძახება და მათი მატერიალიზაცია, რომელთა უშუალო მონაწილეობით მოაწყობს სერიულ აფეთქებებსა და მკვლელობებს.

მოულოდნელად შუქი გამოირთო. დარბაზი წყვდიადში ჩაეფლო. უცებ ქალის საშინელი კივილი გაისმა. **„უკვე აქ არიან, მოსულან! მოსულან!“** – ყვიროდა ვიღაც. ატყდა ხმაური, სკამების ბრახუნი... შუქი როგორც წავიდა, ისევე მოულოდნელად მოვიდა. დავინახე შიშით გულშემოყრილი რამდენიმე ქალბატონი... დარბაზში დაცვის ბიჭები შემოცვივდნენ... ხალხი დაწყნარდა, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთი სუსტი ნერვების პატრონი დარბაზიდან გავიდა.

წესრიგის აღდგენის შემდეგ კათედრასთან ახალგაზრდა პროკურორი მივიდა. აი, რა თქვა პროკურორმა:

– მისტიკოსი ბეყეილა ბეყუნდარელი ორჯერ ეცადა ხელისუფლების წარმომადგენლის მოკვდინებას. ერთხელ კომუნისტების დროს, მეორედ კი სულ ახლახან, დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობის პერიოდში. ორჯერ უშედეგოდ ჩატარებული ტერაქტის შემდეგ მიხვდა, რომ საჭირო იყო სხვა მეთოდის, სხვა ხერხის გამოძებნა. მას ტერაქტის ჩატარების ახალი მეთოდი შემუშავებული აქვს. შავ მაგიასთან ერთად იგი სრულიად უახლეს ტექნიკას, კომპიუტერსა და სულთა მატერიალიზაციის მანქანას იყენებს. ტრადიციათაგან ხსნის ინსტიტუტის ფსიქოლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დეპრესიის დროსაც კი თავს არ იკლავს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მტკვარში თავის დახრჩობით დაკისრებულ მისიას ვერ შეასრულებს, რომ მას სურს კამიკაძე გახდეს. საკუთარი თავის აფეთქებით დასაჯოს ხელმოცარული საკუთარი **„მე“**, ხოლო დიდი მსხვერპლით შური იძიოს იმ საზოგადოებაზე, რომელმაც ზურგი შეაქცია, გარიყა, უარი უთხრა მის ამბიციურ სურვილს გახდეს ქვეყნის პრეზიდენტი... ასეთი ადამიანი ძალიან საშიშია... ასეთ ადამიანს შეუძლია მთელი ქალაქი ააფეთქოს... ასეთი ბეყეილა ერთი არ არის... ასეთი ბეყეილები ბევრნი არიან და შესაძლოა ხელეუმბარებით ჯიბე-უბე დატენილი კამიკაძეები ამ დარბაზშიც იმყოფებოდნენ!

ჩემი, ანუ მძღოლის ჭკუით, პროკურორს ბოლო ფრაზა არ უნდა ეთქვა. ალბათ ახალგაზრდობით, გამოუცდელობით წამოცდა. ამ სიტყვებით შეშინებული ხალხი ახმაურდა. ისმოდა მოწოდებები დარბაზიდან პირველები ბავშვები და ქალები გასულიყვნენ (მადლობა ღმერთს, ამჯერად შუქი არ ჩამქრალა)... დაცვის ჯეელებს საქმე გამოუჩნდათ, დაფაცურდნენ, რიგებს შორის დარბოდნენ, სკამებს ახრიგინებდნენ და თან მობილური ტელეფონებით ვიღაცას რაღაცას უყვიროდნენ... დარბაზი როგორც იქნა დაწყნარდა.

– ქალბატონებო და ბატონებო! – განაგრძო პროკურორმა, – მოგახსენებთ იმასაც, რომ ბეყეილა ბეყუნდარელი რასისტიც არის. როცა ცინიკურად აღწერს რაიკომის მდივანზე შემზარავ თავდასხმას, ახსენებს გამგებლის პაპას, სომეხ მექუდე კარაპეტას, რითაც სურს ხაზი გაუსვას გამგებლის სომხურ წარმოშობას. ამას შეგნებულად აკეთებს, რათა შუღლი ჩამოაგდოს ორ მოძმე ერს შორის. ჩემი დასკვნა ასეთია: ბეყეილა ბეყუნდარელი და მასთან დაკავშირებული არამზადათა ბანდა ჯაშუშები და რასისტებია. მოვითხოვ წარსდგნენ სასამართლოს წინაშე და კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯონ.

პროკურორმა ქაღალდები წამოკრიფა და პუბლიკას თავი მოხდენილად დაუკრა. მისი სიტყვა ტაშით დააჯილდოვეს.

მოულოდნელად, დარბაზში მყოფი სომხები რაღაცაზე აჩოჩქოლდნენ, მაგრამ უმალვე გაჩუმდნენ.

პროკურორის შემდეგ ახალგაზრდა სოციოლოგმა ეს გვითხრა:

– მისტიკოსი ბეყეილა ბეყუნდარელი დაუფარავად ებრძვის პროგრესს, კულტურას. იგი ბნელეთის მოციქულია და იკვებება ჯოჯოხეთში მყოფთა მავნე იდეოლოგიით. ბეყუნდის ღადავ-პარკში გამართულ ფარულ კრებებზე მისტიკოსი ბეყეილა ბეყუნდარელი, პროფესორი ბენეციუს ბენცაძე, ფსიხუშკის სანიტარი ლადო დამაწყნარიშვილი, ბეყუნდის ტრიკოტაჟის ფაბრიკის ყოფილი მქსოველი ციალა ციობაძე და სხვები მოსახლეობას მოუწოდებენ არსებული სოციალური წყობის დამხობისკენ. მათ არა სურთ ქართველი ერი ეზიაროს ისეთ დემოკრატიულ ფასეულობებს, როგორიცაა გეი-პარადები, ერთსექსიანთა ქორწინების დაკანონება, გრიგორიანული ეკლესიის, აგრეთვე სატანისტური სექტების მართლმადიდებლობასთან გათანაბრება და სხვა, რაც ხელს შეუწყობს მავნე ტრადიციების დაძლევას, ქსენოფობიის აღმოფხვრას, ქართული მენტალიტეტის შეცვლას და ევრო-ამერიკულ კულტურასთან ინტეგრაციას. ისიც უნდა ითქვას, რომ ბეყეილა ბოროტი ცილისმწამებელია. საიქიოში მყოფთ ისეთ სურათს უხატავს, თითქოს სამეცნიერო ინსტიტუტები ხელისუფლებამ დახურა და აკადემიკოსები ქუჩაში გაყარა. ხმას არ იღებს იმის შესახებ, რომ ასაკში შესულ, 50 წელს მიღწეულ პროფესორებს დამსახურებული დასვენება ჭირდებათ! ჩუმად არის და არ ახსენებს იმას, რომ ეს ადამიანები თვეში 100-ლარიან პენსიას იღებენ! ცილისწამებაა ისიც, როცა აცხადებს, რომ უნივერსიტეტი თხა და გიგოს სკოლად გადააკეთესო. ასეთი სკოლა ბუნებაში არ არსებობს! მის მიერ ნახსენები სასწავლებელი რეგისტრირებული და ლიცენზირებული არსად არის! გსმენიათ ამ სახელწოდების სასწავლებლის არსებობის შესახებ?

დარბაზში გაისმა შეძახილები: ამ სკოლის შესახებ არაფერი გვსმენია! ასეთი სკოლა არ არსებობს! ჭორიკანა! რუსეთისა და საიქიოს საზიზღარი აგენტები!

მოულოდნელად, ერთი მოხუცი წამოდგა, ხელჯოხი ზემოთ აღმართა და აყვირდა:

– ასეთი სკოლა მეცხრამეტე საუკუნეში არსებობდა! დირექტორი იაკობ გოგებაშვილი იყო!

ხმაურში მისი ბებრული ხმა მომხსენებლამდე შეიძლება ვერ აღწევდა, ან გაიგონა და საჭიროდ არ ჩათვალა პასუხი გაეცა.

მესიაკონები რამდენიმე წუთი თათბირობდნენ და საბოლოო სიტყვის თქმა პროკურორს დაავალეს.

– მხილებულია კარგად მომზადებული ჯაშუშთა ქსელი, რომელთა ემისრებმა შესძლეს საიქიოში მყოფთა გადაბირება, – თქვა პროკურორმა, – მათ საჯაშუშო და ტერორისტულ საქმიანობას ძალას მატებდა შავი მაგია, რის გამოც ჩვენს უშიშროების სამსახურს გაუჭირდათ ამ ინსპირირებული ჯგუფის დროული მხილება და გაუვნებელყოფა. მე მოვითხოვ: 1) ბეყუნდაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას; 2) გუჯა ქაჯაიას, ბეყეილა ბეყუნდარელის, ბენეციუს ბენცაძის, ციალა ციობაძის, ლადო დამაწყნარიშვილის და სხვა ეჭვმიტანილთა დაპატიმრებას.

პროკურორის მოთხოვნას საზოგადოება ტაშით შეხვდა.

სწავლულთა გამოსვლების შემდეგ მიკროფონს სიტყვით გამოსვლის მსურველები მისცივდნენ. კარგად მახსოვს ერთი ახალგაზრდა პოეტის გამოსვლა.

– საშუალება მქონდა წამეკითხა მისტიკოს ბეყეილას საიქიოში გასაგზავნი წერილი. მე როგორც პოეტს, ცასა და მიწას შორის გადებულ ხიდს, თვალში მომხვდა ერთი ლექსის სტრიქონები და ვიღაც პელო მასწავლებლის შესახებ რაღაც მელოდრამა. ვფიქრობ, ბეყეილა ცდილობს თავისი აგრესია, სადიზმი, ჯაშუშური საქმიანობა შენიღბოს პროვინციელი პოეტის ლექსებითა და ჩვენი პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვის გაუგებარი სენტიმენტალიზმით...

პოეტმა კიდევ რაღაცეები თქვა, მაგრამ უკვე აღარავინ უსმენდა, დარბაზი იცლებოდა. მიუხედავად ამისა, იყოჩადა და საკუთარი ლექსის წაკითხვა მაინც მოახერხა.

მეორე დღეს, სადამოს, ტელევიზიით აჩვენეს ახალქალაქელი სომხების საპროტესტო აქცია. მათ ტრანსპარანტებს რუსულ, ინგლისურ და სომხურ ენებზე ეწერა: **„შორს ბეყუნდიდან გიჟ-ვრაცუა ბეყეილები!“, „იბეყუნდა ძია კარაპეტას მშობლიური ქალაქია!“, „ბეყუნდის ეკლესია ჩვენია!“.**

ახალქალაქელებს უცხოეთში არსებული სომხური დიასპორები გამოეხმაურნენ და დაჩაგრულ სომხებს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვეს.

რაც შეეხება ბეყუნდას და ბეყუნდელებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე გუჯა ქაჯაია, ბეყეილა ბეყუნდარელი, პელაგია მასწავლებელი (მისი გვარი არ ვიცი), ბენეციუს ბენცაძე, ლადო დამაწყნარიშვილი და სხვა ეჭვმიტანილები დააპატიმრეს.

პელაგია ციხეში მიყვანამდე გზაში გულის მწვავე უკმარისობით გარდაცვლილა, ხოლო დანარჩენთა შემდგომი ბედის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცი.

თენგიზ კუბლაშვილი

სათემო, საგვარეულო და საოჯახო სალოცავები სამეგრელოსა და აფხაზეთში

ყველა ერს აქვს თავისი ტრადიციები, ადათები და წეს-ჩვეულებები. ისინი შექმნა თვით ხალხმა, რომლებიც ასახავენ ამა თუ იმ ტომის, გვარის თუ ოჯახის ქცევა-მოქმედებებს, ცხოვრების შინაარსს. ყველა ზნე-ჩვეულებას გააჩნდა მისთვის დამახასიათებელი რიტუალური მოქმედება. ამის საფუძველზე იქმნებოდა ხალხური თქმულებები და ლეგენდები. ხალხური წეს-ჩვეულებები წარმოადგენდა მშრომელი ადამიანების ერთობის საშუალებას.

დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი არა მხოლოდ, უბრალოდ, ალამაზებენ ცხოვრებას, არამედ ისინი თაობიდან თაობას გადასცემენ ისტორიულ გამოცდილებას. როგორც ქრისტიანობა, ისე ყველა სხვა რელიგია, სათემო-საგვარეულო დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების საშუალებით ნერგავდნენ ხალხში თავიანთ ძირითად იდეებს. ყველა ხალხის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული დღეები, რომელიც უკავშირდება რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რამაც სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. ამ დღესასწაულების დიდი ნაწილი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ადამიანი დღესასწაულობდა ხვნა-თესვას, მოსავლის აღებას, იგონებდა სახალხო გმირებს. შემდგომში ბევრმა დღესასწაულმა რელიგიური ხასიათი მიიღო, რომელიც დამკვიდრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ვაგრძელებთ მასალების ბეჭდვას სამეგრელოში დღემდე შემორჩენილ სალოცავებსა და დღესასწაულებზე, რომლებიც უხსოვარი დროიდან იღებენ სათავეს.

ყვავილ-ბატონები

ყვავილ-ბატონები: ჩხვერე, კორკოცე, შარტე, კისერე, დიდი ბატონები (წითელა, ყივანა-ხველა, ქუნორუშა, ჩუტყვავილა, ხორველა, შავი ჭირი) გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში.

1. ჩხვერე ბატონების დროს ბავშვის ტანს ემჩნეოდა გამონაყარი, აძლევდა სიცხეს.

2. კორკოცე (ხველა ბატონები) ბავშვი ახველებდა ისე, რომ მამალივით ყიოდა, აძლევდა სიცხეს.

3. წითელა ყვავილის დროს ბავშვის მთელი ტანი, განსაკუთრებით მუცლის არეში, წითელი წერტილებით იყო გამოყრილი, სიცხესაც აძლევდა.

4. კისერე (ხორველა). ეს ბატონები ძალიან საშიში იყო ავადმყოფებისათვის, რადგან ყელი და მთელი სასუნთქი ორგანოები უჩირქდებოდათ და ეკეტებოდათ.

5. დიდი ბატონები იგივეა, რაც შავი ჭირი. ეს ავადმყოფობა მაღალი ტემპერატურით იწყებოდა, უსივდებოდათ და უჩირქდებოდათ მთელი სახე. თუ ვინმე ცოცხალი გადარჩებოდა, მას, აუცილებლად, სახეზე ემჩნეოდა ნაყვავილარის კვალი, ანდა სამუდამოდ დაინვალიდდებოდა. ასევე იყო ფიდვაია ბატონები, როცა ბავშვს კისერი უსივდებოდა. ეს ავადმყოფობა საშიშს არ წარმოადგენდა.

დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოსა და სვანეთში, შემოღებული იყო ყვავილ-ბატონების სალოცავი. ეს ტარდებოდა ყველიერის ორშაბათს.

გადმოცემით, ბატონებს უფროსები აგზავნიდნენ და ასვენებდნენ ხან ბავშვების, ხან კი დიდების ორგანიზმში. მათ ისტუმრებდნენ სიმღერებითა და ჩონგურით. სვანეთში ჭიანურზე მღერობდნენ და ცეკვა-თამაშით აცილებდნენ ბატონებს.

იწვევდნენ შუამავალს, მახვეწებელს, მომბოდიშებელს, გამომლოცველებს. ისეთები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მსოლოდ ისინი, ვისაც ჰქონდა მოსტუმრებული ყვავი-ბატონები. სწორედ მათ შეეძლოთ ბატონებით დაავადებულ ავადმყოფთა მომსახურეობა. ოჯახის პატრონებს არ შეუძლიათ საჭმლის მოხარშვა, ცეცხლის დანთება, ტაფის გახურება. ამას მეზობლები აკეთებდნენ და უგზავნიდნენ ყვავილმოსტუმრებულის ხელით, ან აკაკუნებდნენ ავადმყოფის ჭიშკარზე, რათა გადაეცათ საჭმელი. დაძახება არ შეიძლებოდა ავადმყოფზე, რაიმე წამლის მიცემა აკრძალული იყო.

სოფელ სარაქონში სამი ოჯახი ამოწყვიტა ყვავილ-ბატონებმა. ჯადალი ჯალაღონიას ოჯახიდან სამი ბავშვი, ანტონ გეთიას ოჯახიდან კი სამი ბავშვი და დედ-მამა შეიწირა. გოძია მეშველიას ოჯახიდან დედ-მამა. ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა უპატრონოდ. ტირილი აკრძალული იყო. მეზობელ სოფელ ლეწურწუმეში ამბაკო წურწუმიას ბავშვი გარდაიცვალა ბატონებით, მამა კი არ მიუშვეს სატირლად. გაჯავრებულმა მამამ ღვინით სავსე ქვევრები სულ ქვებით დალეწა. მახვეწებლებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ბატონებს ამბაკოსათვის ეპატიებინათ დანაშაული.

ბატონებით ავადმყოფ ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ თამბაქოს მოწევა, ღვინის დალევა. თუ რომელიმე ჩვეულებას დაარღვევდა, მას სჯიდნენ. აი, რას იხსენებს 85 წელს მიღწეული მარტვილელი აბელი მოწაფია: თურმე, როცა ის ყვავილებით ყოფილა ავად, ბაბუამისი მთვრალი მოსულა, ბავშვები კი ცუდად გამხდარან. ბაბუას რომ გამოესყიდა დანაშაული, მისთვის ხელ-ფეხი შეუბორკიათ და საწოლქვეშ შეუგდიათ. ბავშვებს ეს ძალიან გახარებიათ, სიცილი დაუწყიათ და სიცხეც დასწევიათ.

როგორც, ამ რამდენიმე წლის წინათ, გაზეთი **"ასავალ-დასავალი"** წერდა, ცნობილი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის ლავრენტი ბერიას ოჯახს აფხაზეთის სოფელ მერხეულში ყვავილ-ბატონები სტუმრებიათ. ლავრენტის ერთი ძმა ამ სენით გარდაცვლილა. დედამისიც დაავადებულა, მართალია, ცოცხალი დარჩენილა, მაგრამ სამუდამოდ დაყრუებულა.

დიდი ბელადის, იოსებ სტალინის დედა – კეკე ხშირად ამბობდა თავის მეზობელზე: **"ჩემს სოსოს და ჩემს მეზობელ ქებაძეს ერთად სჭირდათ ყვავილი და ერთნაირად ამჩნევიათო".** დღესაც ვხვდებით ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებსაც სახეზე ძლიერად ამჩნევიათ ყვავილ-ბატონების ნაკვალევი.

ასე რომ, ყვავილ-ბეტონების გაჯავრება არ შეიძლებოდა. იტყოდნენ: ბატონები ესტუმრაო, ბატონები უბრძანდებაო, ბატონებმა ბრძანაო. ავადმყოფს უსრულებდნენ ყველაფერს, შეუძლებელსაც, რასაც კი მოითხოვდა. გარდაცვლილებზე იტყოდნენ – ბატონებმა წაიყვანაო. მახვეწებლები მიცვალებულს აცილებდნენ ჩონგურითა და იმ სიმღერით, რომელსაც უმღეროდნენ ყვავილმოსტუმრებული შუამავლები. სიმღერას ერქვა **"ოდუდური".**

ვოიადი, ია ვარდი
ია პატონეფი,
ია გიფინუ დო ვარდი
ია პატონეფი,
სტუმარეფ მურს, გოლვაფირო,
ია პატონეფი,
ქუბირათი, გოლვაფირო,
ია პატონეფი,
სქანი ლეხის მოუშუში,
ია პატონეფი,
მუშ ვარდი დო მუშ ქუჩუჩუ,
ია პატონეფი,
ოქროშ ტახტი გონწყილ მაფუ,
ია პატონეფი,
სქანი ლეხის მოუშუში,
ია პატონეფი,
*** * ***
ია ბატონეფი, წითელე – ბატონეფი,
მუში ვარდი დო მუში ქუჩუჩი,
სქანი ლეხის მოუშუში,
წითელე ბატონეფი,
მოზოჯითუ დოზოჯითუ მაფუ
ია პატონეფი, წითელ ბატონეფი,
ია გიფინ დო ვარდი,
სტუმარეფ მურს, გოლვაფირო,
ქუბირათი სქანი ლეხის
ია პატონეფი, წითელე ბატონეფი.

ჩამოთვლილი წეს-ჩვეულებები დღესაცაა შემონახული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კეთდება აცრები, უკეთებენ სიცხის საწინააღმდეგო საშუალებებს. თუმცა, ყვავილის აცრა ახალი არ გახლავთ და ის მოიხსენიება უძველესი დროიდან.

ჩვენ ვკითხულობთ **"მედიცინის ისტორიაში"** ასეთ რამეს – ინგლისელმა ექიმმა ჯენერმა 1794 წელს ძროხის ყვავილი აუცრა ბიჭუნას, იმავე წელს, ადამიანის ყვავილიც აუცრია, მაგრამ მას შემდეგ არ გაუმეორებია.

ექიმი, პროფესორი მიხეილ სააკაშვილი (ეს გახლავთ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბაბუა. ბატონმა მირიან ჯალაღონიამ ეტყობა არ იცის, რომ ეს უაღრესად პატიოსანი პიროვნება, რომელსაც უფროსი თაობის ადამიანები კარგად იცნობდნენ, სიცოცხლის ბოლომდე გვარად გახლდათ სააკოვი, იყო საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტი, მაგრამ არასოდეს დაუმალავს თავისი სომხობა და ამაყობდა კიდეც სომხური წარმომავლობით – **"ილორი"**) იმოწმებს **"მედიცინის ისტორიას"**, სადაც მოყვანილია ბერძენი ექიმის თიმონის ცნობა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ყვავილით დაავადებული ქართველის ჩირქში ამოვლებული ნემსით იფხაჭნიდნენ კანს, რომელიც მათ ინფექციისგან იცავდა. თიმონი სხვა ნაშრომებშიც მიუთითებს, თითქოს ყვავილის აცრის მეთოდი ბერძნებს ქართველებისაგან გადაეღოთ.

ბატონ მიხეილს კონსტანტინეპოლში ასევე აღმოუჩენია ინგლისის ელჩის მეუღლის, მარიამ მონტეგიუს წერილი, სადაც ის 1717 წელს თავის მეგობარს ინგლისში წერს: **"ყვავილი, რომელიც ჩვენთანაა გავრცელებული, აქ სრულიად არ მიაჩნიათ საშიშ დაავადებად. შევეცდები, ეს სასარგებლო აღმოჩენა ინგლისში შევიტანო"**. მას გადაუწყვეტია თავისი ვაჟიშვილისთვის ყვავილზე აეცრა.

ასევე, მედიცინის ისტორიაში მრავალი მეცნიერისგანაა დადასტურებული, რომ საქართველოში უძველესი დროიდან ყოფილა ყვავილის აცრის მეთოდი გავრცელებული.

1903 წელს, პარიზში, ცნობილ მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწეს თედო სახოკიას წაუკითხავს მოხსენება თემაზე **"ყვავილ-ბატონები საქართველოში"**. ამ მოხსენების შემდეგ პროფესორმა მიშელ ზაბოროვსკიმ აღნიშნა: **"ქართველებს ავადმყოფობა წარმოდგენილი ჰქონიათ სულების სახით ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების ევროპაში, კერძოდ, სლავთა შორის. ამგვარი წარმოდგენა მთელს მსოფლიოში იყო გავრცელებული, მაგრამ, ამისგან განსხვავებით, ქართველებს გადამდებ სენთა სულები ადამიანთა სახით ღვთაებადაც კი ჰყოლიათ წარმოდგენილი".**

თედო სახოკია აღნიშნავდა: **"ამ პირველყოფილმა ადამიანმა იმისათვის, რომ ღმერთების ავი ნდომა-სურვილები დაეტკბილებინა, მათგან სიკეთე გამოეთხოვა, მათგან მფარველობა მიჰმადლებოდა, უძულებული შეიქმნა გამოეგონებინა კულტი, თაყვანისცემა ამ გაღმერთებულ სულთა".**

უკეთესია გაზეთის მკითხველს შემოკლებით გავაცნო თედო სახოკიას ეთნოგრაფიული ჩანაწერები ყვავილ-ბატონების თაობაზე საქართველოში: **"გადამდები სენი, როგორიცაა ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა, ხორველა, ყელ-ჭირვება, ყივანა ხველა, დიდი ბატონები (შავი ჭირი) ქართველებს მიაჩნდათ სულებად. ამ სულებისათვის არ არსებობს უამინდობა და უგზოობა. მათ ჯორზე ამხედრებული შეეძლოთ გადმოელახათ მთები, ზღვები და ოკეანეები".**

როგორც კი გაჩნდებოდა ბატონები, ავადმყოფს კისერზე დაჰკიდებდნენ გახვრეტილ ქვას. ეს იყო ნიშანი მორჩილებისა **"ბატონების"** მიმართ. შემდეგ კი ქვას საწოლქვეშ დებდნენ. ოჯახში ცეცხლს არ ანთებდნენ, ოთახს ლამაზად რთავდნენ, საჭმელს არ ხარშავდნენ. მეზობლები ერთმანეთს პატივს სცემდნენ, რადგან ყველა ელოდა **"ბატონების"** სტუმრობას. ჩუქნიდნენ წიწილებს, ციკნებს და სხვა ფრინველებს, რომლებსაც ფეხებსა და ნისკარტებს წითლად უღებავდნენ.

მეგრელთა წარმოდგენით **"ბატონები"** ჯორზე შემსხდარნი დადიან. ქალები თეთრ ჯორებზე, თეთრად გამოწყობილები, კაცები – შავ ჯორებზე, შავად გამოწყობილები.

ვიდრე ეპიდემია მძვინვარებდა, მეზობლები ერთმანეთთან არ დადიოდნენ, ყველა ჩურჩულით ლაპარაკობდა.

არ შეიძლებოდა არც ერთი წესის დაცვა მიცვალებულის დასაფლავების დროს, არც ტირილი შეიძლებოდა და არც შავების ჩაცმა. ოჯახი მწუხარებას არ იმჩნევდა.

ოთახის კარი, სადაც ავადმყოფი იწვა, ღია უნდა ყოფილიყო. არ შეიძლებოდა ღორის ხორცის ჭამა, დაბანა, გარეცხვა, თამბაქოს მოწევა, ნავთიანი კოჭობის დანთება, წერა, სურათების ყურება, თოფის სროლა, მეზობლისათვის რაიმე ნივთის თხოვება. **"ბატონებს"** ეჯავრებოდათ აბრეშუმის ჭია, უწმაწური სიტყვებით ლაპარაკი, არ შეიძლებოდა ძაღლის გაგდება. თუ ძვირფასი ქსოვილი გააჩნდა ოჯახს, აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოფენილი, ყველგან უნდა მიმოებნიათ ყვავილები. აკეთებდნენ დეზინფექციას იისა და ვარდის ფოთლების ნაყენით. იჩოქებოდნენ სამხრეთით სახემიქცეულები, რადგანც ფიქრობდნენ, რომ ბატონები მაჰმადის სარწმუნოებისანი არიან, ამიტომ პირჯვარის გამოსახვაც აკრძალული იყო.

უფრო ხშირად ყვავილის ეპიდემია საქართველოში შემოდიოდა სამხრეთიდან – ოსმალეთიდან, ოსმალო მეზღვაურებისგან...

ყვავილებით დაავადებულის მოვლაში მთავარი როლი აკისრია მოსამსახურეს. ის შუამავალია ავადმყოფსა და ბატონებს შორის. მსახური ზრუნავს არა მხოლოდ ავადმყოფზე, არამედ ბატონების ჯორებზეც. სახლის ერთ კუთხეში ჩამოკიდებული იყო თოკი, იქვე დაყრილი იყო ჩალა. მსახური იღებდა მეზობლებისაგან ბატონებისათვის მირთმეულ მოსაკითხს. თუ ვინმე შეეკითხებოდა ავადმყოფის მდგომარეობას, ამ შემთხვევაში არ შეიძლებოდა თვალის და კისრის ხსენება, იტყოდნენ: როგორ აქვს **"სარკე", "შუშა".** ზოგიერთი მეზობელი მსახურს ეხმარებოდა და ერთად ათევდნენ ღამეს, უკრავდნენ ჩონგურზე, ამბობდნენ ლამაზ ზღაპრებს. მსახური უნდა ყოფილიყო მჭერმეტყველი, ენაზე თაფლი უნდა ჰქონოდა დასხმული, უნდა სცოდნოდა ალერსიანი სიტყვები, ჰქონოდა არტისტული ნიჭი და ყოფილიყო მომთმენი.

მე მახსოვს, თუ როგორ დავყავდით ბავშვები რამოდენიმე კილომეტრის სიშორეზე აცრის ჩასატარებლად. დღე უნდა ყოფილიყო მზიანი, რომ აცრილი ადგილი მალე გამშრალიყო. გვისივდებოდა და გვიჩირქდებოდა მკლავი, რომელზედაც მორჩენის შემდეგ რჩებოდა აცრის კვალი. ხნიერ ადამიანებს დღესაც ამჩნევიათ ეს კვალი.

ავადმყოფის კულტი, **"ბატონების"** თაყვანისცემა შეცვალა წამლებმა, მაგრამ სამეგრელოსა და აფხაზეთში ჯერ კიდევ ნაწილობრივ მისდევენ ძველ მეთოდს. ხვეწნითა და თაყვანისცემით მკურნალობენ ბატონებს. სოფელში ძველებურად დადიან ყვავილმოსტუმრებული ადამიანები ყვავილ-ბატონების შუამავლად. ავადმყოფის ოჯახში ძველებურად იცავენ ამ წესებს: მაგალითად, გარდაცვლილ ახლო მეგობრის ან მეზობლის ტირილში არ მიდიან, მეუღლესთან ინტიმურ კავშირებს ერიდებიან, ღვინოს არ სვამენ, ღორს არ კლავენ, ავადმყოფს უსრულებენ ყველაფერს, რასაც მოითხოვს.

ბევრ სოფელში ვიარე, ბევრ ყვავილმოსტუმრებულს შევხვდი, მინდოდა ჩამეწერა მაგიური სიტყვები, რომელსაც მღეროდნენ ჩონგურზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერავინ ვერ გაიხსენა. ისევ და ისევ დამეხმარა ჩემი მეგობარი, სამწუხაროდ, უსინათლო ვაჟა ჯანჯღავა, რომელიც მეგრული ენის დიდი თავანისმცემელი და ტრადიციების მკვლევარია. მან ჩამაწერინა ლექსი **"ოდუდური"**, რომელსაც უმღეროდნენ ყვავილ-ბატონებს. ხოლო მისი გაგრძელება წითელა-ბატონებზე ვახტანგ ყურაშვილის მეუღლის – ქალბატონ ზოიას ჩანაწერებიდან გადმოვიღე.

მირიან ჯალაღონია
ომისა და შრომის ვეტერანი,
დევნილი აფხაზეთიდან
(გაგრძელება იქნება)

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო საფუძველი სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

თომას რაველი

დაიბადა 1959 წლის 13 აგვისტოს, შვეიცარიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"ესტერი"** ვეიმუნ, **"გეტერბორგი"** გეტებორგი (შვეიცარია), **"ტამპა-ბეი"** ნიუ-იორკი (ამერიკის შეერთებული შტატები).

მეტად მაღალკვალიფიციური მეკარე თომას რაველი და მისი ტყუპისცალი ძმა, ასევე მაღალეფექტური ნახევარმცველი ანდრეასი ერთად თამაშობდნენ შვედეთის ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებში. მაგრამ, თომასი მის ძმაზე უფრო ცნობილი და სახელგანთქმული ფეხბურთელი გახლდათ. მას ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ჩატარებული მატჩების რაოდენობით – სულ 143 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, რაც დღემდე მიუწვდომელია მსოფლიო სპორტისათვის. რაველის მშობლები შვეიცარიაში ემიგრანტებად ჩავიდნენ ავსტრიიდან ოცდაათიან წლებში, როცა ავსტრიას ფაშისტები დაეპატრონენ. თომასი თითქმის ყმაწვილი ბიჭი იყო, როცა ქალაქ ვეიმუნ საფეხბურთო კლუბ **"ესთერის"** შემადგენლობაში ჩაირიცხა. 1989 წელს იგი გადავიდა შვეიცის წამყვან გუნდ **"გეტებორგში"**, სადაც ერიკ ტორსტვედი შეცვალა, რომელიც მაშინ ინგლისის გუნდ **"ტოტენჰემში"** გადავიდა. კარიერის დასაწყისში თომას რაველი დიდ სიფიცხეს ავლენდა, რაც ხშირად უარყოფითი შედეგით მთავრდებოდა მისი გუნდისათვის. მაგალითად, 1983 წელს იგი მოედნიდან გააძევეს იმიტომ, რომ სრულიად უსაფუძვლო კამათი გაუმართა ფეხბურთის მსაჯს, რაც საკმაოდ ძვირად დაუჯდა მის გუნდს. მაგრამ, ხაზგასასმელია ისიც, რომ რაველი ბევრ რამეს სწავლობდა საკუთარ შეცდომებზე. სწორედ მისი დიდი დამსახურება გახლდათ ის, რომ 1992 წელს შვეიცის ეროვნულმა ნაკრებმა მოიგო ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი, მაგრამ ამაზე შორს წასვლა ვეღარ მოახერხა, თუმცა, ორი წლის შემდეგ, ასევე მოიგო მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი. შემდეგ რაველი ამერიკაში წავიდა და ამჟამადაც იქ ცხოვრობს.

ფრანკ რაიკაარდი

დაიბადა 1962 წლის 30 სექტემბერს, ჰოლანდიაში.

თამაშობდა კლუბებში **"აიაქსი"** ჰოლანდია, **"სპორტინგი"** პორტუგალია, **"სარაგოსა"** ესპანეთი, **"მილანი"** იტალია, **"აიაქსი"** ჰოლანდია.

რაიკაარდი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, უნივერსალური ფეხბურთელი იყო. 1980-იან წლებში იგი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა საფეხბურთო საერთაშორისო წრეებში მოედანზე თავისი ჯენტლმენური საქციელისა და შესაშური ტექნიკის გამო. იგი 1979 წელს გამოჩნდა პროფესიულ ფეხბურთში, როცა **"აიაქსში"** დაიწყო თამაში იოჰან კრუიფის ხელმძღვანელობით. ამ გუნდის პროტესტის მიუხედავად, რომ 19 წლის ყმაწვილისათვის ჯერ ადრე იყო ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება, იგი მაინც ჩაირიცხა ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში. 1987 წელს რაიკაარდი კრუიფს წაეჩხუბა და რამდენიმე სეზონი **"მილანში"** ჩაატარა, სადაც ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონთა თასისა და საკონტინენტთაშორისი თასის მფლობელი. იტალიის გუნდის შემადგენლობაში რაიკაარდი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, მაშინ, როცა ჰოლანდიის ნაკრებში ცენტრალური მცველის პოზოცია ეკავა. 1988 წელს რაიკაარდი ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა. 1993 წელს, როცა იტალიის **"მილანი"** ევროპის ჩემპიონთა თასის ტურნირში სასტიკად დაამარცხა **"მარსელმა"**, რაიკაარდი კვლავ **"აიაქსს"** დაუბრუნდა. 1995 წელს სწორედ მისმა დიდმა ძალისხმევამ განაპირობა ის, რომ **"აიაქსმა"** ჰოლანდიის ჩემპიონობაც მოიპოვა და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელიც გახდა. აქტიური ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ფრენკ რაიკაარდმა სამწვრთნელო საქმიანობას მოჰკიდა ხელი. სწორედ მისი თავკაცობით მიიღეს მონაწილეობა ჰოლანდიელებმა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში, მაგრამ ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ რაიკაარდმა მწვრთნელის პოსტი დატოვა.

ერჰარდ ჰანაპი

დაიბადა 1929 წლის 8 ივნისს, ავსტრიაში.

თამაშობდა კლუბებში **"ვაკერი"** და **"რაპიდი"** (ვენა, ავსტრია).

ერჰარდ ჰანაპი ევროპის 1950-იანი წლების ყველაზე მრავალმხრივი მონაცემების მქონე ფეხბურთელად არის აღიარებული. კარიერის დასაწყისში თავის გუნდ **"რაპიდში"** იგი ხან ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, ხან კი მარჯვენა ინსაიდის ამპლუაში გვევლინებოდა. და იგი ამ ურთიერთგანსხვავებულ პოზიციებზე მკვიდრად იკავებდა ადგილს შექმნილი სიტუაციის შესაბამისად. მისი მოქმედების არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა ავსტრიის ნაკრების შემადგენლობაში, როცა იგი ხან დაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა, ხან კი თავდასხმაში, მაგრამ იგი დაცვითი ფუნქციის შესრულების დროსაც ხშირად საკმაოდ ეფექტურად უტევდა მოწინააღმდეგის კარს და შეტევას წარმატებითაც აგვირგვინებდა. სწორედ ამგვარი უსაზღვრო ნიჭისა და შესაძლებლობების წყალობით ერჰარდ ჰანაპი აღიარებული იყო თავისი ეპოქის ერთ-ერთ უნივერსალურ და მაღალშედეგიან ფეხბურთელად. ავსტრიის ნაკრების შემადგენლობაში ჰანაპმა 99 მატჩში ითამაშა და ამ ციფრს ასამდეც გაზრდიდა, რომ არა ბიუროკრატიული შეფერხებები. ერჰარდ ჰანაპი პროფესიით არქიტექტორი გახლდათ და სწორედ მან დააპროექტა ავსტრიაში ვენის ცნობილი **"რაპიდის"** სტადიონი, რომელსაც ამ შესანიშნავი გეხბურთელის სახელი ეწოდა მისი უდროოდ გარდაცვალების შემდგომ. ერჰარდ ჰანაპი არაერთგზის გახდა ავსტრიის ჩემპიონი და თასის მფლობელი **"ვაკერისა"** და **"რაპიდის"** შემადგენლობაში. 1953 წელს კი ინგლისში **"უემბლის"** სტადიონზე გამართულ მსოფლიო ფეხბურთისადმი მიძღვნილ საიუბილეო მატჩში ერჰარდ ჰანაპმა მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

კახელმა ღორი დაკლა, მეზობლებს დაუძახა და ქეიფიც გახურდა.

– მოდი, ჯანზე ყოფნისა შავსვათ, – თქვა ერთმა და ჭიქები შეავსო.

– მაიცა, კაცო! – გაუბრაზდა მეორე, – ე, ღორი, რა, ჯანზე არ იყო? მოდი, იღბალს გაუმარჯოს!..

* * *

ილუზიონისტი ქუთაისში ჩავიდა. უნდა ადგილობრივები გააოცოს. ქუჩაში კაცი დაინახა, ფეხები გაიქრო და სიგარეტი სთხოვა. ქუთაისელმა ყურადღება არ მიაქცია. ილუზიონისტმა ხელიც გაიქრო და ისევ სთხოვა სიგარეტი. კვლავ – არავითარი რეაქცია. მეორე ხელიც გაიქრო ილუზიონისტმა და ისევ სთხოვა სიგარეტი.

– მე რა მენაღვლება, ძამიკო, კი არ მენანება სიგარეტი. აჰა, მოწიე, მარა, ხომ ხედავ, რას გიშვრება. სულ ხომ არ გინდა რომ გაქრე, შე უპატრონო!

* * *

ოსმა სამი კილო ბანანი მიუტანა ცოლს:

– აჰა, გააკეთე, მაინტერესებს, როგორი იქნება ყვითელი ბადრიჯნის აჯაფსანდალი...

* * *

მიხო ეკითხება მიტუას:

– მიტო, აბა გამოიცანი, შავია და რვა ფეხი აქვს, რა არის?

– აბა, მე რა ვიცი!

– არც მე ვიცი, მაგრამ კისერზე გაზის და მოიცილე!..

ახალი ბროშურა

წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარის ტურიზმის ცენტრის ინიციატივით გამოიცა ტურიზმის გზამკვლევი შესანიშნავი ბროშურა, რომლის ავტორია ბატონი თამაზ ლუკავა (რედაქტორი ბატონი თამაზ ფიფია).

24-გვერდიან ბროშურაში მოკლედაა გადმოცემული წალენჯიხის რაიონის უაღრესად საინტერესო ისტორია, ის ისტორული, არქეოლოგიური აღმოჩენები, თანამედროვე ღირშესანიშნაობები და ბუნების საოცრებები, რომელიც აუცილებლად უნდა დაათვალიეროს აქ ჩამოსულმა ტურისტმა.

უდავოა, რომ აღნიშნული გზამკვლევი დიდ სამსახურს გაუწევს რაიონების სტუმრებს.

"ილორი"

ფოთში აეროპორტის მშენებლობა სახლებს აზიანებს

ფოთში მშენებარე აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებნი აეროპორტთან მისასვლელი სათადარიგო გზის გახსნას მოითხოვენ. ამის მიზეზად ადგილობრივები მძიმეტონაჟიანი მანქანების გამუდმებულ მოძრაობას ასახელებენ. მათივე თქმით, ამან გზისპირას მცხოვრებთა სახლების კედლები დააზიანა.

ადგილობრივი **ტონია აფაქიძის** თქმით, მისი სახლის ყველა კედელი უკვე დაბზარულია. **„ცოტა ხანში შეიძლება სახლი თავზე ჩამოგვენგრეს, მერე ვინ იქნება ჩემი პატრონი? ასეთ მდგომარეობაში არიან სხვებიც. მოვითხოვთ მშენებლობისთვის სხვა სათადარიგო გზის გახსნას"**,– აცხადებს ქალბატონი ტონია საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას.

საქინფორმი

ხელჩართული ჩხუბი პარლამენტში

დეპუტატი აკაკი ბობოხიძე პეტრე მამრაძეს ფიზიკურად მას შემდეგ დაუპირისპირდა, რაც ამ უკანასკნელმა აგვისტოს ომი **„ქართულ პროვოკაციად"** შეაფასა. **„არასოდეს ილაპარაკოთ, რომ ეს ომები ქართული მხარის ინსპირირებული იყო"**, – განაცხადა დეპუტატმა. მისი განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში კიდევ ერთხელ განაცხადებენ, რომ ომები საქართველოს ინსპირირებული იყო, საკუთარი სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტას მოითხოვს.

დავით ბაქრაძემ კი საპარლამენტო ოპოზიციას სთხოვა, არ გამოიყენონ მიკროფონები ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ. **„არსებობს საზღვარი, რასაც არავინ უნდა გადავიდეს. იმის მოსმენა, რომ საქართველომ დაიწყო ომი და ჩამოიშორა მისი ორი სისხლი და ხორცი – აფხაზეთი და სამაჩაბლო, ძალიან მძიმეა, მაგრამ მოგიწოდებთ თავშეკავებისკენ. აკრიტიკეთ ხელისუფლება, მაგრამ ნუ ავნებთ ქვეყანას"**,– აღნიშნა მან და ოპოზიციას პირობა მისცა, რომ ხელისუფლების კრიტიკის გამო მიკროფონს არავის გამოურთავს.

აზრები... აზრები...

...ბაბილონელთა ენაზე ღმერთებთან საუბარი ალბათ შესაძლებელი იყო, მაგრამ მასთან მიახლოება, გათანაბრება საჭიროდ არ მიიჩნია განგებამ, რისთვისაც დასჯა საზოგადოება, ერთეროვნება დაშალა მრავალ ერებად, აუღრია ენა, განაცალკევა ერთმანეთისგან. საკითხავია, ვინმეს უფიქრია, თუ როგორი სასჯელი მოუვლინა ღმერთმა ადამიანებს ენის აღრევით?

...ახალი ერების წარმოქმნა შესაძლებელი იყო იყო გენოფონდის გაფანტვის ხარჯზე, რომ შემდგომში, ცხორების გასაგრძელებლად მშობლები დაეჭამათ ორაგულის ლიფსიტების მსგავსად. ასეც მოხდა. მათი გაერთიანებით კი ისევ მივიღებთ ღვთის ენას, ანუ **"ღორონთიში ნინასუ"**. კი მაგრამ, ეს ყოველივე როგორ უნდა მოხდეს?

...მოგაწვდით ინფორმაცია-ნაჯაფარს კოლხურ-მეგრულ იავნანას მცირე მონაკვეთზე, რომელიც ზოგადში მთელის ნაწილია. მაგრამ იყავით წინდახედულნი, იქონიეთ თანასაზოგადოების გაერთიანებისათვის არა ქვეცნობიერი სურვილი, არამედ იდეის ერთგულება. მართალია, დიდ ერებს გაუჭირდებათ სიმართლის დადასტურება და პირველობის დათმობა, მაგრამ საქმე ეხება არა რომელიმე ერის გადარჩენას, არამედ მოსალოდნელ კატასტროფებს და ცივილიზაციის გადარჩენას. მე ამის ძალას მაძლევს შიფრი, რომელიც გასაღებია ყველა ენისა, რომლითაც შესაძლებელი გახდება გონის – ღვთის ენის აღდგინება.

...თუ საზოგადოებამ ამ თემის შესახებ ნაკლებად იცის, მაშინ მისი გონება მხოლოდ პრომეთეოსის ციდან მოტანილი ნათებითაა განათებული. ეს შეცდომა არ არის, შეცდომა იქნება თუ ღვთის ნებას არ შევასრულებთ, არ აღვადგენთ ლაზარეს ენას.

...გრაალის ფენომენი ეს არის ცოდნის ყულაბა, რომელმაც მისცა ცივილიზაციას ბიძგი კანონზომიერების კრიტერიუმებით განვითარებულიყო. ღვთის ენა – გრაალის ენა – ბაბილონის ენა აღრევის შედეგად მრავალ ერებად გადანაწილდა, გაიფანტა, გაიწოვა კაცობრიობამ და თვითონ მიიძინა. დღეს, კაცობრიობა ცივილიზაციის საწყისების მისაკვლევად მრავალ მეთოდებს იყენებს, მაგრამ ამაოდ, და არავის გახსენებია, ეს ცივილიზაცია უნდა იყოს მითოლოგიურ გრაალში მითითებული, რაც დღემდე უარყოფილია საზოგადოების მიერ.

როგორ აღვადგინოთ გრაალის ენა, ან სად არის გრაალი, რომელიც იტევს შიფრს, გასაღებს არსებული ყველა ენისა და ცივილიზაციის ცოდნას?!

Менгрел – ამბობს რუსი.
მეგრელი – იტყვის ქართველი.
მარგალი – ამბობს მეგრელი.

ძირ ფორმაში **"მარგალი" – მა გრაალი** – სიტყვა მიუთითებს თავის ვინაობაზე.

სამარგალო – სა-მა-გრაალო-სამეგრელო. მე ვარ საგრაალოო, რაც ნიშნავს – ჩემში, ჩემს ენაშია შიფრი ყველა ენისაო.

მე არ მაქვს უფლება უარვყო რეალობა გრაალის ფენომენზე, მაგრამ სხვა ერები თუ არ დაინტერესდებიან მოწოდებული ინფორმაციით, კავკასიის ცარცის წრეში მიჯაჭვული ამირანი მეორედ მოსვლას დაელოდება.

თენგიზ ფეტელავა,
აფხაზეთი, გალი

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge